

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო



ბრძანებათა და ინსტრუქციათა

472  
1966  
**კრებულში**

**СБОРНИК**

**ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ**

*Министерства просвещения Грузинской ССР*

4-5

აკრილი—ბანისი

თბილისი—1966

რექტორი უშ. აბოლაძე  
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დახატულად №1/VI-66 წ. ანაწილის ზომა  $6 \times 9 \frac{1}{2}$   
ქილაღის ზომა  $60 \times 84$ . სხტაშო ფორმათა რაოდენობა 6,5

ტირაჟი 5000.

უე—01329

შეკვ. № 593.

თბილისის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19  
Тбилисская типография № 11, ул. Уш. Чхеидзе № 19

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966  
წლის 18 მარტის ბრძანება № 321

საქართველოს სსრ სპარტაკიადის ჩატარებისა და 1967 წელს საბ-  
ჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სსრ კავშირის  
ხალხთა IV სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგა-  
ციის მონაწილეობის შესახებ

საქართველოს სსრ სპარტაკიადის ჩატარებისა და 1967 წელს  
საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სსრ კავში-  
რის ხალხთა IV სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელე-  
გაციის მონაწილეობის თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური  
კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის  
31 იანვრის № 51 დადგენილების განსახორციელებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საბჭოთა კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში  
საქართველოს სსრ მოსწავლეთა სპორტული კოლექტივების მონა-  
წილეობის მიზნით, მოსწავლეთა რესპუბლიკური XVIII და XIX  
სპარტაკიადების ფინალური შეჯიბრებები ჩატარდეს ქ. თბილისში  
1966 და 1967 წლების ივნისში.

2. 1966—1967 წლების ფინალურ სპარტაკიადებს წინ უნდა  
უსწრებდეს შინასასკოლო, სარაიონო, საქალაქო, საოლქო და ზო-  
ნალური სპარტაკიადები;

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მოსწავლეთა 1966 წლის  
XVIII სპარტაკიადის დებულება (თან ერთვის);

4. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორ-  
ტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი):

ა) საქართველოს სსრ სპორტული ფედერაციების განყოფი-  
ლებასთან ერთად მიმდინარე წლის 1 ივნისამდე შეადგინოს საქარ-  
თველოს სსრ მოსწავლეთა 1967 წლის სპარტაკიადის დებულება  
და წარმოუდგინოს კოლეგიას დასამტკიცებლად;

ბ) სპარტაკიადისათვის მოსწავლეთა რესპუბლიკური გუნდე-

10.360

ბის უკეთ მომზადების მიზნით, მთელი წლის განმავლობაში გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით აწარმოოს მათთან სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, რეგულარულად ჩაატაროს საკონტროლო შეჯიბრებები როგორც რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც;

გ) 1966—1967 წლების სპორტულ კალენდარში გაითვალისწინოს სათანადო ღონისძიებანი მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში, ველოსპორტსა და პროგრამით გათვალისწინებულ სხვა სახეობებში ნაკრები გუნდების მოსამზადებლად; ზამთრის, საგზაფხულო და საზაფხულო არდადეგების პერიოდში მოაწყოს სასწავლო საწვრთნელი შეკრებები.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებმა შესაბამისი სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოებთან ერთად:

ა) 1966 და 1967 წლების სპარტაკიადებისათვის უკეთ მომზადების მიზნით ფართოდ გაშალონ მოსწავლეთა შორის სპორტული მუშაობა, დროულად ჩაატარონ შინასასკოლო, სარაიონო, საქალაქო, საოლქო, სპარტაკიადები და შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში;

ბ) დააკომპლექტონ ნაკრები გუნდები სპორტის სახეობათა მიხედვით და უზრუნველყონ მოსწავლე სპორტსმენებთან რეგულარული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ჩატარება;

გ) 1966 წლის 31 მარტამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ არსებული სპორტული ნაგებობანი, სტადიონები, სპორტული მოედნები და დარბაზები;

დ) პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ საკუთარი ძალებით მარტივი ტიპის კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ჩოკბურთის, ფეხბურთის მოედნების მშენებლობა და ნიაღწიონ იმას, რომ 1967 წლის საიუბილეო სპარტაკიადისათვის თითოეულ სკოლას ჰქონდეს თავისი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა;

ე) ქმედითი ღონისძიებების გატარებით დასძლიონ ჩამორჩენა სპორტის ისეთ მასობრივ სახეობებში, როგორიცაა მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა, ველოსპორტი და სხვ.

ვ) დაავალონ სკოლის დირექტორებს რათა სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივებმა ხელი შეუწყონ ნაკრები გუნდების წევრ მოსწავლეებს სწავლისა და სპორტული დახელოვნების სრულყოფა-

ში, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, მათ მიამაგრონ მასწავლებლები კლასგარეშე მეცადინეობისა და კონსულტაციების ჩასატარებლად;

6. აფხაზეთის და აჭარის ასრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის განათლების განყოფილებებს ნება დაერთოთ საქართველოს სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებებისათვის ნაკრები გუნდების უკეთ მომზადების მიზნით ჩაატარონ სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნობათა ფარგლებში.

7. განათლების სამინისტროს რესპუბლიკურმა სპორტულმა სკოლამ (დ კინწურაშვილი):

ა) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების მიერ დამტკიცებული გრაფიკით 1966 წელს მოაწყოს ნაკრები გუნდების კანდიდატთა 45 დღიანი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი 200 მოსწავლისათვის;

ბ) უზრუნველყოს ნაკრები გუნდების წევრთა საწვრთნელი კოსტუმების დროული დაკვეთა, დამზადება;

გ) საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა კვაჭაძე) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებასთან ერთად 15 დღის ვადაში დაამუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად ბანაკის ხარჯთაღრიცხვის პროექტი, დაფინანსების წყაროების ჩვენებით.

8. ეთხოვოს საქართველოს სსრ პროფსაბჭოს ყოველწლიურად მოაწყოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები 2000 მოსწავლისათვის სპორტის შემდეგ სახეობებში: ტანვარჯიში, ცურვა, მძლეონობა, ფეხბურთი და სხვ.

9. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ვ. ჩინჩალაძე) გამოუყოს საქართველოს პროფსაბჭოს მიმდინარე წლის ზაფხულში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ორგანიზაციისათვის საჭირო რაოდენობის შესაფერისი შენობები.

10. მომარაგებისა და დამმარე წარმოებათა სამმართველომ (ს. არველაძე) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) შეადგინონ განაცხადი საჭირო სპორტულ ინვენტარზე, სპორტულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე და 1966 წლის 15 მარტამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას.

11. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (შ. ბუთიკაშვილი) სათანადო კონტროლი დააწესოს თბილისის წყალჯომარდო-

ბის ბავშვთა სპორტული სკოლის საცურაო აუზისა და გლდანის რესპუბლიკური სპეციალური სპორტული სკოლა ინტერნატის სპორტული ბაზების კომპლექსის მშენებლობაზე, რომ ამ ბაზების საექსპლოატაციოდ გადაცემა მოხდეს მიმდინარე წელს დადგენილ ვადებში.

ხაფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 11 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## მ ი მ ა რ თ ვ ა № 10—84

31 მარტი, 1966 წელი

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ  
ოსეთის ა/თლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს

გიგზავნით რა მოხსენებით ბარათს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 12 აგვისტოს № 873 ბრძანების— „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ შესრულების შედეგებზე, ვთხოვთ დროულად განიხილოთ იგი სკოლამდელ მუშაკთა გაერთიანებულ თათბირზე და მიიღოთ გადამჭრელი ზომები მიმდინარე წლის ზაფხულის გამაჯანსაღებელი მუშაობის ნორმალურად ჩატარებისათვის.

მოხსენებითი ბარათი თან ერთვის.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე უშ. თბოლაძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს

ამხ. თ. ლაშქარაშვილს

## მოხსენებითი ბარათი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 12 აგვისტოს № 873 ბრძანების „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ შესრულების შედეგებზე

1965 წლის ზაფხულში ჩვენს რესპუბლიკაში 28491 სკოლამდელი ასაკის ბავშვი გატარდა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე; აქედან 12217 ბავშვი გაყვანილ იქნა აგარაკებზე, ხოლო 16274 მოედანზე.

განათლების სამინისტრომ თავისი 1965 წლის 12 აგვისტოს № 873 ბრძანებით დაავალა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეებს წლის ბოლომდე წარმოედგინათ ანგარიშები განათლების სისტემის სკოლამდელ დაწესებულებებში ჩატარებული საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შესახებ. ანგარიშებში ხაზგასმით უნდა აღენიშნათ ნაკლოვანი მხარეების, ხელისშემშლელი მიზეზებისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ.

ადგილებიდან წარმოდგენილი მასალების განხილვა ადასტურებს, რომ ზოგიერთი განათლების განყოფილება საქმეს ზერელედ მოეკიდა და სრულფასოვანი ცნობები ვერ წარმოგვიდგინა.

1965 წლის საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

1. ზოგიერთმა განათლების განყოფილებამ დროულად არ ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები ჯანმრთელობის დაცვისა და ადგილობრივ საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით, რის შედეგადაც შორის წამოიჭრა წინააღმდეგობები დასაქირავებელი ბინის ფართობის განსაზღვრისა და სხვა საკითხებზე. ამის შედეგად გართულდა მანქანების განაწილება, დაგვიანდა საკვების, საწვავი მა-

სალის მიწოდება და ზოგიერთი საბავშვო ბაღის აგარაკზე დროულად გაყვანა, რითაც დაირღვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები; ზოგიერთ რაიონში (ქალაქში), კი შეუსრულებელი დარჩა საბავშვო ბაღების აგარაკზე გაყვანის გეგმა. თუ მხოლოდ ქ. თბილისის მიხედვით ვიმსჯელებთ, ნაცვლად 40 საბავშვო ბაღისა, აგარაკზე გაყვანილ იქნა 32 საბავშვო ბაღი (გეგმასთან შედარებით 895 ბავშვით ნაკლები). ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა სხვაგანაც.

2. ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგე წინასწარ არ გაეცნო და ზერელედ დაამტკიცა აგარაკზე გასაყვანი საბავშვო ბაღების შტატები. გამგეებად გაგზავნილ იქნენ გამოუცდელი აღმზრდელები (ქ. თბილისის № 26 საბავშვო ბაღი—ქ. ნადირაძე, ქ. თბილისის № 112 საბავშვო ბაღი—ჭურჭინა) და ამის გამო აგარაკზე ადგილი ჰქონდა რიგ მნიშვნელოვან დარღვევებს; ასევე აღმზრდელებად გაიგზავნენ არასპეციალისტები, რომლებიც ვერ პასუხობდნენ იმ მოთხოვნებს, რასაც სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა აყენებს ბაღის აღმზრდელის წინაშე. აგარაკზე გამსვლელ აღმზრდელებისათვის წინასწარ არ განსაზღვრეს სამუშაო საათები და ზოგიერთი აღმზრდელი დატვირთული იყო არა ჩვეულებრივ—6 საათით დღეში, არამედ 12 საათით; ამავე დროს ზოგიერთ მათგანს არ ჰქონდა კვირა დღეს დასვენება, რადგან საბავშვო ბაღებს არ ჰყავდათ უქმე დღეებისათვის შემცვლელი აღმზრდელი. (ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 2 სანატორიული ბაგა-ბაღი, № 3 ბაგა-ბაღი, ქ. თბილისის ლენინის რაიონის № 1 ბაგა-ბაღი, გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღი და სხვ.). ზოგიერთ საბავშვო ბაღში, მაგ. ქ. თბილისის № 5 ბაგა-ბაღში, 2—3 წლიანების ჯგუფში ნაცვლად ორისა ჰყავდათ 1 აღმზრდელი, ძიძა დამლაგებელი აკლდა აგარის შაქრის კომბინატის საბავშვო ბაღს; ექთანი, ძიძა-სანიტარი—ქ. თბილისის № 3 ბაგა-ბაღს, ამავე დროს მათვე ზედმეტად ჰყავდათ ღამის მორიგე და დამლაგებელი; ქ. თბილისის მე-10 ბაგა-ბაღს ზედმეტად ჰყავდა ტექნიკური მუშაკები, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა შტატით გათვალისწინებული მუშაკის აორდანიშნულებისამებრ გამოყენებას, მაგალითად, დამლაგებელი გამოყენებული ჰყავდათ საწყობის გამგედ (ბორჯომის № 1 საბავშვო ბაღი), საერთოდ სკოლამდელ დწესებულებებს გამაჯანსაღებელ მუშაობაში დიდად უშლიდა ხელს ის, რომ არ ჰყავდათ მრეცხავი.



გარდა ამისა, ადგილობრივმა საფინანსო ორგანოებმა ასრულეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 25/VI № 3—1433 მოთხოვნა საბავშვო ბაღებისათვის აგარაკებზე ადგილობრივ სახბანკის განყოფილებაში სათანადო ანგარიშის გახსნის შესახებ, რასაც თან მოჰყვა მთელი რიგი სერიოზული დარღვევებისა: ვერ ანგარიშობდნენ ყოველდღიურად კვების ღირებულებას თითოეულ აღსაზრდელზე და ზონსახურე პერსონალზე, ვერ იცავდნენ ყოველდღიური ხარჯვის ნორმებს და სხვ. ნიშანდობლივია, რომ რაიონებიდან წარდმოდგენილ მასალებში ერთი და იგივე რაოდენობის ჯგუფსა და კონტინენტზე სულ სხვადასხვა რაოდენობით აყენებენ მოთხოვნებს ტექნიკურ პერსონალზე.

3. ზოგიერთი რაიონის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ აგარაკებზე გამსვლელ საბავშვო ბაღების სამედიცინო შტატებით დაკომპლექტების საქმეს; სამუშაოდ გაიკზავნა გამოუცდელი ექიმები და ექთანები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სამედიცინო მომსახურების სათანადო სიმალლეზე დაყენება (ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის 112 საბავშვო ბაღი, ექიმი თ. ხუბ. შვილი, ზესტაფონის ფეროშენანდობი ქარხნის ყოფილი პირველი საბავშვო ბაღი, ექიმი თ. მანჯავიძე). სამედიცინო პერსონალის სუსტი მუშაობის შედეგად ზოგან აღვილი ჰქონდა ინფექციური დაავადების შემთხვევებს (ქ. თბილისის № 42, 74, № 26 საბავშვო ბაღები), საერთოდ აგარაკებზე გამსვლელ საბავშვო ბაღების უმრავლესობას შტატით არ ჰყავდა გათვალისწინებული ექიმები, აგარაკებზე გავიდნენ ნხოლოდ ექთანის იმედით, მაშინ როცა ზოგჯერ ექთანიც ვერ იყო სათანადო მომზადებისა (ქ. ბათუმის № 5 საბავშვო ბაღის ექთანი პატარაია და სხვ.). ზოგიერთ საბავშვო ბაღში სამედიცინო პერსონალი ვერ უზრუნველყოფდა სანიტარულ-ჰიგიენური საქმის მოწესრიგების და იმ აუცილებელი გამაკაჟებელი ღონისძიებების ჩატარებას, რასაც ითვალისწინებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაობა (ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, ქ. თბილისის 112 საბავშვო ბაღის საძინებლებში ანტისანიტარული მდგომარეობა იყო, უსუფთაობა იყო ხაშურის, ქ. თბილისის მე-10 ბავა-ბაღში და სხვ.) ზოგიერთ საბავშვო ბაღს ნაცვლად ექიმ-პედიატრისა აგარაკზე მომსახურებას უწევდა ექიმი-სტომატოლოგი. ხარვეზები ახასიათებდა სანებიდსადგურის მუშაობასაც; აგარაკებზე გასვლის ვიზას ზოგჯერ აძლევდნენ საბავშვო ბაღებს თითოეული აღსაზრდელის ჯანმრთელობის შემო-

წმების გარეშე; ადგილობრივი სანებინდსადგურები ჩასულ საბავშვო ბაღებს ნებას რთავდნენ ზოგჯერ შეუფერებელი ბინების დაქირავებაზე. სამედიცინო პერსონალის სუსტი მუშაობის შესახებ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეცნობა 1965 წლის 6/VIII № 176 წერილით.

4. არადამაკმაყოფილებელი იყო კომუნალური მომსახურების სამმართველოს ადგილობრივი განყოფილების გამჭირავებელი ბიუროების მუშაობა: მუშაობდნენ დებულების გარეშე, არ ჰქონდათ სათანადოდ შემუშავებული ხელშეკრულების ტექსტი, ვერ უზრუნველყოფდნენ გასაქირავებელი ბინების სათანადოდ შერჩევას საამისოდ დაწესებულ ფასებში. ყოველივე ამას თან მოჰყვა დარღვევები, კერძოდ: გასაქირავებელი ბინების ფართობის ხელოვნურად გაზრდა, გაქირავებული ფართობის ნაწილის სახლის მფლობელის სარგებლობაში დატოვება, (ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკის, გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღები). ამას ემატებოდა ისიც, რომ ზოგიერთი საბავშვო ბაღის გამგე საუკეთესო ოთახებს გამოყოფდა თანამშრომელთა საცხოვრებლად, ხოლო უფრო ნაკლებს ბავშვებისათვის (ქ. თბილისის № 82 და სხვა საბავშვო ბაღი), გამჭირავებელი ბიუროების სუსტი მუშაობის შესახებ 6/VIII № 177 წერილით ეცნობა საქართველოს სსრ კომუნალური მომსახურების მთავარ სამმართველოს.

5. სავაჭრო ორგანიზაციები სათანადოდ ვერ ამარაგებდნენ საბავშვო ბაღებს კვების პროდუქტებით. ასე, მაგალითად, ივლისის პირველი ნახევრისათვის კოჯორსა და მანგლისში გასული საბავშვო ბაღები სისტემატურად არ მარაგდებოდნენ კარტოფილით, ხილით, ახალი ხორციით, სურამში კი უფრო ცუდი მდგომარეობა იყო: ბაღებს ეძლეოდა დაბალი ხარისხის გაყინული ხორცი; ზოგიერთი მალაჩია საბავშვო ბაღებს უფაქტუროდ ატანდა პროდუქტებს, ანდა პირიქით, გამოუწერდა ფაქტურას, ხოლო საქონელს არ აძლევდა მის შესაბამისად. ეს, ცხადია, ხელს უწყობდა ბოროტმოქმედებას და ზოგიერთ საბავშვო ბაღში ადგილი ჰქონდა პროდუქტების მითვისების ფაქტებს (კულაშის საქსოვი ფაბრიკის, ქ. თბილისის № 10, ცხაკაიას № 6 და სხვ. საბავშვო ბაღები).

6. ზოგიერთი გამგე საბავშვო ბაღის მიერ დაქირავებულ ბინას იყენებდა პირადი სარგებლობისთვის, ოჯახის წევრების საცხოვრებლად (ქ. თბილისის მე-10 საბავშვო ბაღი) ზოგს დიდხანს ოდენობით ჰყავდა წამოყვანილი სკოლის ასაკის ბავშვები (ოჩამჩი-

რის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღის გამგეს ნ. ეთერიას საბავშვო ბაღში წამოყვანილი ჰყავდა 30 ბავშვი, აქედან 11 ბავშვი მოსწავლე იყო, ძირითადად თანამშრომელთა შვილები და მათი ნათესავები).

ზოგი საბავშვო ბაღის გამგეს არ ჰქონდა მოწესრიგებული თანამშრომელთა კვების საქმე. ქ. თბილისის № 14 საბავშვო ბაღის გამგეს ე. ფავლენიშვილს კვებისაგან თვითნებურად ჰყავდა განთავისუფლებული 13 თანამშრომელი, ხოლო იგივე საბავშვო ბაღის გამგე კვების პროდუქტების გაწერას აწარმოებდა ბავშვებზე, რომლებიც ფაქტიურად ბაღში აღარ ირიცხებოდნენ (ნაადრევად წაიყვანეს მშობლებმა).

სკოლამდელი აღზრდის განყოფილების  
უფროსი გ. აბღუშელიშვილი

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ  
საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი  
28 მარტი 1966 წ.

## მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

**საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების განათლების  
განყოფილებებთან არსებული ესთეტიკური აღზრდის  
სექციის მუშაობის შესახებ**

### § 1

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის სწორად წარმართვისა და მის მაღალ დონეზე დაყენების უზრუნველსაყოფად, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან იქმნება „ესთეტიკური აღზრდის სექცია“, რომელიც პრაქტიკულ დახმარებას უწევს სკოლამდელ, სასკოლო და სკოლისგარეშე დაწესებულებებს ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

სექცია უშუალოდ ემორჩილება ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილების გამგეს, ხოლო მასზე მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი.

### § 2

სექციის შემადგენლობა განისაზღვრება 5—7 წევრით; მის წევრებად შეირჩევიან საგუნდო საქმისა და სინღერის, სახვითი ხელოვნების, ლიტერატურისა და მხატვრული კითხვის, მუსიკალური ჯგუფების, ქორეოგრაფიის, სკოლამდელთა მხატვრული აღზრდის სპეციალისტი მასწავლებლები.

სექცია გამოჰყოფს თავმჯდომარესა და მდივანს.  
თავის სხდომებს სექცია იწვევს თვეში 1—2-ჯერ.

ესთეტიკური აღზრდის სექცია ხელს უწყობს განათლების განყოფილებებს:

ა) დაწყებით, რვაწლიან, საშუალო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ესთეტიკური საგნების (ლიტერატურის, მუსიკის, ხატვის, ქორეოგრაფიის), წრეებისა და კაბინეტების მუშაობის გაუმჯობესებაში;

ბ) დახმარებას უწევს მას რაიონული, საქალაქო მნიშვნელობის ღონისძიებების—მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებების, სახვითი ხელოვნების გამოფენების, ლიტერატურული, მუსიკალური, მხატვრული კითხვის კონკურსების, დილების, საღამოების, ლექცია-კონცერტების და სხვ. მომზადება-ჩატარებაში; მწერლებთან, კომპოზიტორებთან, მხატვრებთან, მსახიობებთან სკოლების შეხვედრების მოწყობაში და ა. შ.;

გ) ესთეტიკის ციკლის მასწავლებლებისათვის შეკრებების, სემინარების, ლექციების, კონსულტაციების, გამოცდილების გაზიარების საქმის ორგანიზაციაში;

დ) ესთეტიკური აღზრდის დარგში სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობის შესწავლასა, ადგილებზე სათანადო დახმარების გაწევასა და შედეგების განხილვა-განზოგადებაში;

ე) სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე განსახილველად ესთეტიკური აღზრდის აქტუალურ საკითხებზე სათანადო წინადადებების მომზადებაში;

ვ) ესთეტიკური აღზრდის დარგში ჩატარებული მუშაობის შეჯამების საქმეში.

ესთეტიკური აღზრდის სექცია სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ ყოველი წლის ივნისის ბოლოს ანგარიშს უდგევს რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილებას და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტს.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 1 აპრილის ბრძანება № 359

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 22 ნოემბრის № 1248 ბრძანების შესასრულებლად ოლქის განათლების განყოფილების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ცხინვალისა და რაიონების განათლების განყოფილებებსა და სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებს დღემდე არასაკმაო ღონისძიებანი აქვთ გატარებული დასახული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 22 ნოემბრის № 1248 ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების ანგარიში, აგრეთვე სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს უფროსის ამხ. რ. ს. კანდელაკის ინფორმაცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 22 ნოემბრის № 1248 ბრძანების „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ შესასრულებლად დასახულ ღონისძიებებსა და ჩატარებულ მუშაობაზე მიღებულ იქნეს ცნობად.



2. აღნიშნოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების ორგანოებისა და სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების დირექციების, პედაგოგიური კოლექტივების ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მუშაობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 22 ნოემბრის № 1248 ბრძანებაში მითითებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

3. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ ცხინვალისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებს, კვლავ განაგრძონ ღონისძიებათა გატარება აღნიშნულ ბრძანებაში მითითებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებმა:

ა) ა/წლის 15 აპრილამდე პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განიხილონ განათლების სამინისტროს 1965 წლის 22 ნოემბრის № 1248 ბრძანება (კრებული № 11--12, 1965 წ.) და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) ამთავითვე გაშალონ მუშაობა რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე, წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებული ახალგაზრდების სწავლებაში ჩასაბმელად და ახალი, 1966—1967 სასწავლო წლის ორგანიზებულად დასაწყებად.

5. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ (ამხ. გ. თ. ძაგოევმა) 1966 წლის 1-ლ ივნისამდე წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 22 ნოემბრის № 1248 ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 25 მარტის სხდომის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე უშ. ოზოლაძე

УТВЕРЖДАЮ  
Зам. Министра просвещения  
Грузинской ССР Уш. Оболадзе  
8 апреля 1966 г.

## У К А З А Н И Я

о проведении выпускных экзаменов и экзаменов на аттестат о среднем образовании в общеобразовательных школах при домах офицеров и офицерских клубах в 1965—1966 учебном году

1. Учебные занятия в общеобразовательных школах при домах офицеров и офицерских клубах в 1965—1966 учебном году заканчиваются 30 апреля.

2. Выпускные экзамены в восьмых классах проводятся с 5 по 14 мая включительно.

3. Экзамены на аттестат о среднем образовании проводятся с 3 по 26 мая включительно.

4. Письменные экзамены в восьмом классе проводятся: по русскому языку—5 мая, по алгебре с арифметикой—10 мая.

5. Письменный экзамен в одиннадцатом классе по литературе (сочинение) проводится—4 мая.

6. Письменный экзамен проводится по текстам, утвержденным Министерством просвещения ГССР. Для школ, находящихся на территории Грузинской ССР, тексты будут высланы Политическим Управлением Закавказского военного округа.

По всем вопросам подготовки и проведения экзаменов школы должны руководствоваться инструкцией о проведении экзаменов за курс восьмилетней и средней школы Министерства просвещения РСФСР (см. Сборник приказов и инструкций Министерства просвещения РСФСР № 35, декабрь 1965 г.).

7. Учащимся общеобразовательных школ при домах офице-



ров и офицерских клубах на период экзаменов предоставляется отпуск с сохранением зарплаты: VIII классов—8 рабочих дней; XI классов—20 рабочих дней.

8. В целях лучшей подготовки и проведения экзаменов в общеобразовательных школах при домах офицеров и офицерских клубах, для оказания необходимой помощи и обеспечения надлежащего контроля за точным соблюдением инструкции Министерства просвещения РСФСР городским и районным отделам просвещения предлагается провести следующие мероприятия:

а) в соответствии с инструкцией от 5 апреля 1966 года утвердить состав экзаменационных комиссий для проведения экзаменов на аттестат о среднем образовании в общеобразовательных школах при домах офицеров и офицерских клубах;

б) провести инструктивное совещание директоров вышеуказанных школ по вопросам проведения экзаменов;

в) осуществлять систематический контроль за организацией и проведением экзаменов и в случае обнаружения недостатков, принимать совместно с политорганами частей необходимые меры к их устранению;

г) своевременно обеспечить общеобразовательные школы при домах офицеров и офицерских клубах свидетельствами о восьмилетнем образовании и аттестатами о среднем образовании;

д) результаты экзаменов и итоги учебного года в общеобразовательных школах при домах офицеров и офицерских клубах кратко осветить в годовом отчете Министерства просвещения АССР, городских и районных отделов просвещения в разделе о работе вечерних и заочных школ на 1965—1966 учебный год.

**Основание:** Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 8 апреля 1966 года.

Начальник управления вечерних  
и заочных школ **Р. Канделаки**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 11 აპრილის ბრძანება № 392

განათლების ორგანოებისა და სკოლების ამოცანების შესახებ 1966 წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა განხორციელების საქმეში

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 22 მარტს მიიღეს დადგენილება 1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ.

იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი წლით შემცირდა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ვადა და 1966 წელს ერთსა და იმავე დროს ამთავრებენ სკოლას მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლენი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს ფართო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ 1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლის შემდგომ გაგრძელებას, ან მათ ჩაბმას სამუშაოდ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

გასულ წელთან შედარებით, საგრძნობლად გაზრდილია მიღების გეგმა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის განყოფილებებზე.

გათვალისწინებულია წინასწარი პროფესიული მომზადებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებანი იმ ახალგაზრდობისათვის, რომლებიც ვერ გააგრძელებენ სწავლას წარმოებიდან მოწყვეტით.



გაზრდილია მიღების გეგმა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. გათვალისწინებულია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტების დროს ცალკეული ჯგუფების შექმნა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის. იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში მსხვილ ქარხნებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებთან იქმნება ტექნიკური სასწავლებლები, მათგან სხვადასხვა სპეციალობის კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად.

სამინისტროებისა და უწყებების მიერ წარმოებებთან და პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებთან, სახალხო მეურნეობის დარგებში კადრებზე მოთხოვნილების გათვალისწინებით, ეხსნება სწავლების მოკლევადიანი კურსების ფართო ქსელი წარმოებიდან მოწყვეტით, ვადით 6 თვემდე, ხოლო უფრო რთულ პროფესიებში ერთ წლამდე, წარმოებისათვის კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად, იმ ახალგაზრდებისაგან, რომლებმაც დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა.

სათანადო ორგანიზაციებს დავალებული აქვთ სრულ წესრიგში მოიყვანონ ბაზები, გააფართოონ საამქროები, მიიღონ ზომები სხვადასხვა სახის კურსებისა და სასწავლებლების დროულად გახსნისათვის და ყველა აუცილებელი პირობების მოსამზადებლად ახალგაზრდების სწავლებისა და სამუშაოზე მოწყობისათვის.

დადგენილების შესაბამისად, ახალგაზრდები დაუბრკოლებლად უნდა იქნენ მიღებულნი სამუშაოზე რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

დაწესებულია ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღების ჯავშანი მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით 0,5-დან 10 პროცენტამდე.

დადგენილება ავალებს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, გააძლიერონ კონტროლი წარმოებაში ახალგაზრდობის მიღებისადმი, მისი პროფესიული სწავლების, აღზრდისა და შრომითი გამოყენებისადმი.

საქართველოს პროფსაბჭოსა და ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებს დავალებული აქვთ კონტროლი გაუწიონ იმას,



რომ სამეურნეო ხელმძღვანელებმა დაიცვან ახალგაზრდობის შრომის დაცვის კანონები; გააძლიერონ პროფკავშირული ორგანიზაციების როლი მუშაობაში, რაც დაკავშირებულია ახალგაზრდობის საწარმოო-ტექნიკურ სწავლებასთან, მისთვის შრომისა, დასვენებისა და სხვა საყოფაცხოვრებო პირობების შექმნასთან.

დადგენილება ავალებს სახალხო განათლების ორგანოებს კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გააძლიერონ მუშაობა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა მისი უფრო ფართოდ მიზიდვა სამუშაოდ მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, აგრეთვე სხვა იმ დარგების საწარმოებში, რომლებიც დაკავშირებული არიან მოსახლეობის მომსახურებასთან.

დადგენილებით შექმნილია ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის რესპუბლიკური კომისია, ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიები შექმნილია აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან კომისიის თავმჯდომარის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების, სახალხო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

განათლების სამინისტრომ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების საქმეში განათლების ორგანოებისა და სკოლების მონაწილეობის შესახებ მიმდინარე წლის 24 მარტს ჩაატარა ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირი; მის მუშაობაში მონაწილეობდნენ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეები, მონაწილეობდნენ აგრეთვე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. თათბირზე განათლების ადგი-

ლობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს სათანადო დავალება მიეცათ იმის შესახებ, თუ რა მუშაობა უნდა იქნეს ჩატარებული განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში სამუშაოდ მოწყობისა და სწავლის შემდგომ გაგრძელებასთან დაკავშირებით.

ამ მიმართებით სახალხო განათლების ორგანოებსა და სკოლებში მუშაობის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით.

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) საუფუძვლიანად გაეცნონ საქართველოს კპ (ენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 მარტის № 180 დადგენილებას „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“ და ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიებთან შვიდრო კავშირში, განუხრელად იხელმძღვანელონ აღნიშნული დადგენილებით;

ბ) კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, გააძლიერონ მუშაობა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის, იმის მხედველობაში მიღებით, რომ უფრო ფართოდ იქნას ჩაბმული ახალგაზრდობა სამუშაოდ მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, აგრეთვე სხვა იმ დარგებში საწარმოებში, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის მომსახურებასთან;

მიიღონ ზომები, რათა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში გაგზავნილნი იქნენ სამუშაოზე უპირატესად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ქალიშვილები;

გ) გააძლიერონ აღმზრდელობითი, ახსნა-განმარტებითი მუშაობა თითოეულ კლასში, თითოეულ კურსდამამთავრებელ მოსწავლესთან, მისცენ მათ შესაფერი რჩევა-დარიგება, რათა თითოეულმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა აირჩიოს სწავლისა და შრომის შემდგომი სწორი გზა;

ჩატარონ აგრეთვე სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსწავლეთა მშობლებთან;

დ) მოაწყონ სკოლებში შეხვედრები და საუბრები წარმოების მოწინავეებთან, სპეციალისტებთან—ინჟინრებთან, აგრონომებთან, ზოოტექნიკოსებთან და სხვ. მოაწყონ მოსწავლეთა ექსკურსიები მოწინავე მეურნეობებში, საწარმოებში;

ე) იზრუნონ იმ ახალგაზრდებ ს შრომით მოწყობაზე, რომლებიც უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შემდეგ არ იქნებიან ჩარიცხულნი სასწავლებლებში;

ვ) განათლების ორგანოებსა და სკოლებში იქონიონ ზუსტი აღრიცხვა და სათანადო ცნობები საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებზე მათი შემდგომი სწავლისა და შრომითი მოღვაწეობის შესახებ;

ზ) ამ საკითხზე ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 20 სექტემბრამდე.

2. სკოლების სამმართველომ მიმდინარე წლის მეორე და მესამე კვარტალში გაითვალისწინოს ამ ბრძანების შესრულების შემოწმება რამდენიმე რაიონსა და ქალაქში და შედეგების მოსმენა განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ ამთავითვე დასახოს სათანადო ღონისძიებანი იმ რვაწლიან სკოლებთან, სადაც საამისო პირობებია, IX კლასების გახსნისა და საერთოდ IX კლასებში მისაღები მოსწავლეთა კონტინენტის გადიდების შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 8 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე უ. ოზოლაძე

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966  
წლის 12 აპრილის ბრძანება № 404**

**კოჯრასა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მიერ 1965 წლებში რბილ და მაგარი ინვენტარის შეძენის შემოწმების შედეგების შესახებ**

შემოწმებით დადგენილია, რომ კოჯრის საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატის და ბეთანიის სკოლა-ინტერნატის დირექტორები დიდი რაოდენობით იძენენ სხვადასხვა რბილსა და მაგარ ინვენტარს გარდაბნის რაიონის კურორტვაქრობის სავაქრო ობიექტებიდან და კოჯრის სოფლის კოოპერატივიდან, ადგილი აქვს აგრეთვე კვების პროდუქტების შესაძენად ვადარიცხული თანხებით ინვენტარის შეძენის შემთხვევებს. იმ სახის ინვენტარი, რომელიც სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მიერაა სხვადასხვა მაღაზიებიდან შესყიდული დიდი რაოდენობით არის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს ბაზაში. სავაქრო ქსელში კოჯრის სკოლა-ინტერნატის (დირექტორი გ. სულავე) მიერ შეძენილია 10901 მანეთისა და 67 კაპიკის სხვადასხვა ინვენტარი, № 6 საბავშვო სახლის (დირექტორი ო. გოცირიძე) მიერ შესყიდულია 4892 მანეთის, № 5 საბავშვო სახლის (დირექტორი ვ. სიხარულიძე) მიერ შესყიდულია 3964 მანეთის, № 4 საბავშვო სახლის (დირექტორი მ. სიმონიშვილი) მიერ შესყიდულია 1178 მან. და 85 კაპიკის, № 3 საბავშვო სახლის (დირექტორი ე. ჯაფარიძე) მიერ შესყიდულია 2462 მანეთისა და 76 კაპიკის, № 2 საბავშვო სახლის (დირექტორი ზ. ვაწაძე) მიერ შესყიდულია 4698 მანეთის, № 1 საბავშვო სახლის (დირექტორი მ. მგალობლიშვილი) მიერ შესყიდულია 4251 მანეთის, ხოლო ბეთანიის სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ქ. ტომარაძე) მიერ კი შესყიდულია 4306 და 90 კაპიკის სხვადასხვა რბილი და მაგარი ინვენტარი. სულ კოჯრის საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატის მიერ შესყიდულია კოჯრის სოფლის კოოპერატივიდან და გარდაბნის კურორტ-



ვაჭრობიდან 35920 მანეთის რბილი და მაგარი ინვენტარი, შორის ძირითადად შექმნილია მაგიდები, საწოლები, ლეიბები, საბანი შალის, საბანი ბამბის, ფორმის კოსტუმები, ფორმის კაბები, წინსაფრები, პერანგები, პირსახოცები, ფეხსაცმელი, ტყავის ნაჭრები და სხვა მრავალი. ადგილი აქვს საკასო დისციპლინის უხეშ დარღვევებს. სახელდობრ კვებია პროდუქტების შესაძენად გადარიცხული თანხებით პროდუქტების ნაცვლად გამოაქვთ სხვადასხვა ინვენტარი. ზემოდ აღნიშნულ დარღვევათა სალიკვიდაციოდ

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. რესპუბლიკის საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებს კატეგორიულად აეკრძალოთ სავაჭრო ორგანიზაციებიდან იმ სახის საქონლის შესყიდვა, რომელიც აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს ბაზას.

2. დაევალოს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების და სხვა საბავშვო დაწესებულებების დირექტორებსა და გამგეებს, დროულად წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში განაცხადი მათთვის საჭირო რბილი და მაგარი ინვენტარის მოთხოვნის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს (ამხ. არგელაძეს) უზრუნველყოს მიღებული განაცხადების თანახმად ბაზებში ყველა სახის ინვენტარის შემოზიდვა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. ვ. ჩინჩალაძეს), მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს (ამხ. ს. არგელაძეს), სარევიზიო ჯგუფს (ამხ. დ. ყარაშვილს), პერიოდულად შეამოწმონ სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში ინვენტარის შექმნის წესი და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით გაატარონ სათანადო ღონისძიებანი.

5. პროდუქტების შესაძენად გადარიცხული თანხიდან ინვენტარის გამოტანის გამო, რაც საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევაა კოჯრის № 2 საბავშვო სახლის დირექტორს მ. ვაჭაძეს გამოეცხადოს საყვედური.

6. ზემოთ აღნიშნული წესით სავაჭრო ქსელიდან რბილი და მაგარი ინვენტარის შესყიდვის გამო კოჯრის სკოლა-ინტერნატის

დირექტორს ზ. სულავას, № 6 საბავშვო სახლის დირექტორს  
გოცირიძეს, № 5 საბავშვო სახლის დირექტორს სიმონიშვილს,  
№ 3 საბავშვო სახლის დირექტორს ე. ჯაფარიძეს, № 1 საბავშვო  
სახლის დირექტორს მ. მგალობლიშვილს და ბეთანის სკოლა-ინ-  
ტერნატის დირექტორს ქ. ტომარაძეს მიეთითოთ.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე უშ. თბოლაძე

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966  
წლის 13 აპრილის ბრძანება № 411**

**1965 წლის სასკოლო მშენებლობის გეგმების შესრულებისა და  
მიმდინარე წლის მშენებლობის გეგმის შესახებ**

კოლეგია აღნიშნავს, რომ გასულ წელს მოიჯარადრე მშენებელმა ორგანიზაციებმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს, რის შედეგად გადაჭარბებით იქნა შესრულებული სკოლების, სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსების, საბავშვო დაწესებულებების და სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმები, რაც აღნიშნულია საქართველოს სსრ-მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 5 თებერვლის № 66 დადგენილებაში.

1965 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა სასკოლო შენობები 20914 მოსწავლე ადგილით, ნაცვლად სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმით გათვალისწინებული 18196 ადგილისა. სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა შენობები გადაეცა მთლიანად, გეგმით გათვალისწინებულ 4510 ადგ. სკოლა-ინტერნატების საერთო საცხოვრებლები—3000 კვ. მეტრი და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები 2000 კვ მეტრი ფართობით.

სასკოლო მშენებლობის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს რუსთავის № 1 სამშენებლო ტრესტმა (ამხ. ზ. ჯაფარიძე), ქუთაისის № 4 ტრესტმა (ამხ. ო. ბიბილეიშვილი), მთავართბილმშენმა (ამხ. გ. შენგელია), ქიათურმშენმა (ამხ. გ. შანიძე), საქშახტმშენმა (ამხ. შ. გარდაფხაძე).

დიდი მუშაობა ჩაატარა განათლების სამინისტროს რესპუბლიკურმა საპროექტო კანტორამ, რომელმაც დროულად უზრუნველყო გასულ წელს არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენების სამუშაოები საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციით.

მთელმა რიგმა ადგილობრივმა საბჭოს აღმასკომებმა და სარემონტო სამშენებლო კანტორებმა შეასრულეს სასკოლო მშენებლობის გაფართოება-რეკონსტრუქციის და სასკოლო ოთახების მიშენების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმები, ასე, მაგალითად, ქიათურის რაიონში არსებულ სასკოლო შენობებს მიუშენდა და 1 სექტემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა საკლასო ოთახები 420 მოსწ. ადგილით, ახალქალაქის რაიონში—600, სამტრედიის—510, საჩხერის—750, თეთრიწყაროს—450, ოჩამჩირის—1160, კასპის—690. გავრის—420, ბათუმის—600, ფოთის—560, გორის—450, მარნეულის—440, მახარაძის 480 და ორჯონიკიძის 600 ადგილით. სულ გასულ წელს არსებულ სასკოლო შენობებს მიშენდა 816 ახალი საკლასო ოთახი 19776 მოსწავლე ადგილით. გასულ წელს, გარდა ამისა, ჰიდროენერგომშენმა თავის სახსრებით ააშენა და ექსპლოატაციაში გადასცა ქ. თბილისში, კიროვის სახ. რ-ში, სკოლა 964 მ. ა. და უსინათლოთა საზოგადოებამ 26 კომისრის სახელობის რაიონში—სკოლა 480 მოსწ. ადგილით.

ამასთანავე, სასკოლო მშენებლობის საქმეში, მრავალ ნაკლოვანებას აქვს ადგილი დღემდე მოუგვარებელია ტიპური პროექტების გამოყენების და ადგილზე მორგების საკითხი. „საქქალაქმშენსახპროექტი“ და მისი ფილიალები ძალზე აჭიანურებენ სკოლებისა და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების პროექტების დამუშავებას, არახარისხონა და ამუშავებენ პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებში უშვებენ შეცდომებს.

მაგალითად, წყალტუბოს რაიონის თერნალის სკოლის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში მთლიანად გამოტოვებული იყო 1 სართულის გადახურვის მოწყობის, ხოლო ამავე რაიონის საბავშვო ბაღის მშენებლობაზე—1 სართულის სამლესაო სამუშაოების ღირებულება, სამუშაოთა მოცულობის არასწორი ანგარიშის შედეგად კასპის საბავშვო ბაღის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5437 მანეთით გაიზარდა, ხოლო ქუთაისის სკოლისა—14000 მანეთით; ადგილი აქვს ტიპური პროექტის ადგილზე არასწორად მორგების შემთხვევებს, მაგალითად, ქ. ზუგდიდში, ფოთში, ქუთაისში და მახარაძეში საბავშვო ბავა-ბაღის პროექტები მორგებულია ადგილებზე სარდაფის სართულის გათვალისწინებით, მაშინ როდესაც ამ რაიონებში მაღალ დონეზე დგას ყამირის წყლები და სარდაფის მოწყობა საერთოდ შეუძლებელია და სხვა.

1966 წელს სასკოლო მშენებლობის გეგმა გასულ წელთან შედარებით შემცირებულია და განისაზღვრება 10707 ათასი მანეთის

ოდნობით, მათ შორის საბინაო მშენებლობის ხაზით—600 ათასი მანეთი. მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში უნდა გადაეცეს 46 სასკოლო შენობა 14044 მოსწავლე ადგილით, 41 საბავშვო დაწესებულება 5245 ბავშვთა ადგილით, სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსები 3360 კვ. მეტრის ფართობით და სოფლად მომუშავე მასწავლებელთა 31 საცხოვრებელი სახლი; 2000 კვ. მეტრი ფართობით; სულ მიმდინარე წელს მშენებლობაში იქნება—185 ობიექტი.

მოიჯარადრე მშენებელ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არა აქვთ დაწყებული მუშაობა 14 ობიექტზე, მათ შორის 9-ზე მშენებლობის ტერიტორიის გაუთავისუფლებლობის გამო ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მიერ, ხოლო დანარჩენებზე მშენებელი ორგანიზაციის მიზეზით. ასე, მაგალითად, ქ. თბილისში გეგმით გათვალისწინებულ ბავა-ბალიდან, ორგან იყო დაწყებული მშენებლობა და 1 იანვრის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 68%-ით. ზოგიერთი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილების გამგებმა დღემდე არ უზრუნველყვეს მოიჯარადრე მშენებელ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების გაფორმება—18 ობიექტზე არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები.

მიმდინარე წელს ადგილობრივი საბჭოს აღმასკომებმა ბიუჯეტის თანხებიდან სარემონტო კანტორების მეშვეობით არსებულ სასკოლო შენობებს უნდა მიაშენონ 850 საკლასო ოთახი. 22900 მოსწავლე ადგილით, რაც უნდა შესრულდეს ადგილობრივი სარემონტო კანტორების საშუალებით, მაგრამ უმეტეს რაიონებსა და ქალაქებში საშუაოები ჯერ კიდევ არ არის დაწყებული.

აფხაზეთის, აჭარის ასსრ განათლების მინისტრები, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის და რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილების გამგეები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ სათანადო კონტროლს 1966 წლის გეგმით გათვალისწინებულ ობიექტებზე, მშენებლობის დროულად დაწყებასა და მათ მიმდინარეობაზე, არაღამაკმაყოფილებლად ესმარებიან მოიჯარადრე მშენებელ ორგანიზაციებს დავალებული გეგმების შესრულების საქმეში, რაც იწვევს მშენებლობის ვაჭიანურება-ჩამორჩენას.

სახალხო განათლების ობიექტების 1966 წლის მშენებლობის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სამი-

ნისტროებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომისა და ქალაქები  
სა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) შეისწავლონ ადგილებზე განათლების თითოეული ობიექტის  
მშენებლობის მდგომარეობა, მშენებლობის დამატარებელი მიზე-  
ზები და მიიღონ სასწრაფო ზომები როგორც სამუშაოების დაუ-  
ყოვნებლივ დაწყებისა, ისე დადგენილ ვადებში შესრულებისათვის;

ბ) მიიღონ ზომები მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციებ-  
თან ხელშეკრულებების დაუყოვნებლივ გაფორმებისა და მშენებ-  
ლობის დაუბრკოლებლივ ფინანსირებისათვის.

2. დაევალოს სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას:

ა) გააძლიეროს კონტროლი სახალხო განათლების ობიექტე-  
ბის მშენებლობაზე, განსაკუთრებით ახალი სასწავლო წლისათვის  
ექსპლოატაციაში გასაშვებ იმ სკოლებისა და საბავშვო დაწესებუ-  
ლებათა მშენებლობაზე, რომლებიც უნდა დაწყებულიყო მიმდინა-  
რე წლის იანვრის თვეში;

ბ) დროულად დააყენოს საკითხი ყოველ საჭირო შემთხვევა-  
ში მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციების წინაშე სასკოლო  
მშენებლობის ტემპების გაძლიერების შესახებ და მიაღწიოს იმას,  
რომ მშენებლობის გეგმები დროულად სრულდებოდეს.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს  
და ყველა მოიჯარადრე მშენებელ ორგანიზაციებს აწარმოონ სას-  
კოლო ობიექტების მშენებლობა ტექნიკური ნორმებისა და პირო-  
ბების დაცვით, მკვეთრად გააუმჯობესონ საბავშვო დაწესებულება-  
თა მშენებლობის ხარისხი.

4. ეთხოვოს ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიმ-  
დინარე წლის 15 მარტამდე გაათავისუფლოს საბავშვო ბავა-ბაღე-  
ბის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია, რათა უზრუნ-  
ველყოფილი იქნეს გასაშვები ობიექტების მშენებლობის დაწყება  
და დროული დამთავრება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966  
წლის 14 აპრილის ბრძანება № 417**

**რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის ზოგადსაგანმანათ-  
ლებლო სკოლების V—XI კლასებში ქართული ენისა და ლიტე-  
რატურის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ**

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქალ. თბილისის, ყვარლის, დუშეთის, ახმეტის, ვანისა და აბაშის რაიონების სკოლების ხელ-  
მძღვანელთა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ-  
თა ერთ ნაწილს შეგნებული აქვს ამ საგნის სწავლების დიდი მნი-  
შვნელობა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან და მაღალ მაჩვენებლებს აღწე-  
ვენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: შ. გიგაშ-  
ვილი, ბ. ფუთურაძე, ლ. სიჭინავა (თბილისის 1-ლი საშუალო სკო-  
ლა), მ. ჩლაიძე (ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლა), ე. კობია-  
შვილი, ე. ძიძიგური და ს. შოშიტაიშვილი (თბილისის 29-ე საშ.  
სკოლა), მ. მეტრეველი და გ. ვარადაშვილი (ყვარლის რაიონი, გა-  
ვაზის საშუალო სკოლა), ვ. კოკარაშვილი (ყვარლის I საშუალო  
სკოლა); ს. ბეროშვილი (ყვარლის II საშუალო სკოლა), მ. ლათაჩი-  
შვილი (ყვარლის რაიონი, შილდის საშუალო სკოლა), თ. კილაძე  
(დუშეთის I საშუალო სკოლა), ვ. დინუაშვილი (დუშეთის რაიონი,  
ჩირიკის რვაწლიანი სკოლა), ნ. პეტრიაშვილი (ახმეტის 1-ლი საშუ-  
ალო სკოლა), ი. ქეშიკაშვილი (ახმეტის რაიონი, ქისტაურის საშუ-  
ალო სკოლა), ნ. გიორგაძე (ვანის 1-ლი საშუალო სკოლა), ლ. კვან-  
ტალიანი (აბაშის რაიონი, ონტოფოს საშუალო სკოლა), ვ. ჩაგანა-  
ვა და ა. ჭანტურაია (აბაშის II საშუალო სკოლა), გ. სულავა,  
ა. თარაზოვი და ქ. იობაძე (აბაშის რაიონი, სეფიეთის საშუალო  
სკოლა).

მიუხედავად ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავ-  
ლების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენასა და ლი-  
ტერატურას V—VIII კლასებში მასწავლებლები: ქ. კუნჭულია (თბი-

ლისის 22-ე საშუალო სკოლა), ე. ბუჩუკური (დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლა), ნ. ქადაგიძე (ახმეტის რაიონი, ზემო ალავნის საშუალო სკოლა), მ. ფხაკაძე და ჟ. ლომიძე (ვანის რაიონი, შუა გორის საშუალო სკოლა).

დასახელებული მასწავლებლები ქართული ენის გრამატიკის სწავლებისას არ ატარებენ მუშაობას მოსწავლეებში თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების ჩვევათა დასანერგავად, მათი ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, ხშირ შემთხვევაში გრამატიკის სწავლება სასაუბრო და ლიტერატურული მეტყველებისაგან მოწყვეტილად მიმდინარეობს. ძალზე დაბალია მოსწავლეთა მეტყველების დონე, სათანადო ყურადღება არ ექცევა ნაწარმოების დედააზრის, მხატვრული მხარის, ენის, ლექსიკის შესწავლას, ნაწარმოების შესწავლისას ქართული ენის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის განმტკიცებას და გამომეტყველებით კითხვის-დაუფლებას.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ახასიათებს ქართული ლიტერატურის სწავლებას IX—XI კლასებში. მასწავლებლები ა. დვალი (ყვარლის რაიონი, საბუის საშუალო სკოლა), დ. ბუჩაშვილი და ლ. ჟამუტაშვილი (დუშეთის I-ლი საშუალო სკოლა), მ. კაციაშვილი (ახმეტის I-ლი საშუალო სკოლა), ნ. სანდალაშვილი (ახმეტის რაიონი, ზემო ალავნის საშუალო სკოლა) არაღამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ისინი ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეებში მხატვრული ნაწარმოების დამოუკიდებლად შესწავლის ჩვევების აღზრდას, მოსწავლეებმა სუსტად იციან ტექსტები და საზეპირო ადგილები; მასწავლებლები მოსწავლეებს სათანადოდ ვერ განუმარტავენ ნაწარმოების იდეურ აზრს, ხოლო რაც შეეხება მხატვრულ მხარეს—ეს ნაკლებად ისწავლება სკოლებში.

არაღამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს „მეთოდური მითითებანი წერიითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში“. არ იცავენ წერიითი მუშაობის სახეებს, მოსწავლეებს ამუშავებენ ერთი და იგივე ხასიათის თემებზე, როგორცაა: ნაწარმოების შინაარსი, მოქმედ პირთა დახასიათება, მწერლის შემოქმედება. ხშირად მასწავლებლები უყურადღებოდ ასწორებენ წერით ნამუშევრებს და აფასებენ ლიბერალურად, აგრეთვე არასაკმაო რაოდენობით ატარებენ ვარჯიშს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომათა გასწორებაზე. მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ გამომუშავებული წერის ჩვევები, ისინი

ხშირად მწერლის შემოქმედებაზე ზოგადად მსჯელობენ და კმაყოფილდებიან სახელმძღვანელოდან ან ცალკეული კრიტიკული წერილებიდან ამოღებული ფრაზებით. დამამთავრებელ X და XI კლასებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა არასასურველი შედეგები გამოავლინა, მაგალითად, ახმეტის რაიონის ზემო ალვანის XI კლასის (მასწავლებელი ს. ბაიხოიძე) 20 მოსწავლიდან საკონტროლო წერაში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 12 მოსწავლემ, ვანის რაიონის შუა გორის საშუალო სკოლის X და XI კლასების (დროებითი მასწავლებელი ლ. გურგენიძე) 74 მოსწავლიდან—37, ყვარლის რაიონის შილდის საშუალო სკოლის (მასწავლებელი მ. ასისტიშვილი) 23 მოსწავლიდან—16, ხოლო ექვსმა მოსწავლემ წერას თავი აარიდა. აღსანიშნავია, რომ სხვა სკოლებშიაც საკონტროლო წერაში მოსწავლეთა ნახევარმა არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო, ხოლო ფრიადოსანი მოსწავლეები ვერ ამართლებენ სკოლის მიერ დაწერილ ნიშანს და უფრო მეტად ღებულობენ დამაკმაყოფილებელ ან გამონაკლის შემთხვევაში კარგ ნიშნებს. მასწავლებლები სისტემატურად ანდა ზოგჯერ სრულებით არ ასწორებენ საკლასო და საშინაო წერით ნამუშევრებს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ამ საგნის მასწავლებელთა ერთი ნაწილი ფორმალურად ეკიდება თავის მოვალეობას, არ იმალლებს იდეურ-პოლიტიკურსა და პედაგოგიურ-მეცნიერულ დონეს, არ ემზადება გაკვეთილებისათვის.

უფერულად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მეტოდგაერთიანებები. მათი სამუშაო გეგმები ზოგადია. წაკითხული მოხსენებები ზერელე და უწიგნურია. სკოლებში ნაკლებად წარმოებს მასწავლებელთა შორის მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება. მასწავლებელთა შორის იშვიათად ეწყობა ლექცია-მოხსენებები სწავლისა და აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლით დაინტერესებისათვის ნაკლებად არის გამოყენებული საწერო მუშაობა. სკოლებში არსებული წრეების საქმიანობა მოსწავლეთათვის არასაინტერესოა, ვინაიდან სხდომებზე იკითხება კრიტიკული ნარკვევებიდან გადაწერილი მოხსენებები ან რეფერატები. არ ეწყობა ლიტერატურული ექსკურსიები, მუზეუმების დათვალიერება, თეატრული დადგმების, კინოფილმების ნახვა და განხილვა.

მოსწავლეები არ არიან უზრუნველყოფილი ქართული ენისა



და ლიტერატურის სახელმძღვანელოებით. განსაკუთრებით დიდი როლია ნაკლებობა ლიტერატურული ტექსტებისა, მოსწავლეთა ლიტერატურული მოთხოვნის სერია საკმაოდ რაოდენობით არ ეგზავნება სკოლებს.

სასკოლო ბიბლიოთეკებსა და რაიონის პედაგოგიკურ კაბინეტებს არა აქვთ აუცილებელი პედაგოგიკურ-მეთოდური ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები.

აღნიშნული საგნის სწავლების გაუმჯობესებას ხელს უშლის ისიც, რომ ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვა. ასე, მაგალითად, თბილისის, ყვარლის რაიონის შილდის, საბურთის, დუშეთის I-ლი და II და სხვა სკოლების ზოგიერთ მასწავლებელს 7-10 კვირეული საათი აქვს.

ასეთი ნაკლოვანებანი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში გამოწვეულია იმითაც, რომ დედაენის სწავლებას დაწყებით კლასებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამ კლასების მასწავლებელთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს გაკვეთილზე კითხვის, გრამატიკის, მართლწერისა და მეტყველების განვითარების საკითხებზე ერთდროულად მუშაობას, რის შედეგადაც მოსწავლეებს შემდეგ კლასებში უძნელდებათ სწორი კითხვა, სუფთად და ლამაზად წერა და სწორი მეტყველება.

ამასთან მოსწავლეთა შორის ზეპირი და წერიტი მეტყველების დაბალი დონე განპირობებულია იმითაც, რომ წიგნიერების მაღალი კულტურისათვის ზრუნვა სკოლების მასწავლებელთა მთელი კოლექტივის ერთიანი ბრძოლის საგნად არაა გადაქცეული, შემჩნეულია, რომ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები მოსწავლეებისაგან არ მოითხოვენ ენობრივად გამართულ მეტყველებას.

ზემოაღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ სკოლის ხელმძღვანელებმა და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა უკანასკნელ ხანებში შეასუსტეს დახმარება და კონტროლი დედაენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეზე. სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში მცირე რაოდენობით ისმენენ გაკვეთილებს, ნაკლებად იხილავენ ამ საგნის სწავლების საკითხებს პედაგოგიკურ სხდომებზე, არ აძლევენ საჭირო მითითებებს მასწავლებლებს, მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები უწიგნური და არაფრის მთქმელია და არაა გასაკვირი, რომ ახმეტის რაიონის ზემო ალვანის (დირექტორი გ. შანჭიშვილი), ვანის რაიონის შუა გორის (დირექტორი გ. ლილუაშვილი), დუშეთის I

(დირექტორი ვ. ტუნტურიშვილი) საშუალო სკოლებში აღნიშნული საგნის სწავლება არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული.

შემოწმებულ არც ერთ რაიონში განათლების განყოფილებებს ცალკე არ შეუსწავლიათ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა, არ გაუხდიათ ის სახალხო განათლების საბჭოების მსჯელობის საგნად. რაიონის პედაგოგიური კაბინეტები სუსტად ეხმარებიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს მეთოდური დახელოვნების საქმეში, ნაკლებად აწყობენ მოწინავე გამოცდილებათა განზოგადებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ გაკვეთილის ხარისხი, რისთვისაც მტკიცედ განსაზღვრონ გაკვეთილის მასალა, გამოიყენონ აქტიური მეთოდები, შეარჩიონ დამხმარე ლიტერატურა, აგრეთვე თვალსაჩინოება, რომელთა გამოყენება შეიძლება გაკვეთილზე;

ბ) ქართული ენის გრამატიკის სწავლებისას მეტი ყურადღება დაუთმონ პრაქტიკულ ვარჯიშს, მკიდროდ დაუკავშირონ მისი სწავლება ლიტერატურას და ცოცხალ მეტყველებას, მოამზადონ მოსწავლეები თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისათვის;

გ) მოსწავლეებს მტკიცედ შეასწავლონ მხატვრული ნაწარმოების ტექსტის შინაარსი, საზეპირო ადგილები, ენა, ლექსიკა, იდეურ-მხატვრული მხარე;

დ) გამოუმუშაონ მოსწავლეებს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები; საინტერესო გახადონ ლიტერატურის წრეების მუშაობა, კონტროლი დააწესონ კლასგარეშე კითხვაზე, მოაწყონ ლიტერატურული ექსკურსიები, თეატრალური დადგმების, კინოფილმების ნახვა და განხილვა;

ე) გულდასმით იმუშაონ მოსწავლეთა წერითი მეტყველების მკვეთრად გასაუმჯობესებლად; მიიღწიონ მოსწავლეთა დამოუკიდებლობას წერით სამუშაოთა შესრულებისას; გულდასმით გაასწორონ როგორც საკონტროლო, ისე საკლასო-საშინაო წერითი ნამუშევრები, მოსწავლეები ავარჯიშონ დაშვებულ შეცდომათა გასწორებაზე;

ვ) მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს „მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის სახეების, რაო-

დენობისა და შეფასების ნორმების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში", არ დაუშვან მათი შეუსრულებლობა;

2. სკოლების დირექტორებმა და მათმა მოადგილეებმა სასწავლო მუშაობის დარგში:

ა) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობაზე; გულდასმით შეისწავლონ თითოეული მასწავლებლის მუშაობა და უზრუნველყონ მოწინავე გამოცდილების განზოგადება და შემჩნეულ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორება;

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურის ასამაღლებლად, მიაღწიონ მათ მიერ პროგრამით გათვალისწინებული მასალების შეგნებულად ათვისებას; არ დაუშვან განათლების სამინისტროს მეთოდური მითითების შეუსრულებლობა ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერიტი მუშაობის რაოდენობის სახეებისა და შეფასების ნორმების საკითხზე;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ V—XI კლასებში მოსწავლეების მიერ ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსის, საზეპირო ადგილების, იდეურ-მხატვრული ანალიზის საკითხების შესწავლას;

დ) გარდაქმნან ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი მეთოდგაერთიანებების მუშაობა, აღმოფხვრან ამ დარგში არსებული ფორმალისმი;

ე) გადაჭრით გააუმჯობესონ კლასგარეშე მუშაობა და იგი საინტერესო გახადონ მოსწავლეთათვის; აამაღლონ ამ საქმეში სასკოლო ბიბლიოთეკის როლი;

ვ) მიაღწიონ იმას, რომ ყველა კლასის და საგნის მასწავლებელი იბრძოდეს სკოლაში წერიტი და ზეპირი მეტყველების სიმინდისათვის; არ დაუშვან უწიგნურად კედლის გახეთების, ხელნაწერი ჟურნალების გამოშვება და საერთოდ სასკოლო დოკუმენტების შედგენა;

ზ) მიიღონ საჭირო ზომები სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად; შეიძინონ ამ საგნის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალები.

3. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო დირექტორებს გ. ლილუაშვილს (ვანის რაიონის შუა გორის საშუალო სკოლა), გ. შანჭიშვილს (ახმეტის რაიონის ზემო ალვანის

საშუალო სკოლა), ვ. ტუნტურაშვილს (დუშეთის I საშუალო სკოლა) მიეთითოთ;



4. ქ. თბილისის, ყვარლის, დუშეთის, ახმეტის, ვანისა და აბაშის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. თ. ევაძე, დ. ლაფაჩიშვილი, ა. ბალხამიშვილი, ს. სალაძე, მ. ხარხეიშვილი, ნ. ფოჩხუა):

ა) პერიოდულად შეისწავლონ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა, შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) გააძლიერონ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი; ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მუშაობა შეამოწმონ და, თუ ისინი უახლოეს დროში არ გააუმჯობესებენ სწავლებას, სათანადო წესის დაცვით, დააყენონ მათი სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი;

გ) გააუმჯობესონ პედაგოგიური კაბინეტის მუშაობა, მოაწყონ მოწინავე გამოცდილების განზოგადება; მიიღონ საჭირო ზომები სასკოლო და პედაგოგიური კაბინეტების ბიბლიოთეკების მეთოდური ლიტერატურით შესავსებად;

დ) გაატარონ სათანადო ღონისძიებანი მასწავლებელთა შორის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლო საათების დაქუცმაცების წინააღმდეგ; მომავალში არ დაუშვან მცირე საათებზე მასწავლებელთა დანიშვნა;

5. განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა ს/ს ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძე):

ა) განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებასთან (ამხ. ტ. ტყემალაძე) ერთად შეისწავლოს საკითხი IX—X კლასებისათვის ლიტერატურაში ქრესტომათიების გამოცემის განხლების შესახებ და დაამუშაოს გამოსაცემად ქართული ენის გრამატიკის სწავლებისათვის საჭირო ტაბულები, სქემები და სხვა თვალსაჩინო მასალები;

ბ) ფართოდ გაშალოს მუშაობა ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადებისათვის, ამ მიზნით მოისმინოს მასწავლებელთა გაკვეთილები, ჩაატაროს სემინარები და ლექციები მეთოდურ საკითხებზე;

6. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების

ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა) საკურსო, სასემინარო და სა-  
ლექციო მუშაობის გაუმჯობესებით ხელი შეუწყოს ქართული ენისა და  
ლიტერატურის სწავლების ამაღლების საქმეს.

7. ვაზეთ „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურ-  
ნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. გ. საჯაია) სისტემატურად  
გააშუქონ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხე-  
ბი; მეტი ადგილი დაუთმონ პრაქტიკოს მოწინავე მასწავლებელთა  
გამოცდილების განზოგადებას.

8. ეს ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა ზოგად-  
საგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური საბჭოების სხდომაზე  
და დასახოს საჭირო ღონისძიებანი ქართული ენისა და ლიტერა-  
ტურის სწავლების გასაუმჯობესებლად.

9. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) მტკიცე კონ-  
ტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე; პერიოდულად შეი-  
სწავლოს ცალკეულ რაიონებში ქართული ენისა და ლიტერატურის  
სწავლების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს განათლების სა-  
მინისტროს კოლეგიას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1966 წლის 25 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966

წლის 15 აპრილის ბრძანება № 421

გარდაბნის, გურჯაანისა და საღნაღის რაიონების სკოლებში შრომითი და საწარმოო სწავლების პროცესში უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შეხახებ

აღნიშნავ, რომ შემოწმებული რაიონებისა და სკოლების ხელმძღვანელების მიერ მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული სასწავლო სახელოსნოების მოწყობის, დანადგარებით შევსების, მოსწავლეთა შრომითი პროცესში უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის განმტკიცების საქმეში.

სახელოსნოების ოსტატების და შრომითი სწავლების მასწავლებლების მიერ სისტემატურად მოწმდება სახელოსნოების, მოწყობილობის, მისი ღობურების, სამუშაო იარაღებისა და მოსწავლეთა სამუშაო ადგილების წესრიგიანობა, ინსტრუქტორ-მასწავლებლები, როგორც წესი, მოსწავლეებთან ატარებენ საუბრებს და ინსტრუქტაჟს შრომის სწორად ორგანიზების საკითხებზე და მხოლოდ ამის შემდეგ მოსწავლეებს ნებას რთავენ იმუშაონ ჩარხებთან და ელექტრო-მოწყობილობებთან.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში საწარმოო სანიტარიის უკეთ დაყენების მიზნით საწარმოო სწავლების უბნებში, შრომითი სწავლების სახელოსნოებისა და სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში მოწყობილია მოსწავლეთათვის ზედა ტანსაცმლის შესანახი კარადები, ხელსაბანები, შექმნილია პირადი ჰიგიენის საგნები და პირველი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები.

შრომითი და პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო სახელოსნოების კეთილმოწყობის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის საქმეში კარგი მუშაობით გამოირჩევიან გარდაბნის რაიონის დაბა სამგორის (დირექტორი გ. მეფისაშვილი, სახელოსნოს ოსტატი ა. დათაშვილი), გარდაბნის პი-



რველი (დირექტორი ე. რაავა, სახელოსნოს ოსტატი ი. სირენჯი)  
 გურჯაანის რაიონის ველისციხის (დირექტორი ი. ქიტოშვილი, სა-  
 ხელოსნოს ოსტატი ნ. ვაბელია), გურჯაანის (დირექტორი ი. ბა-  
 კაშვილი, სახელოსნოს ოსტატი ი. მთიულიშვილი), კაჭრეთის სკო-  
 ლა-ინტერნატი (დირექტორი ნ. ანჯაფარიძე, სახელოსნოს ოსტა-  
 ტი შ. ასლამაზოვი); სიღნაღის რაიონის წნორის ქართული (დირე-  
 ქტორი ი. ჭაბაშვილი, სახელოსნოს ოსტატი რ. გვარამაძე) და  
 ბოდბის (დირექტორი ვ. ხუციშვილი, სახელოსნოს ოსტატი ა. ლე-  
 კიშვილი) საშუალო სკოლები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შრომის დაცვის, უსაფრთხო-  
 ბის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის საქმეში  
 ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ამ მხრივ სრულიად არა-  
 დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა გარდაბნის რაიონის სართი-  
 ქალის მეორე საშუალო სკოლაში (დირექტორი შ. ბედოძე, სახე-  
 ლოსნოს ოსტატი ზ. მჭედლიშვილი), სადაც საზეინკლო და სადურ-  
 გლო სახელოსნოების მოწყობილობა მოთავსებულია ბნელ და ავა-  
 რიულ სათავსოში. მოუწესრიგებელია ელექტროგაყვანილობა, გა-  
 ნათება და ვენტილაცია, დამიწებული არაა ელექტროძირავეების კო-  
 რპუსები, მოუწესრიგებელია საზეინკლო და სადურგლო დაზგები,  
 მოსწავლეთათვის არა აქვთ იარაღის შესანახი განჯინები და თა-  
 როები, მოსწავლეებს მუშაობა უხდებათ გაუმართავ და დაზიანე-  
 ბულ სამუშაო იარაღებით. უხეში ხმარების შედეგად 18 ჰორიზონ-  
 ტალურ საზეინკლო გირაგიდან მწყობრიდან გამოსულია 11, ქლი-  
 ბებს და ჩაქუჩებს არა აქვს სახელოურები, აუღესავია ყველა მჭრელი,  
 მჩეხი იარაღები და სხვ.

სიღნაღის რაიონის ულიანოვკის (დირექტორი ზ. გლადკოვი,  
 სახელოსნოს ოსტატი ი. სტარავეოიტოვი), მალაროს (დირექტორი  
 გ. მირაშვილი, სახელოსნოს ოსტატი ი. გოდერძიშვილი), გურჯაა-  
 ნის რაიონის გურჯაანის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ო. ოყ-  
 როშიძე, სახელოსნოს ოსტატი დ. უტიაშვილი) და ჩუმლაყის (დი-  
 რექტორი ლ. დულარიძე, სახელოსნოს ოსტატი მ. ბეროშვილი)  
 საშუალო სკოლებში საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოები  
 მოთავსებულია ნესტიან და ბნელ სარდაფებში, რომლებსაც არა  
 აქვს ვენტილიაცია. ამ სახელოსნოში დაზგები, ჩარხები, სამუშაო  
 იარაღები, კარადები ჩახერვილია გამოუსადეგარი მასალების ნარ-  
 ჩენებითა და ჩამოწერილი სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღებით. სრუ-  
 ლიად არ ექცევა ყურადღება სამუშაო იარაღების მზადყოფნის სა-

ქმეს. საზეინკლო დაზგებს არა აქვს დამცველი ლითონის ბადეები, პარალელური საზეინკლო გირაგები არასტანდარტულია, რას გამო მასზე შეუძლებელია საზეინკლო ოპერაციების ჩატარება. სახელოსნოში არსებული მოწყობილობის განლაგება არ შეესაბამება სასწავლო პროცესებს და ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა შრომის უსაფრთხოებას, ჩარხებს არ აქვთ დამიწება, მოძრავ ნაწილებს დამცველი გარცმები და ეკრანები. სახელოსნოს ოსტატი და შრომის მასწავლებლები უყურადღებოდ ეკიდებიან V—VI კლასების მოსწავლეებისათვის სამუშაო ადგილების მოწყობას, ამ მიზნით სრულებით არაა გამოყენებული ხის სადგომი სტელაჟები.

შემოწმებული სკოლების შრომითი სწავლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი სუსტად ემზადება ყოველდღიური მუშაობისათვის, წინასწარ არ გეგმავს მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის სახეებს, არ შმარაგებს საჭირო იარაღებს, მასალებს და ყოველივე ამის შედეგად დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს.

სიღნაღის საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (ე. საამიშვილი) არ იცავს პროგრამულ თანამიმდევრობას მასალის გავლისას და დაბალ დონეზე ატარებს მოსწავლეებთან პრაქტიკულ მუშაობას. V კლასში ფურცლოვანი ლითონისა და მავთულის დამუშავების ნაცვლად მან მოსწავლეები ავარჯიშა ქლიბით მრგვალი ღეროს ზედაპირის გასწორებაზე, მასწავლებელმა მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებს არ გააცნო ქლიბის სახეები, ცალკეული ილეთებო ქლიბებით მუშაობისას, უსაფრთხოების ტექნიკის წესები ქლიბვის დროს. მოსწავლეებმა ძალიან დიდი დრო მოანდომეს დაზგებზე გირაგების დამაგრებას და მასში ნაკეთობის ჩამაგრებას. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ამავე სკოლის VII კლასში.

გურჯაანის ქართული საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელმა (მ. შავგულიძე) VIII კლასში თემის „საყოფაცხოვრებო ელექტროსახურებელი ხელსაწყობების მოწყობილობა და დანიშნულება“ გადაცემა ყოველგვარი პრაქტიკული მუშაობის ჩატარების გარეშე მოახდინა, თვით მასწავლებელმაც ვერ შესძლო ელექტროუთოს დაშლა და ცალკეული ნაწილების მოსწავლეებისათვის გაცნობა.

ზოგიერთ შემოწმებულ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შრომითი სწავლების მასწავლებლებისადმი ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი. სკოლის დირექტორებს,

დირექტორის მოადგილეებს სასწავლო მუშაობის და საწარმოო სწავლების დარგში მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები შრომით სწავლებაში, ხოლო მათი ანალიზი ზოგადია და ქმედით დახმარებას ვერ უწევს მასწავლებლებს.

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სახელოსნოს ოსტატებმა და შრომითი სწავლების მასწავლებლებმა:

ა) სისტემატურად იზრუნონ სასწავლო და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების დაზგებით, ჩარხებით, სამუშაო იარაღებით, სამარჯვებითა და მასალებით შევსებაზე;

ბ) სრულ წესრიგში მოიყვანონ სასწავლო და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები, ზუსტად დაიცვან სახელოსნოებში არსებული დაზგების, ჩარხებისა და ხელსაწყო იარაღების შენახვის წესები;

გ) მუშაობის დაწყებამდე შეამოწმონ მოწყობილობის, მისი ღობურების, სამუშაო იარაღების წესრიგიანობა და არ დაუშვან მოსწავლეთა მუშაობა მოუწესრიგებელ მოწყობილობაზე;

დ) სისტემატურად ჩაატარონ ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე მუშაობის დაწყების წინ;

ე) პერიოდულად აწარმოონ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის მასობრივი პრობაგანდა პლაკატებით, ვიტრინებით, საუბრებით, კინოფილმებისა და დიაპოზიტების დემონსტრირებით.

2. სკოლის დირექტორებმა, დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო და საწარმოო მუშაობის დარგებში:

ა) განახორციელონ საჭირო ზომები სახელოსნოებისათვის სათანადო სათავსოების გამოყოფის მიზნით, უზრუნველყოთ სახელოსნოები აუცილებელი დგამ-ავეჯით, დაზგებით, ჩარხებით, სამუშაო იარაღებით, მასალებით, მოაწყონ ელექტროგაყვანილობა, განათება და ვენტილაცია;

ბ) უმოკლეს დროში, საშეჯო ორგანიზაციების დახმარებით, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი შემოღობვის ტექნიკისა, ელექტროუსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის საქმეში;

გ) სისტემატური კონტროლი დააწესონ სასწავლო სახელოსნოებში შრომითი სწავლებისა და პრაქტიკული მეცადინეობის გაკვეთილებზე; არ დაუშვან სათანადო ინსტრუქტაჟის გარეშე მოსწავლეთა მუშაობა ჩარხებთან და სამუშაო ადგილებზე;



დ) უზრუნველყონ მოსწავლეები სასწავლო სახელოსნოებში მუშაობის დროს წინსაფარებითა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

3 გარდაზნის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. გრ. რაზმაძე, მ. თოდაშვილი, ე. დალაქიშვილი);

ა) გაითვალისწინონ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ ურომითი და პოლიტექნიკური სწავლების საქმეში სკოლებზე ხელმძღვანელობა და კონტროლი, მეტი ზრუნვა გამოიჩინონ სასწავლო სახელოსნოების მოწყობისა და სასწავლო მუშაობაში მათ გამოყენებაზე;

გ) ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლების მიმართ გაითვალისწინონ ადმინისტრაციული სასჯელი.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 8 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 15 აპრილის ბრძანება № 423

**ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდე-  
ლობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ**

ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლები გარკვეულ და-  
დებით მუშაობას ატარებენ. მაგრამ, ამასთან ერთად, როგორც ეს  
სკოლების სამმართველოს ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენე-  
ბითი ბარათიდან ჩანს, შესწავლილი სკოლების მუშაობაში შეინიშ-  
ნება სერიოზული ნაკლოვანებანი.

ლარბია აღნიშნული რაიონების სკოლების მატერიალური  
ბაზა, სკოლებში არ არის მოწყობილი და სათანადოდ შევსებული  
სასწავლო სახელოსნოები, კაბინეტები და ლაბორატორიები. ზო-  
გიერთ სკოლაში საგნის მასწავლებლად მუშაობენ არასათანადო  
ცენზისა და გამოცდილების მქონე პირები. მასწავლებელთა  
ერთი ნაწილი ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდება საგნის სწავლე-  
ბას, არ მუშაობს თავის თავზე, რის გამო დაბალ მეცნიერულ-თეო-  
რიულ და პედაგოგიურ მეთოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს,  
არ ზრუნავს მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმ-  
ჯობესებისათვის, ამიტომ სუსტია მოსწავლეთა მომზადება ცალკეულ  
საგნებში და დაბალია დისციპლინა, რაც უპირველეს ყოვლისა,  
სკოლაში, მოსწავლეთა მოუმზადებლად გამოცხადებისა და არასა-  
პატიო მიზეზებით გაკვეთილების გაცდენებში ვლინდება. დირექ-  
ტორები და დირექტორების მოადგილეები სასწავლო მუშაობის  
დარგში არაადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მასწავლებლე-  
ბისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობას.

სკოლების მუშაობის გასაუმჯობესებლად ყველა საქირო ლო-  
ნისძიებას არ ატარებენ ადიგენისა და ასპინძის რაიონების განათ-  
ლების განყოფილებები.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ადიგენისა და ასპინძის რაიონების განათლების განყოფილებებმა (გამგეები პ. გზირიშვილი, ვ. თამაზაშვილი):

ა) ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი შეიტანონ პარტიის რაიონული კომიტეტების ბიუროებსა და რაისაბჭოს აღმასკომების სხდომებზე განსახილველად და საჭირო ღონისძიების გასატარებლად;

ბ) აღნიშნული მოხსენებითი ბარათი განიხილონ ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გასაუმჯობესებლად;

გ) სათანადო სასჯელი დაადონ მოხსენებით ბარათში დასახელებულ სუსტად ნომუშავე სკოლის დირექტორებს, დირექტორის მოადგილეებს სასწავლო მუშაობის დარგში და მასწავლებლებს;

დ) ახალი სასწავლო წლისათვის გადასინჯონ სკოლის დირექტორების, სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილეების კადრები, და ისინი, რომლებიც ვერ ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას, შესცვალონ უფრო ენერგიული და საქმიანი მუშაკებით;

ე) ჩამოართვან საათები იმ არასპეციალისტ მასწავლებლებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საგნის სწავლებას და შეცვალონ ისინი სათანადო ცენზის მქონე მასწავლებლებით;

ვ) ზუსტად აღრიცხონ სასკოლო ასაკის ბავშვები და ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყონ სწავლას ჩამოცილებული ყველა სასკოლო ასაკის ბავშვის ჩაბმა სწავლებაში;

ზ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლებში სასწავლო სახელოსნოების, კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოსაწყობად და მათი სათანადო ხელსაწყო-იარაღებით შესავსებად;

თ) აღკვეთონ სკოლებში მასწავლებელთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები.

2. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ა. კვაჭაძე) ცენტრალიზებული თანხებიდან ადიგენისა და ასპინძის რაიონებისათვის გაითვალისწინოს დამატებითი სახსრების გამოყოფა სასწავლო კაბინეტებისათვის ხელსაწყო-იარაღების შესაძენად.

3. განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის პროექტებზე (უფროსი შ. ბუთიკაშვილი) შეისწავლოს ასპინძის ადგილის რაიონებში სკოლების და სასკოლო ინტერნატების შენობებით უზრუნველყოფის საკითხი და წარმოადგინოს წინადადება.
4. სკოლების სამმართველო (ანხ. ჯავახია) დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 8 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს  
აშხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

მოსხენებითი ბარათი

ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრ-  
დელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ სკო-  
ლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორების შ. ლომიძის, ა. კი-  
ჭინაძის, ს. შახსუვარიანის, მეთოდისტების ა. აბაშიძის, ტ. ფაჩუა-  
შვილის და საზოგადოებრივი ინსპექტორის ბ. ქირიას შემადგენ-  
ლობით ა/წლის 2-დან 19 მარტამდე შესწავლა ადიგენისა და ას-  
პინძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

როგორც საკითხის შესწავლამ ცხადყო, ზემოხსენებული რაი-  
ონების სკოლებს ერთგვარი წარმატებები აქვთ მოპოვებული ცალ-  
კეული საგნების სწავლების საქმეში. შემოწმებული სკოლების მას-  
წავლებელთა გარკვეული ნაწილზე კეთილსინდისიერად, პასუხისმგებ-  
ლობის ღრმა შეგნებით მუშაობს, სერიოზულად ემზადება ყოველი  
გაკვეთილისათვის და მოსწავლეებსაც მტკიცე ცოდნა-ჩვევებს აძ-  
ლევს. კარგად მუშაობენ მასწავლებლები: დაწყებით კლასებში ე.  
ბარიკალოვა (ადიგენის საშ. სკ.), ფ. დემეტრაძე და მ. აბაშიძე  
(ადიგენის რაიონი, ვარხნის საშ. სკ.) ვ. კეშელავა (ბოლაჯაურის  
საშ. სკ.), ნ. ცინაძე, ლ. მელიქიძე (ასპინძის საშ. სკ.); ქართულ  
ენასა და ლიტერატურაში ლ. ნებიერიძე (ადიგენის საშ. სკ.), ც.  
მოდებაძე (ასპინძის რაიონი, ორგორის 8- წლიანი სკ.), შ. მერა-  
ბიშვილი (ადიგენის რაიონის უდის საშ. სკ.); სომხურ ენასა და ლი-  
ტერატურაში ს. ფარმანიანი და ტ. არაქელიანი (დამალის საშ. სკ.);  
რუსულ ენასა და ლიტერატურაში ლ. სუხმანი (ადიგენის რაიონი,  
უდის საშ. სკ.), გ. გრიგორიანი (ასპინძის რაიონი, დამალის საშ.  
სკ.), მ. აპოსტოლოვა (ასპინძის რაიონი, ორგორის 8 წლიანი სკ.);

მათემატიკაში დ. ცინაძე (ასპინძის საშ. სკ.), ლ. ჩილაშვილი (ადიგენის საშ. სკ.), შ. კაკოშვილი, მ. კობაძე (უდის საშ. სკ.), რ. ბალიანი (დამალის სომხური საშ. სკ.);

ქიმიკაში ს. მერაბიშვილი (უდის საშ. სკ.), ნ. ქარქაშიძე (ადიგენის საშ. სკ.), ლ. ბრეგვაძე (ასპინძის საშ. სკ.), რ. რევაზიანი (დამალის საშ. სკ.); ფიზიკაში გ. ტონაკიანი (დამალის საშ. სკ.); ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობაში დ. მიქაბერიძე (ადიგენის საშ. სკოლა), პ. წინწყალაძე (ასპინძის რაიონი, ტოლოშის საშ. სკ.), ა. ფარმანიანი (დამალის საშ. სკ.);

გეოგრაფიაში ა. ობოლაშვილი (უდის საშ. სკ.), ნ. ჟღენტო (ტოლოშის საშ. სკ.), ს. ანანიკიანი (დამალის საშ. სკ.); ბიოლოგიაში—გ. თარაშვილი (ასპინძის საშ. სკ.).

მიუხედავად აღნიშნულისა, ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია:

ღარიბია სკოლების მატერიალური ბაზა, შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული ასპინძის რაიონის ხიზაბავრის (დირექტორი გ. დათიაშვილი), ჭობარეთის (დირექტორი ა. გოცაძე), დამალის (დირექტორი პ. ივითიანი) საშუალო, ძველის მ-წლიანი (დირექტორი ვ. ტაბატაძე), ადიგენის რაიონის ბოლაჯაურის საშუალო (დირექტორი ი. ხაზალაშვილი) სკოლები. აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელები არ ზრუნავენ სკოლის კეთილმოწყობისათვის; შენობის კედლები ჩამონგრეულია, მერხები დაჭრილი, ხოლო ინვენტარი დამტვრეულია. ადიგენის რაიონის ვარხნის საშუალო სკოლის ახლადაგებული ტიპური სასკოლო შენობა მძიმე მდგომარეობაშია. სკოლის ყოფილი დირექტორის კ. ყვავაძის უპასუხისმგებლობისა და უსულგულობის შედეგად საკლასო ოთახების იატაკი (პარკეტი) წყლით წმენდის გამო, აყრილია, შენობაში ფანჯრებიდან წყალი შედის, რადგან ყველა ფანჯრის ქვემოთ გარედან თითო წყება აგურია შემორღვეული. კეთილმოწყობელია სკოლის კარ-მიდამოც.

საერთოდ, შემოწმებული სკოლები მინიმალურადაც კი არ არიან უზრუნველყოფილი სასკოლო ინვენტარით და დგამ-ავეჯით. ნოუწყობელი და ძალზე ღარიბია სასწავლო სახელოსნოები და კაბინეტები, რის გამო შეუძლებელია ცალკეულ საგნებში პროგრამით გათვალისწინებული ცდების, დაკვირვებებისა და პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება.

სასკოლო ინტერნატებში აღსაზრდელთათვის არ არის შექმნი-

ლი ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები. ასპინძის რაიონის ჭობარეთის სასკოლო ინტერნატი დაქირავებულ ოთახებშია მოთავსებული და იქ ბავშვთა ცხოვრება შეუძლებელია, ამავე რაიონის ოშორის საშუალო სკოლის სასკოლო-ინტერნატში 15 აღსაზრდელია, ინტერნატისათვის დაქირავებულ ოთახში კი მხოლოდ 7 საწოლი დგას, არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, თეთრეული ძველი და დახეულია, მოუგვარებელია კვების ორგანიზაცია და სხვა.

შემოწმებული სკოლების დიდ უმრავლესობაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ დაწყებითი კლასების ქართული ენის მასწავლებლები: თ. შექოშვილი, თ. გელაშვილი (ხიზაბაგის საშ. სკ.), მ. სესაძე (ტოლოშის საშ. სკ.), ზ. შუბლაძე (ვარხნის საშ. სკ.), რ. გემჯიანი (ბოლაჯურის საშ. სკ.). ისინი საპროგრამო მასალას ცუდად ხეიან, ვერ ახერხებენ მასალის დაყვანას მოსწავლეებამდე, გრამატიკის საკითხებს არასწორი სისტემით და მეთოდებით, ცოცხალი ლიტერატურული მასალისაგან მოწყვეტით ასწავლიან. საშინაო დავალებებს ზეპირად ამოწმებენ, გაკვეთილებზე არ აწარმოებენ სალექსიკონო მუშაობას, ყურადღებას არ აქცევენ გამართული კითხვის ჩვევების გამომუშავებას, გაკვეთილების ცუდი ორგანიზების გამო ბევრი დრო უმიზნოდ, უშედეგოდ იკარგება. ყოველივე ამის გამო ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. ასევე სუსტად მუშაობენ დამალის სომხური საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების სომხური ენის მასწავლებლები ა. ამბარცუმიანი, ი. ქეროპიანი, ინდუსის სომხური დაწყებითი სკოლის მასწავლებლები გ. გრიგორიანი და კ. სალათელიანი. უარესი მდგომარეობაა ჭობარეთის საშუალო (მასწავლებლები ვ. ჯვარაძე, ნ. ჯვარაძე, მ. მელიქიძე, ე. მელიქიძე), იღუმალის (მასწავლებლები თ. ღვიანაშვილი, ე. ბერიძე, ს. ბერიძე და ნ. გიორგაძე), ორგორის (მასწავლებლები ს. ღუდუშაური, ლ. ყველაძე) რვაწლიან სკოლებში, სადაც დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ორკლასთან ერთდროულად უხდებათ მუშაობა. ისინი ვერ ფლობენ ორკლასთან ერთდროული მუშაობის მეთოდებს და ხერხებს. როდესაც ერთ კლასთან მუშაობენ, მეორე კლასის მოსწავლეებს თითქმის დაუსაქმებლად ტოვებენ, რადგან ამ კლასების მოსწავლეებს ქართულ ენაზე წერა-კითხვის ჩვევები არა აქვთ გამომუშავებული, უფროს კლასებში მათ ძალიან გაუჭირდებათ სასკოლო კურსის ათვისება.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ნაწარმოებთა ტექსტების შესწავლას, ტერატურის თეორიის ძირითად ცნებებს სათანადოდ ვერ უკავშირებენ კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლას, გრამატიკას ასწავლიან ლიტერატურული მასალიდან მოწყვეტით, ვერ იყენებენ მათ მართლწერის ჩვევების დასანერგავად, საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მასალის განმეორებას. ვარზნის საშუალო სკოლის მასწავლებელ კ. ლაბარტყავას არა აქვს მასწავლებლისათვის საჭირო ტაქტი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა დისციპლინასა და სწავლების ხარისხზე. იგი ზერელედ და ნაჩქარევად ხსნის გაკვეთილს, ვერ ახდენს ნაწარმოების მხატვრულ ანალიზს. სუსტია ამ სკოლის X კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე, მეტყველების დროს ისინი უშეგბენ უხეშ ენობრივ შეცდომებს. დაბალია მათი წერითი მეტყველების კულტურაც, რაც ნათლად გამოივლიანდა ჩატარებული საკონტროლო წერის დროს, როცა ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო დამაკმაყოფილებლად შეგნრულებინა წერითი სამუშაო.

ასპინძის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ე ყვარელიშვილი და ს. ხაზალაშვილი გაკვეთილის ახსნისას უშეგბენ უხეშ შეცდომებს, გრამატიკულ მასალას ზერელედ, მშრალად ასწავლიან. ბოლაჯურის (მასწავლებელი ო. გაჩეჩილაძე), კობარეთის (მასწავლებლები ლ. აბულაძე, მ. ივანიძე), ხიზაბავრის (მასწავლებლები ი. ბალიაშვილი, ე. გონჯილაშვილი) საშუალო სკოლების დანამთავრებელ კლასებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა მოსწავლეთა დაბალი მომზადება გამოავლინა. მოსწავლეთა დიდი ნაწილის წერითი ნამუშევარი შეფასებული იქნა „3“-ზე დაბალი ნიშნით. მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში უამრავი ფაქტობრივი, აზრობრივი, სტილისტური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები გვხვდება.

დამალის სომხური საშუალო სკოლის VI კლასის სომხური ენის მასწავლებელი ლ. სააკიანი ვერ ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

სერიოზული ნაკლოვანებებია რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში. მასწავლებლები ე. ხაჩხაჩი (ასპინძის საშ. სკ.), უ. გელაშვილი (ტოლოშის საშ. სკ.), ჯ. მარკოსიანი და ს. სოფოიანი (დამალის საშ. სკ.), ე. კოკოშვილი (ადიგენის საშ. სკ.), ი. პეტაშვილი (უდის საშ. სკ.) სუსტად ემზადებიან გაკვეთილებისათვის;



ისინი ახალი მასალის ახსნასა და მის განმტკიცებას არ უთმობენ სათანადო დროს, საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა მიერ მასალის შეგნებულად შესწავლას, გაკვეთილებს ატარებენ თვალსაჩინოების გარეშე, არადამაკმაყოფილებლად აწარმოებენ სა-  
 ლექსიკონო მუშაობას, არ აწუშავენ მოსწავლეებს ტექსტებზე, არ ასწორებენ საკლასო-საშინაო წერებს, რის შედეგად მოსწავლეები რუსული ენის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ, დამახინჯებულად კითხულობენ, არასწორად გამოთქვამენ სიტყვებს, წერით ნამუშევრებში უშვებენ უამრავ შეცდომას.

რუსული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთ მასწავლებელს არ აქვს სპეციალური განათლება, არადამაკმაყოფილებლად ფლობს ენას, და რა თქმა უნდა, არ ძალუძს მოსწავლეთა მიერ ზეპირ და წერით მეტყველებაში დაშვებულ შეცდომათა გასწორება. ასეთებია ვ. მოსიძე (ასპინძის რაიონის ძველის მ-წლიანი სკ.), რ. ტყაბლაძე (ბოლახურის საშ. სკ.), ნ. ზედგინიძე (იღუმალის მ-წლიანი სკ.), დაწყებითი კლასების მასწავლებლები შ. ღონდარიძე, ს. გელაშვილი, ს. აღდემილი, თ. მექოშვილი, ან. მექოშვილი (ხიზაბავრის საშ. სკ.), თ. ნადირაძე (ტოლოშის საშ. სკ.), ა. ფარმანიანი და ჩ. დუდუკიანი (დამალის საშ. სკ.).

შემოწმებულ სკოლებში ჩაშლილია მეთოდური მუშაობა. სა-  
 თანადო ყურადღება არ ექცევა კლასგარეშე მუშაობას, მასწავლებ-  
 ლები პროგრამით გათვალისწინებულ კლასგარეშე კითხვის სათებ-  
 საც კი არ ატარებენ.

ასპინძის რაიონის შემოწმებული სკოლების დაწყებითი კლა-  
 სების უმრავლესობაში ვერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ისწავ-  
 ლება არითმეტიკა. მასწავლებლები ა. მექოშვილი, ს. გელაშვილი (ხიზაბავრის საშ. სკ.), ე. ბერიძე (იღუმალის მ-წლიანი სკ.), ზ. ყვე-  
 ლაიძე (ორგორის მ-წლიანი სკ.), ვ. ჯვარიძე (ჭობარეთის საშ. სკ.)  
 ბავშვებს ვერ უფვითარებენ კონკრეტული მსჯელობისა და ლოგი-  
 კური აზროვნების უნარს, მოსწავლეებმა თითქოს იციან მოქმედე-  
 ბათა წესები, მაგრამ პრაქტიკულად მათი გამოყენება და მარტივი  
 ოპერაციების შესრულება არ შეუძლიათ. ეს პედაგოგები მოსწავ-  
 ლეებს კარგად ვერ აგებიანებენ ამოცანის შინაარსს და ისე იწყებენ  
 მის ამოხსნას. ზოგჯერ მეტად ბუნდოვან კითხვებსაც სვამენ, მუ-  
 შაობაში ვერ აბამენ მთელ კლასს და ხშირად ერთსა და იმავე  
 მოსწავლეს ეკითხებიან.

აღსანიშნავია, რომ დაწყებითი კლასების არითმეტიკის მას-

წავლებლები სასკოლო სახელმძღვანელოსაც კი ვერ ფლობენ. თანადო ყურადღებას არ აქცევენ საკონტროლო და საშანაშრომით მუშაობას. მოსწავლეთა ნამუშევრებში გვხვდება ამოფხეკა, ციფრების გადასწორება, ციფრების არამართებულად დაწერა, შეცდომების გასწორებაში კვლავ შეცდომების დაშვება და მოუთმენელი უსუფთაობა.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება.

ხიზაბავრის საშ. სკოლის მასწავლებელ ს. პლაქიაშვილს და ძველის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელ ო. ნაისურაძეს არ აქვთ მათემატიკური განათლება, ვერ ფლობენ საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, მოსწავლეებს აწვდიან არასწორ დებულებებსა და განსაზღვრებებს. ზემოდასახელებულმა მასწავლებლებმა არ იციან მოქმედებანი რაციონალურ რიცხვებზე, დამოკიდებულებანი პირდაპირ და შებრუნებულ თეორემებს შორის, ვერ გამოყოფენ თეორემიდან პირობას და დასკვნას, ერთიგეორისაგან ვერ არჩევენ თეორემასა და განსაზღვრას.

ასევე სუსტად იცის საგანი ორგორის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ქ. ზედგინიძემ. მან ვერ შესძლო ამოეხსნა შემდეგი სახის მარტივი ამოცანა: კლუბის დარბაზში 320 ადგილია. იმის შემდეგ, რაც თითოეულ რიგში ადგილების რიცხვი 4-ით გაადიდეს და კიდევ ერთი რიგი დაუმატეს, დარბაზში 420 ადგილი შეიქნა. რამდენი რიგი გზდა დარბაზში?

IX—XI კლასების საპროგრამო მასალას ვერ ფლობს მათემატიკაში ასპინძის საშუალო სკოლის მასწავლებელი ს. ლეკიშვილი. მან არასწორად ამოხსნა თავის მიერვე მიცემული შემდეგი სახის ამოცანა: სფეროს დიამეტრი 30 სმ-ია, რომელიც იმავე დროს წარმოადგენს იმ ცილინდრის ღერძს, რომლის ფუძის რადიუსი 12 სანტიმეტრია. გავიგოთ ცილინდრში მოთავსებული სფეროს ნაწილის მოცულობა.

იგი უხეშ შემცდომებს უშვებს ნახაზების აგებაში და გამოთვლებში. როდესაც ამოცანა „ამოხსნა“, კლასს განუცხადა „ჩვენ მიერ მიღებული პასუხი არ ემთხვევა კრებულში მოცემულ პასუხს, რადგან კრებულში შეცდომითაა პასუხიო“. ეს მასწავლებელი მოუმზადებლად და არაროგანიზებულად ატარებს საკონტროლო წერებს. საკონტროლო წერისათვის მიცემულ მაგალითებსა და ამოცანებს მოსწავლეები ირჩევენ არა ვარიანტების მიხედვით, არამედ თავისი



სურვილისამებრ. მასწავლებელი ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ კონტროლო წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომებს და ლიბერალურად აფასებს მას.

მათემატიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ კითხულობს დამხმარე ლიტერატურას, მოუშადადებლად და დაბალხარისხოვნად ატარებს გაკვეთილებს, რის გამო საგრძნობლად დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე; ასე, მაგალითად, ბოლახურის საშ. სკოლის მასწავლებელი პ. ბაღდოშვილი ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და არ ასწორებს მათ.

მასწავლებელს სწორი სახის ტოლობებად მიაჩნია

$$(-45) + (+20) = 45 - 20 = -25.$$

$$\frac{12 - 4}{2(12 - 3)} + \frac{2}{3} = \frac{8}{2 \cdot 9}.$$

ვარხნის საშუალო სკოლის V კლასის მასწავლებელმა ც. კვაჭაძემ კლასს ამოცანის ამოხსნის არასწორი გეგმა მისცა. ამავე სკოლის VII კლასის მასწავლებელი ნ. დემეტრაძე არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს—„წრეხაზში მოთავსებული ორი წერტილის შემაერთებელ სწორს ქორდა ეწოდება“ და სხვ. არ ახდენს მიზნობრივ განმეორებას. ახალი მასალა—„პარალელურ ქორდებს შორის მოთავსებული რკალები ტოლია“—ახსნა თხრობის მეთოდით, ზრ დაასაბუთა, თუ რატომ გაყვება ქორდის ერთი ნახევარი მეორეს, რატომ შეთავსდება ბოლო წერტილები.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს აგრეთვე უდის (მასწავლებელი შ. გიქოშვილი), ადიგენის (მასწავლებელი კ. ჭელიძე), ტოლოშის (მასწავლებელი მ. სესაძე), ჭობარეთის (მასწავლებელი გ. ჯვარაძე) ხიზაბავრის (მასწავლებელი კ. თევდორაძე), ოშორის (მასწავლებელი ა. რობაქიძე) საშუალო სკოლების მოსწავლეებმა მათემატიკაში.

ოშორის საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. რობაქიძე არ იცნობს სასწავლო პროგრამას და მასში მომხდარ ცვლილებებს და ზოგჯერ არასაპროგრამო მასალას გადის, მაგ., მან მეთე კლასს აუხსნა შეერთებანი და ნიუტონის ბინომი, მაშინ როდესაც ამ კლასის მოსწავლეებმა პროგრამით გათვალისწინებული ელემენტარული საკითხების უცოდინარობა გამოამჟღავნეს.

დამამთავრებელ და გამოსაშვებ კლასებში ჩატარებულმა სა-



კონტროლო წერებმა მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე ჩვენა.

ორგორის (მასწავლებელი ქ. ზედგინიძე), იღუმალის (მასწავლებელი მ. ნემსაძე), ძველის (მასწავლებელი ო. მაისურაძე) რვაწლიანი სკოლების VIII კლასების და ასპინძის საშ. სკოლის (მასწავლებელი ს. ლეკიშვილი) XI კლასის ყველა მოსწავლის წერთი ნამუშევარი შეფასებული იქნა „3-ზე დაბალი ნიშნით. არადა მკაცროფილებელი შეფასება მიიღო ოშორის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ა. რობაქიძე) 9-დან 8 მოსწავლემ, ბოლაჯურის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ლ. ხვედელიძე) 15-დან 11-მა მოსწავლემ, ჭობარეთის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი გ. ჯვარაძე) 22-დან 18 მოსწავლემ. არაობიექტურად შეაფასა წერთი ნამუშევრები ტოლოშის საშუალო და საროს 8-წლიანი სკოლების მასწავლებლებმა რ. ველიჯანაშვილმა და ბ. ბერიძემ. რ. ველიჯანაშვილმა „4“-ზე შეაფასა დაუმთავრებელი ნაშრომი (ამოცანა ამოხსნილი არ იყო), ხოლო, მ. ბერიძემ „3“-ზე ისეთი წერთი ნაშრომი, რომელშიაც ამოცანის ამოხსნისას მოსწავლეს განტოლებაც კი ვერ შეედგინა. შესწავლილ სკოლებში მათემატიკის მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა სუსტად არის დაყენებული, უმეტეს სკოლებში წრეობრივი მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ადგილი აქვს მათემატიკა-ფიზიკის მასწავლებელთა გაკვეთილებით გადატვირთვის შემთხვევებს, რაც სცემს ამ საგნების სწავლების ხარისხს. ჭობარეთის საშუალო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლებს გ. ზედგინიძეს და გ. ჯვარიძეს 40—40 საათიანი კვირეული სასწავლო დატვირთვა აქვთ.

ძველის 8 წლიან სკოლაში ფიზიკას ასწავლის მ. დიასამიძე (ბიოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მე-3 კურსის სტუდენტი), მან არ იცის თუ რა განსხვავებაა კრისტალურ და ამორფულ ნივთიერებებს, სიტბოსა და ტემპერატურას შორის. მასწავლებელი არაზუსტ განმარტებებს, წესებსა და კანონებს აძლევს მოსწავლეებს; მაგალითად, მისი განმარტებით „მსუბუქი ნივთიერება რომ მივიღოთ, საჭიროა ვიცოდეთ დნობის წერტილის ფიზიკური თვისება“ და სხვ.

ასევე სუსტად ფლობს საგანს და არ შეუძლია მისი სწავლება ასპინძის საშუალო სკოლის VIII კლასის ფიზიკის მასწავლებელს ა. ზედგინიძეს.

ადიგენის რაიონში კარგი შესაძლებლობაა ასტრონომიის სწავ-



ლების მიწოდების სიმალლეზე დაყენებისათვის (აბასთუმნის ობსერვატორია), მიუხედავად ამისა, მისი სწავლება მთელი რიგი ნაკლებანებებით ხასიათდება. ადიგენის საშუალო სკოლის (მასწავლებელი გ. გავაშელი). მოსწავლეებმა არ იციან რა განსხვავებაა პლანეტებსა და ვარსკვლავებს შორის, წარმოდგენა არა აქვთ დედამიწის ღერძისა და მზის გარშემო ბრუნვის დამამტკიცებელ მოვლენებზე, ასტრონომიულ კოორდინატებზე (პორიზონტალური და ეკვატორული). ბოლაჯურის საშუალო სკოლის (მასწავლებელი ლ. ხვედელიძე) მოსწავლეებს ჰგონიათ, რომ დედამიწის ღერძის გარშემო ბრუნვაზე ზემოქმედებას ახდენს ჰაერის წინააღმდეგობის ძალა და თითქოს რაკეტასა და მასში მოთავსებულ საგნებს წონა არა აქვთ, რადგან ისინი უჰაერო სივრცეში მოძრაობენ. ასპინძის რაიონის ჭობარეთის საშ. სკოლის (მასწავლებელი ზედგინიძე) მოსწავლეებმა არ იციან განსაზღვრება ზენიტის, პორიზონტის, ეკვატორის შესახებ და სხვ.

შემოწმებული სკოლების ქიმიის მასწავლებელთა ნაწილი არ ემზადება გაკვეთილებისათვის, გაკვეთილებს ატარებს ზეპირსიტყვიერად, სრულიად არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ ატარებს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს, არ ავარჯიშებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე. უგულვებელყოფს განვლილი მასალის განმეორებას, რის გამოა ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

კუდადაა დაყენებული ქიმიის სწავლება ხიზაბავრის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი მ. გიგოიძე). მოუთმენლად დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. XI კლასის მოსწავლეები ვერ წერენ რეაქციის ტოლობებს, ბენზოლის ფორმულას, არ იციან ნაჯერი და უნაჯერო ნახშირწყალბადები, სპირტები და ფენოლები, ქლორი მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებები, ჰალოგენების გამოყენება სახალხო მეურნეობაში და სხვ.

ასევე სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს ჭობარეთის (მასწავლებელი ლ. გურგენიძე), ტოლოშის (მასწავლებელი გ. ბუხრაშვილი) საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

მეთოდური დახმარება ესაჭიროება ვარხნის საშუალო სკოლის ქიმიის დამწყებ მასწავლებელ ი. ყულიჯანიშვილს.

შემოწმებულ სკოლებში მოუწყობელია ქიმიის კაბინეტები. არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები. კლასგარეშე მუშაობა ფორმალურ ხასიათს

ატარებს. აგროქიმიის წრეებში გათვალისწინებული საკითხები მეტწილად თეორიული ხასიათისაა.

საქართველო  
საქართველოს  
საქართველოს

საგონიბობი ნაკლოვანებებით ხასიათდება ისტორიის სწავლება. ადიგენის რაიონის ვარხნის საშ. სკოლაში (მასწავლებელი ვ. შუბლაძე), ადიგენის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი თ. ფიროსმანიშვილი), ბოლაჯურის საშ. სკოლაში (მასწავლებელი ი. ხაზალაშვილი), ასპინძის რაიონის იღუმალის რვაწლიან სკოლაში (ყოფილი მასწავლებელი პ. ბერიძე), ორგორის რვაწლიან სკოლაში (მასწავლებელი კ. დავლაშერიძე), აღნიშნული მასწავლებლების თხრობას აკლია საჭირო კონკრეტულობა, სიმარტივე და დამაჯერებლობა. ისინი კმაყოფილდებიან ისტორიული ფაქტების აღნუსხვით, ვერ არკვევენ ფაქტებსა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და სხვა.

უფრო მეტიც, ახალი მასალის თხრობის დროს არ იცავენ თანმიმდევრობას, ზოგჯერ უშვებენ ფაქტობრივ შეცდომებს, არ აზუსტებენ დებულებებს, სტოვებენ მნიშვნელოვან მომენტებს, მოსწავლეები, უკეთეს შემთხვევაში, იზებირებენ სახელმძღვანელოს შესაბამის თავს გაუაზრებლად და, ამრიგად, ინერგება ფორმალიზმი ისტორიის სწავლებაში. აღნიშნული მასწავლებლები არ აწარმოებენ გავლილი მასალის განმეორებას, რის გამოც მოსწავლეებს დავიწყებული აქვთ პროგრამული მასალა და ვერ პასუხობენ ელემენტარულ საკითხებზე, მაგ. იღუმალის რვაწლიანი და ვარხნის საშუალო სკოლების VII კლასის მოსწავლეებმა სსრ კავშირის ისტორიიდან ვერაფერი თქვეს აღმოსავლეთ სლავებზე, კიევის რუსეთის, ვოლინ-გალიჩის, პოლოცკ-მინსკის, ვლადიმერ-სუზდალის, ჩერნიგოვის და ნოვგოროდის სამთავროებზე. ივანე III-ის, ივანე მეოთხის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, მონგოლთა შემოსევაზე და სხვ.

საქართველოს ისტორიიდან კი დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ვახტანგ VI-ის და სხვ. შესახებ.

თითქმის არცერთ სკოლაში, სადაც გამოკვლევა სწარმოებდა, მასწავლებლებს არ გამოუყენებიათ ისტორიული რუკა და სხვა დიდაქტიკური მასალა. მოუწყობელია ისტორიის კლასკაბინეტები, სრულიად უგულვებელყოფილია სამხარეთმცოდნეო მუშაობა, მაშინ როდესაც ამ რაიონებში უმდიდრესი, ძვირვასი ისტორიული მასალა მოიპოვება.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება გეოგრაფიის სწავლება.

ბოლაჯურის საშუალო სკოლაში გეოგრაფიას ასწავლის სპეციალისტი ვ. ჩხაიძე, რომელიც ვერ ფლობს საგანს, არ რებს პრაქტიკულ მუშაობას, ამიტომ დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, მათ არ იციან რუკის კითხვა. მოსწავლეებს არა აქვთ ატლასები და კონტურული რუკები. ასევე დაბალი მომზადება გამოამყვანეს გეოგრაფიაში ჭობარეთის საშუალო (მასწავლებელი ა. გოცაძე), ორგორის 8-წლიანი (მასწავლებელი ი. სუარიძე) სკოლების მოსწავლეებმა.

შემოწმებულ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას დაწყებით კლასებში ბუნებათმცოდნეობის და გეოგრაფიის ეპიზოდური კურსის სწავლების საქმე. მასწავლებლები არ იცნობენ პროგრამის მოთხოვნებს ბუნებისმეტყველებასა და გეოგრაფიაში, გაქვეითილებზე არ იყენებენ თვალსაჩინოებას.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებას და სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები ქმედით ზომებს არ ღებულობენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. მაგ., ხიზაბავრის საშუალო სკოლაში 1958/1959 სასწავლო წელს I კლასში მიღებული 34 მოსწავლიდან ამჟამად VIII კლასში მხოლოდ 15 მოსწავლე სწავლობს. ვარხნის (დირექტორი ვ. მერაბიშვილი) და ასპინძის (დირექტორი ნ. დიასამიძე) საშუალო სკოლებიდან პირველიდან ოთხი მოსწავლეა განთესილი, ხოლო მეორედან—ორი, ჭობარეთის საშუალო სკოლიდან—1, ძველის 8-წლიანი სკოლიდან—2 მოსწავლე. ბოლაჯურის საშუალო სკოლაში მოუგვარებელია მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა. დიდი რაოდენობით არის გასული მოსწავლეები IX, X და XI კლასებიდან.

რაიონის სკოლებში აღვლილი აქვს მოსწავლეთა ნაადრევად გათხოვების შემთხვევებსაც. ხიზაბავრის საშუალო სკოლიდან გათხოვდა 2 მოსწავლე, დამალის საშუალო სკოლიდან 2 და ა. შ.

ვარხნის (ყოფილი დირექტორი კ. ყვავაძე), ბოლაჯურის (დირექტორი ი. ხაზალაშვილი), ასპინძის (დირექტორი ნ. დიასამიძე), ჭობარეთის (დირექტორი ბ. გოცაძე), ოზორის (დირექტორი თ. ბუჯბრიკიძე) საშუალო, ორგორის (დირექტორი, კ. დავლაშერიძე), ძველის (დირექტორი ვ. ტაბატაძე) რვაწლიან სკოლებში არასერიოზულად ეკიდებიან სასკოლო მუშაობის დაგეგმვას. სკოლის წლიური სამუშაო გეგმები არადაამაკმაყოფილებლად არის შედგენილი. გეგმებში კონკრეტულად არ არის ჩამოყალიბებული სასწავლო აღმ-

ზრდელობითი ხასიათის აქტუალური საკითხები. ნაკლებად არის გათვალისწინებული ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების, საპროგრამო მასალის გავლისა და ათვისების ხარისხის, სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების, მოსწავლეთა ზეპირი და წერიითი მეტყველების კულტურის ამოღების საკითხების შესწავლა და განხილვა. ადგილი აქვს შესასრულებლად დაგეგმილი ზოგი საკითხის ბუნდოვნად, გაუკებრად გადმოცემის შემთხვევებს. ასპინძის საშუალო სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში ვკითხულობთ — „საშემოდგომო შემოწმებისა და გამოცდების ცხრილის შედგენა და ორგანიზაცია, სასწავლო მასალების განმეორების, განმტკიცების მეთოდების შემოწმება, მოსწავლეთა ყოფაქცევის ცოდნისა და შესრულების“ შემოწმება და სხვ. როგორც ჩანს, გეგმები ფორმალურად იხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. იგი არ წარმოადგენს პედაგოგიური კოლექტივების შემოქმედებითი ძიებით შექმნილ სასკოლო დოკუმენტს.

არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი აგრეთვე კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები. ისინი, არაიშვიათად ფორმალურად დგება, იმის გათვალისწინებლად, თუ რომელ და როგორ კლასთან უხდება მუშაობა მის შემდგენელს. სხვაგვარად არ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ბოლახურის საშუალო სკოლის VII კლასის ხელმძღვანელის უ. ლეკიშვილის და II კლასის ხელმძღვანელის რ. გემჯიანის, ჭობარეთის საშუალო სკოლის III კლასის ხელმძღვანელის მ. მელიქიძისა და XI კლასის ხელმძღვანელის გ. ზედგინიძის, ხიზაბაგრის საშუალო სკოლის III კლასის ხელმძღვანელის თ. გელაშვილის და XI კლასის ხელმძღვანელის ი. ბალიაშვილის, ასპინძის საშუალო სკოლის IV კლასის ხელმძღვანელის ლ. ბერიჯანიშვილის და XI კლასის ხელმძღვანელის ლ. ბრეგვაძის სამუშაო გეგმები ერთმანეთის ასლს წარმოადგენენ. არის შემთხვევები, როცა გეგმებში პედაგოგიურად გაუმართლებელი ღონისძიებანია გათვალისწინებული. მაგ., მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევისათვის კლასებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა.

როგორც ირკვევა, სკოლების ხელმძღვანელები — დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარკში გულდასმით არ იხილავენ კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმებს და არ აძლევენ მათ სათანადო მითითებებს.

პედაგოგიურად და მეთოდურად გაუმართავად არის შედგენილი გავრეითლების ცხრილი ბოლახურის, ადიგენის, უდის, ვარხნის,

ასპინძის, ჭობარეთის, ხიზაბავრის, ოშორის, ტოლოშის საშუალო, იდუმალის, ძველისა და ორგორის მ-წლიან სკოლებში. ორი და სამ-საათიანო სასწავლო დისციპლინები ცხრილში ინტერვალის გარეშეა მოთავსებული, ასევე ერთმანეთის მიყოლებითაა ცხრილებში მოქცეული ერთგვაროვანი საგნები, ძნელად ასათვისებელი საგნები ფიზიკა, ქიმა, მათემატიკა მერ-გაკვეთილზეა გადატანილი, ადგილი აქვს საათების დაწვევლების შემთხვევებსაც. დღეები თანაბრად არაა დატვირთული და სხვა.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება შემოწმებული სკოლების პედაგოგიური საბჭოების ეუშაობა. იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი გეგმით გათვალისწინებული სხდომების ჩაუტარებლობის, თუ ცალკეული საკითხების განუხილველობის შემთხვევებს; ასე მაგალითად, პედაგოგიური საბჭოს გეგმით გათვალისწინებული იყო და არ განუხილავთ ოშორის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხი, ხიზაბავრის საშუალო სკოლას V—VIII კლასებში მათემატიკისა და IX—XI კლასებში ქიმიის სწავლება. ოშორის საშუალო და ძველის მ-წლიან სკოლებში სასწავლო მეოთხედების განმავლობაში პედაგოგიური საბჭოს სხდომა თითოჯერაა ჩატარებული. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ ვლინდება ცალკეული მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, არ ისახება კონკრეტული ღონისძიებანი მათ გამო-სასწორებლად და არ ხდება მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება.

ასპინძის, ხიზაბავრის, ჭობარეთის, ოშორის, ბოლავურის, ვარხნის, უდისა და ადიგენის საშუალო, ორგორის, ძველის და იდუმალის მ-წლიან სკოლებში საკლასო ჟურნალებში არ შეაქვთ გავლილი მასალები, მიმდინარე შეფასების ნიშნები, ჟურნალში ჩანაწერები ხშირად ძალზე უსუფთაოდაა გაკეთებული, საკლასო და მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალებში ადგილი აქვს შეოთხედური, წლიური და საგამოცდო შეფასების ნიშნების გადასწორების, ამოფხეკის შემთხვევებს, ზოგჯერ მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალებში არ არის დირექტორის ხელის მოწერა მოსწავლეთა გადაყვანის ან იმავე კლასში დატოვების შესახებ.

მოსწავლეთა მეოთხედური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევებსაც აქვს ადგილი. ხიზაბავრის საშუალო სკოლის XI



კლასის მოსწავლე ი. ხ.-ს საკლასო ჟურნალში მეორე მეოთხედში ისტორიასა და გეოგრაფიაში არცერთი ნიშანი არ უწერია, მეოთხედის ბოლოს კი მოსწავლის ცოდნა ორივე საგანში „3“-ზე შეუფასებიათ. IX კლასის მოსწავლე ე. დ.-ს საკლასო ჟურნალში ორიანი უწერია უცხო ენასა და გეოგრაფიაში, მეოთხედის ბოლოს კი გამოყანილი აქვს შეფასება „3“, ჭობარეთის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ი. გ.-ს მეორე მეოთხედში არც ერთი ნიშანი არა აქვს გეომეტრიაში, უცხო ენაში, მეოთხედის ბოლოს გეომეტრიაში ნიშანი „2“, ხოლო უცხო ენაში ნიშანი „სამა“ გამოუყვანეს, ვარხნის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ნ. ლ.-ს — გეომეტრიაში ორჯერ აქვს მიღებული შეფასება „2“, ისტორიაში — „3“ და „2“, იგი მეოთხედის ბოლოს ამ საგნებში „3“-ზე შეუფასებიათ. ანალოგიური მდგომარეობაა ტოლოშის, უდის, ადიგენის საშუალო, ორგორის, იღუმალის, ძველის რეაწლიან სკოლებში.

ბოლაჯორის, ვარხნის, ჭობარეთის, ხიზაბაგრის, ასპინძის საშუალო, ძველისა და იღუმალის 8-წლიან სკოლებში მოუვლელია საკლასო ჟურნალები. არ ჯამდება გაცდენილი ვაკვეთილები. დასახელებული სკოლები რეაგირებას არ ახდენენ მოსწავლეთა გაცდენებზე; ამის გამოა, რომ აღნიშნულ სკოლებში დისციპლინა არასახარბიელო სიმაღლეზეა; ხშირია მოსწავლეთა ვაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევები, მოსწავლეთა ნაწილი სკოლაში II—III ვაკვეთილებზე ცხადდება, ხოლო ზოგიერთი მასწავლებელსა საკლასო ჟურნალში განხრახ არ აღნიშნავს მოსწავლეთა გამოუცხადებლობას, რითაც ხელოვნურად ამცირებს გაცდენილი ვაკვეთილების რაოდენობას. ამის გამო, სკოლების მიერ განათლების განყოფილებაში წარდგენილი სტატისტიკური ანგარიშები I და II მეოთხედის შედეგების შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. ზოგჯერ ადგილი აქვს მ.სწავლებელთა მიერ ვაკვეთილების გაცდენის შემთხვევებს, მაგალითად, 1965/66 სასწავლო წლის 14 მარტამდე იღუმალის 8-წლიანი სკოლის (დირექტორი ვ. აბულაძე) VIII კლასში გაცდენილია—129 საათი, VI კლასში—115, ხიზაბაგრის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. დათიაშვილი) X კლასში—135, ხოლო XI კლასში—146 ვაკვეთილი და ა. შ.

სკოლების ადმ ნისტრაციის და მთელი პედაგოგიური კოლექტივის არადაშაკმაყოფილებელ მუშაობის დამადასტურებელ ფაქტად ისიც საკმარისია, რომ მათ სასწავლო წლის პირველი ნახევარი სამარცხვინო მაჩვენებლებით დაამთავრეს. ასპინძის საშუალო სკო-

ლაში 586 შეფასებული მოსწავლიდან ვერ ასწრებს 113. დამალის საშუალო სკოლაში 421-დან—82, ჭობარეთის საშ. სკოლაში 195-დან—39, ბოლაჯურის საშუალო სკოლაში 248 დან—42, არალის საშუალო სკოლაში 480-დან—140, უდის საშუალო სკოლაში 807-დან—164, ვარხნის საშუალო სკოლაში 424-დან—88 მოსწავლე, უფრო მძიმეა მდგომარეობა ცალკეულ კლასებში. ასპინძის საშუალო სკოლის IX კლასში 69-დან ვერ ასწრებს 19 მოსწავლე, X კლასში 53-დან—19, XI კლასში 50-დან—14, უდის საშუალო სკოლის VI კლასში 88-დან—24, VII კლასში 95-დან—28 მოსწავლე.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობა. სასწავლო წლის მეორე მეოთხედის შედეგად მეორეწლიან მოსწავლეთაგან ვერ ასწრებს: უდის საშუალო სკოლაში 14 მოსწავლე, ასპინძის საშუალო სკოლაში 11, არალის საშუალო სკოლაში—19, ვარხნის საშუალო სკოლაში—7, დამალის საშუალო სკოლაში 9 მოსწავლე და ა. შ. სულ ადიგენის რაიონის სკოლებში ვერ ასწრებ 82 და ასპინძის რაიონის სკოლებში—50 მეორეწლიანი მოსწავლე.

მასწავლებელთა მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში საფუძვლიანად არ სწავლობს მასწავლებელთა მუშაობას, არ ავლენს მასწავლებელთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და არ ეხმარება მათ საგნის სწავლების უკეთ დაყენებაში. მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები ი. ხაზალიშვილს (ადიგენის რაიონი, ბოლაჯურის საშ. სკ. დირექტორი), გ. დათიაშვილს, ა. ხუციშვილს (ასპინძის რაიონი, ხიზაბავრის საშუალო სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში), ა. გოცაძეს (ასპინძის რაიონი, ჭობარეთის საშ. სკ. დირექტორი), ნ. დიასამიძეს (ასპინძის საშ. სკ. დირექტორი). ამავე დროს მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ზერელე და არაფრის მთქმელია. ისინი საფუძვლიანად არ იცნობენ ყველა საგნის სასწავლო პროგრამას, განმარტებით ბარათებს, სახელმძღვანელოებს, განათლების სამინისტროს სათანადო მითითებებს და ამდენად, არც მათი შესრულების მოთხოვნა შეუძლიათ.

ასპინძისა და ადიგენის რაიონების სკოლების მუშაობაში გამოვლინებული ნაკლოვანებები აიხსნა იმითაც, რომ ახალციხის რაი-

ონის განათლების განყოფილება ნაკლებ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწყევდა ამ რაიონების სკოლების მუშაობას. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ამ სკოლების მუშაობა არავის არ შეუსწავლია.

შ. ლომიძე

ა. ჭიჭინაძე

ს. შახსუფარიანი

ა. აბაშიძე

ტ. ფაჩუაშვილი

ბ. ქარია

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ.**  
**15 აპრილის ბრძანება № 426**

რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის დაწყებით სკოლებსა და კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ქ. თბილისის ოქტომბრისა და კიროვის სახელობის, გურჯაანის, საგარეჯოს, კასპის, ზესტაფონისა და ორჯონიკიძის რაიონების რიგი სკოლების დაწყებით კლასებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული მშობლიური ენის სწავლება თბილისის 23-ე საშუალო სკოლის 11<sup>2</sup> და 11<sup>2</sup> კლასებში (მასწავლებლები: დ. სანიკიძე, თ. შარაშენიძე), 30-ე საშუალო სკოლის 1<sup>1</sup> კლასში (მასწ. ნ. შერმაზნიშვილი); გურჯაანის რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლის 1 კლასში (მასწ. მ. ქაჩლიშვილი), მელაანის საშუალო სკოლის II და III კლასებში (მასწავლებლები: ქ. ბეჟუაშვილი, ე. ხანდამიშვილი), ჭანდრის რეაწლიანი სკოლის III კლასში (მასწ. ნ. ფიროსმანიშვილი); კასპის რაიონის ყარაჯალის დაწყებითი სკოლის III კლასში (მასწ. ჟ. ბარნაბიშვილი), ქ. კასპის I საშუალო სკოლის III კლასში (მასწ. ლ. უხულგულაშვილი); საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის რეაწლიანი სკოლის I და IV კლასებში (მასწავლებლები მ. მღებრიშვილი, გ. ნასყიდაშვილი) და საგარეჯოს მე-2 სკოლის III კლასში (მასწ. გ. გოცირიძე).

რუსული ენის სწავლება—თბილისის 23-ე საშუალო სკოლის IV და III კლასებში (მასწავლებლები: მ. დრაგანოვა, ჯ. ქინქლადე), 30-ე საშუალო სკოლის IV<sup>1</sup> კლასში (მასწ. ე. დათუაშვილი), 31-ე საშუალო სკოლის IV კლასში (მასწ. ქ. გაბუნია); გურჯაანის რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლის II<sup>1</sup> კლასში (მასწ. ე. მაისურაძე), ჭანდრის რეაწლიანი სკოლის IV კლასში (მასწ. ა. ახალაია),

ჩემლაყის საშუალო სკოლის II კლასში (მასწ. ს. გუკასოვი); კასპის რაიონის ყარაჯალის დაწყებითი სკოლის II კლასში (მასწ. მ. ბუბიაშვილი);

ართმეტიკის სწავლება—თბილისის 23-ე საშუალო სკოლის III კლასში (მასწ. დ. სანიკიძე), 71-ე საშუალო სკოლის III<sup>1</sup> კლასში (მასწ. ე. ზაქარიაძე), 68-ე საშუალო სკოლის IV და I კლასებში (მასწავლებლები ო. ცინცაძე, ლ. კახიანი), 75-ე საშუალო სკოლის II კლასში (მასწ. ზ. ბალიაშვილი); გურჯაანის რაიონის მელაანის საშუალო და ნანიანის დაწყებითი სკოლების II კლასებში (მასწ. ქ. ბეჟუშვილი, მ. ქიტოშვილი), ჭანდრის რვაწლიანი სკოლის II<sup>2</sup> კლასში (მასწ. ე. მანიჯაშვილი); საგარეჯოს II საშუალო სკოლის IV კლასში (მასწ. რ. გზირიშვილი) და საგარეჯოს დაწყებითი სკოლის IV კლასში (მასწ. თ. სინჯიაშვილი);

ისტორიის სწავლება—თბილისის 75-ე და 31-ე საშუალო სკოლების IV კლასებში (მასწავლებლები: ნ. კობერიძე, შ. შვანგირაძე); კასპის რაიონის ყარაჯალის დაწყებითი სკოლის IV კლასში (მასწ. ე. ელისაბედიშვილი);

ბუნებისმცოდნეობის სწავლება—თბილისის 75-ე საშუალო სკოლის IV კლასში (მასწ. ი. ჭანტურია), 31-ე საშუალო სკოლის IV კლასში (მასწ. ვ. ჩუბინიძე), 30-ე საშუალო სკოლის IV კლასში (მასწ. ლ. ფერაძე) და 71-ე საშუალო სკოლის IV კლასში (მასწ. ლ. ოსაძე);

ფიზიკური აღზრდის სწავლება—თბილისის 75-ე საშუალო სკოლის II, III, და IV კლასებში (მასწ. გ. ბერძენიშვილი), 23-ე საშუალო სკოლის II, III და IV კლასებში (მასწ. მ. ძაგანაშვილი), 71-ე საშუალო სკოლის I და II კლასებში (მასწ. გ. სიხარულიძე), 65-ე საშუალო სკოლის I—IV კლასებში (მასწ. რ. ჩიტიაშვილი).

ქართული ენის მასწავლებლები ნერგავენ მოსწავლეებში სწორი და სწრაფი თხრობისა და გამომეტყველებითი კითხვის ჩვენებს. გრამატიკული ელემენტების შეგნებულად ათვისების მიზნით მოხერხებულად იყენებენ საკითხავ ტექსტს, გულდასმით ასწორებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს და იყენებენ „წერის ნორმებს“. აღნიშნული სკოლების რუსული ენის მასწავლებლები კარგად ფლობენ საგანს და მისი სწავლების მეთოდოლოგას, მოსწავლეები პასუხობენ დამაჯერებლად. სამუშაო რვეულები სწორდება სათანადოდ, საკონტროლო წერითი სამუშაოების ნორმები შესრულებულია და სახეები დაცული.



სისტემატურად ემზადებიან გაკვეთილებისათვის არითმეტიკის მასწავლებლები, ისინი ეცნობიან უახლეს მეთოდურ ლიტერატურას და მოხერხებულადაც იყენებენ მას. სწავლების პროცესში მოსწავლეებს უფითარებენ დამოუკიდებელი მუშაობისა და ზეპირი ანგარიშის ჩვენებს. მოსწავლეები კარგად ფლობენ საპროგრამო მასალას არითმეტიკაში. გელაანის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელმა ქ. ბეჟუაშვილმა საკუთარი ინიციატივით საკლასო ოთახში დადგა 3 სხვადასხვა დახაზულობის საკლასო დაფა.

ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლები გაკვეთილებზე იყენებენ თვალსაჩინოებას, ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ ცდებს, ექსკურსიებს, პრაქტიკულ სამუშაოებს. ახალი მასალის ახსნისას არ იფარგლებიან სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის შინაარსის გადაცემით. უცნობი სიტყვების დაწერისა და საჭირო ნახაზების ასაგებად იყენებენ დაფას: სათანადო ყურადღებას აქცევენ გავლილი მასალის განმეორებას. მოსწავლეები ამჟღავნებენ საპროგრამო მასალის მტკიცე ცოდნას, კარგად ფლობენ რუკას.

კარგი აკადემიური მოსწრება აქვს ქ. თბილისის 30-ე და 31-ე საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებს. დასახელებული სკოლების დაწყებით კლასებში 1965—1966 სასწავლო წლის II მეოთხედის ბოლოს არც ერთი აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლე არ იყო. კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა II მეოთხედი 71-ე საშუალო სკოლაშიც, აქ დაწყებითი კლასების 133 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა მხოლოდ 3 მოსწავლე.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილება გარკვეულ დახმარებას და კონტროლს ანხორციელებს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მუშაობაზე. ქ. თბილისის კიროვის რაიონის განათლების განყოფილებამ მ/სასწავლო წელს შეისწავლა რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების დაწყებითი კლასების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, შედეგები განიხილა აღმასკომის სხდომაზე და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მიღწევებისა, დასახელებული რაიონების რიგი სკოლების დაწყებით კლასებში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ქართული ენის სწავლება თბილისის 65-ე და 71-ე საშუალო სკოლების I კლასებში (მასწავლებლები: ც. კარანაძე, ი. საღარეიშვილი), გურჯაანის რაიონის ჭანდრის რვაწლიანი სკოლის I კლასში (მასწ. მ. ჯოხაძე),

მელაანის საშუალო სკოლის I კლასში (მასწ. ე. ხელაშვილი), ატინიშნული მასწავლებლები დაბალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს, ნაკლებად ზრუნავენ მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების ჩვევების გამომუშავებაზე, ასახსნელ მასალას ვერ ამდიდრებენ დამატებითი საკითხებით, დიდაქტიკურ მასალას ვერ იყენებენ მიზანშეწონილად, რის გამოც ბავშვების მომზადების დონე მშობლიურ ენაში დასახელებულ კლასებში დაბალია.

დაბალ დონეზეა რუსული ენის სწავლება დაყენებული თბილისის 65-ე საშუალო სკოლის II კლასში (მასწ. რ. ურუშაძე), გურჯაანის რაიონის ჭანდრის რეაწლიანი სკოლის II და III კლასებში (მასწ. მ. არუთინოვა), ჩუმლაყის საშუალო სკოლის II და III კლასებში (მასწ. ნ. პეტრიაშვილი). ეს მასწავლებლები სუსტად ფლობენ რუსულ ენას, შეცდომებს უშვებენ მოსწავლეებთან საუბარსა და კითხვების დასმის დროს, არ იცავენ მახვილს, შერბილებას, რის გამოც მახინჯდება არა მხოლოდ ცალკეული სიტყვა, არამედ ზოგჯერ აზრიც. ბავშვებს არა აქვთ სიტყვების მარაგი, მეტყველებენ დამახინჯებულად, დაზებირებული სიტყვებითა და ფრაზებით.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული არითმეტიკის სწავლება თბილისის 71-ე საშუალო სკოლის III კლასში (მასწ. ი. კანდელაკი), 30-ე საშუალო სკოლის IV კლასში (მასწ. ნ. ჩითილაშვილი); ორჯონიკიძის რაიონის დაბა ორჯონიკიძის I საშუალო სკოლის III და IV კლასებში (მასწავლებლები დ. გაჩეჩილაძე, თ. სამხარაძე), სალანძილეს რეაწლიანი სკოლის II, III და IV კლასებში (მასწავლებლები ა. კიკნაძე, ვ. კაციტაძე, თ. ლოლაძე); ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის რეაწლიანი სკოლის I, II და IV კლასებში (მასწავლებლები ვ. ლაშხი, ვ. აბულაძე, ა. ფერაძე), შუა კვალითის მცირეკომპლექტიანი დაწყებითი სკოლის II და IV კლასებში (მასწ. ი. მარაქველიძე); გურჯაანის რაიონის ჭანდრის რეაწლიანი სკოლის III<sup>1</sup> და II<sup>2</sup> კლასებში (მასწავლებლები მ. მამისიმედაშვილი, ქ. მანიჯაშვილი), ბაკურციხის საშუალო სკოლის III კლასში (მასწ. გ. მამიაშვილი), ჩუმლაყის საშუალო სკოლის II და IV კლასებში (მასწავლებლები გ. უტიაშვილი, ს. შიშნიაშვილი); საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის რეაწლიანი სკოლის I კლასში (მასწ. მ. მღებრიშვილი), საგარეჯოს დაწყებითი სკოლის II კლასში (მასწ. თ. შიოშვილი).

ზოგიერთი სკოლის IV კლასში ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრები არითმეტიკაში არადამაკმაყოფილებელია. მა-



გალითად, დაბა ორჯონიკიძის I საშუალო სკოლის IV კლასში (მასწ. თ. სამხარაძე) საკონტროლო წერითი მუშაობის შედეგი ასეთია: 21 მოსწავლიდან დამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო მხოლოდ ერთმა მოსწავლემ, 20 მოსწავლემ მიიღო შეფასება „2“. სახელდებული რიცხვების შეკრებისა და გამოკლების უცოდინარობა გამოამჟღავნა 19 მოსწავლემ, რიცხვიდან ნაწილის პოვნისა—18-მა, შემოკლებითი გაყოფის—20-მა, ხოლო მართკუთხედის პერიმეტრი და ფართობი იპოვა მხოლოდ ერთმა მოსწავლემ.

ანალოგიური შედეგია ამ რაიონის საღანძილის რვაწლიანი სკოლის IV კლასში. 19 მოსწავლიდან საკონტროლო წერა იმავე საკითხებზე დამაკმაყოფილებლად შეასრულა ერთმა მოსწავლემ, დანარჩენმა 18-მა მიიღო შეფასება „2“.

ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის რვაწლიანი სკოლის IV კლასის (მასწ. ა. ფერაძე) 23 მოსწავლიდან საკონტროლო წერა მათემატიკაში დამაკმაყოფილებლად ვერც ერთმა ვერ შეასრულა. წერითი ნამუშევრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამოცანის ამოხსნის კითხვები სწორად აქვს 7 მოსწავლეს; სახელდებული რიცხვების გადაქცევა შეასრულა 3 მოსწავლემ; სახელდებული რიცხვების შეკრება სწორად შეასრულა 10 მოსწავლემ; რიცხვიდან ნაწილის პოვნა სწორად შეასრულა 3 მოსწავლემ; შემცველობითი გაყოფა ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შეასრულა სწორად; ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ აავო კვადრატი მოცემული პერიმეტრის მიხედვით.

იმის გასაგებად, თუ რამდენადაა მოსწავლეები დაუფლებული ამოცანის ამოხსნის შედარებით ეფექტური ხერხების ძიებასა და შერჩევას, აგრეთვე რამდენად შეჩვეული არიან ჩაფიქრებას ამოცანის პირობაზე, მის ანალიზს, ჩატარებულ იქნა საკონტროლო წერა ზესტაფონის რაიონის შუა კვალითის მცირეკომპლექტიანი დ/სკოლისა და გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლის IV კლასებში (მასწავლებლები ი. მარაქველაძე, ს. შიშნიაშვილი). საწერი თემა:

„გასაყოფი—ერთი დღე-ღამე.

გამყოფი—60 წუთი, იპოვეთ განაყოფი“ და

„ორ ყუთში იყო 60 კგ. ყურძენი; ერთი ყუთიდან მეორეში გადაალაგეს 16 კგ. რამდენი კილოგრამი ყურძენი იქნება ორივე ყუთში?“

ორივე სკოლის აღნიშნული კლასების მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს, რომ ისინი არა თუ ამოცანის ამოხსნის რაციონალური



ხერხების ძიების და შერჩევის უნარს ფლობენ, არამედ მათ თოდ არ აქვთ გამოიმუშავებული ამოცანებზე დამოუკიდებლად მუშაობის ელემენტარული ჩვევაც კი. შუა კვალითის დ/სკოლის IV კლასმა დაფიდან მხოლოდ პირობა გადაწერა და ამით დაკმაყოფილდა. ჩუმლაყის საშუალო სკოლის IV კლასის 36 მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება. 15 მოსწავლემ გადაწერა მარტო პირობა, დანარჩენმა 21 მოსწავლემ დაიწყო ამოხსნა, მაგრამ ვერ დაამთავრა.

რიგი სკოლების მასწავლებლები არ იცნობენ უახლეს ლიტერატურას და გაკვეთილებისათვის მზადებისას ხელმძღვანელობენ მხოლოდ ბავშვებისათვის განკუთვნილ ამოცანათა კრებულებით. მოსწავლეებს ნაკლებად ავარჯიშებენ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვასა და ინიციატივის გამოვლინებაზე. სავარჯიშო მასალაზე მუშაობისას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას. იშვიათად ავარჯიშებენ ისეთ მაგალითებზე, რომლებიც გამოიყვანება სხვადასხვა ხერხით და შესაძლებელია უფრო რაციონალური ხერხების გამოყენება.

ზეპირი ანგარიშის წარმოების დროს იყენებენ ისეთ სავარჯიშოებს, სადაც მოსწავლეებს არ უხდებათ სიძნელეთა დაძლევა, მათი ამოხსნის შემოქმედებითი გზების ძიება.

თითქმის ყველა შესწავლილ სკოლაში გეომეტრიული მასალის შესწავლის დროს უგულვებელყოფილია პრაქტიკული მუშაობა, დაკვირვება და შედარება-გაზომვა, აწონა, ხატვა, მოდელირება და ა. შ. მოსწავლეებს არ ავარჯიშებენ გეომეტრიულ წარმოდგენათა ჩამოყალიბებაზე.

დაბა ხარაგოულის 1-ლი საშუალო სკოლის III კლასის (მასწ. დ. გაჩეჩილაძე) მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ მართკუთხედზე. მასწავლებელმა განაცხადა, რომ „მართკუთხედი ჯერ არ უსწავლიათ“.

ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის რვაწლიანი სკოლის II კლასის (მასწ. ვ. აბულაძე) და ორჯონიკიძის რაიონის საღანძილის რვაწლიანი სკოლის II კლასის (მასწ. ა. კიკნაძე) მოსწავლეებმა განაცხადეს, რომ „მეტრი მაღაზიაში გვინახავს“. ზედა საქარის II კლასის მოსწავლემ თვალზომით დაფაზე დახაზა ერთი სანტიმეტრი სიგრძის მონაკვეთი, უშუალო გაზომვით კი გამოვიდა 70 სანტიმეტრი. ზედა საქარის დ/სკოლის II კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ სიგრძის საზომ ერთეულებზე. ამ კლასის მოსწავლემ

განაცხადა: „დეციმეტრი მეტია მეტრზე“. მასწავლებელმა კი იქვე „განმარტა“, რომ ეს საკითხი პროგრამაში არ შედისო“.

გურჯაანის რაიონის ჭანდრის რვაწლიანი სკოლის III კლასის (მასწ. მ. მამისიმედაშვილი) მოსწავლემ თვალზომით დაფაზე დახაზა I სმ მონაკვეთი, გაზომვით კი გამოვიდა 14 სმ. მოსწავლეებმა ვერ იპოვეს განსხვავება 14 სმ-სა და 1 სმ-ს შორის. ამავე რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლის IV კლასის (მასწ. მ. ვარდიაშვილი) არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა თავისი ნაბიჯის სიგრძე, მათ არ იციან როგორ გამოიანგარიშება ნაბიჯის საშუალო სიგრძე.

ზოგჯერ მათემატიკური ცნებებისა და წესების განმარტებისას, აგრეთვე არითმეტიკული ოპერაციების ახსნის დროს მასწავლებლები არ იყენებენ თვალსაჩინოებას. მათ მიერ სადემონსტრაციო დიდაქტიკური მასალის გამოყენებას არ ახლავს მოსწავლეთა მუშაობა ინდივიდუალურ თვალსაჩინო მასალაზე, დაკვირვება, შედარება; მოსწავლეები არ აწარმოებენ მოქმედებებს საგნებზე, რომ ამის საფუძველზე გადავიდნენ განყენებულ რიცხვთა არითმეტიკულ მოქმედებებზე.

ზოგ სკოლაში დიდაქტიკურ მასალად იყენებენ მხოლოდ ჩხირებს. რაც ბავშვებს არ აძლევს საშუალებას შეხებით და კუნთური გრძნობით შეითვისონ ფორმა, სიდიდე, სიმძიმე და ა. შ.

გურჯაანის რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლის I კლასში მასწ. გ. ბეჟაშვილს გაყოფის ახსნისას ბავშვებისათვის არ უჩვენებია ამ მოქმედების საჭიროება და სარგებლიანობა პრაქტიკული ხასითის ამოცანის ამოხსნის გზით. მასწავლებელმა გაყოფა მოახდინა განყენებულ რიცხვებზე და არც გაყოფის შედეგი შეუმოწმებია თვალსაჩინოდ. კლასში არ იყო არც სადემონსტრაციო და არც მოსწავლეთა ინდივიდუალური დიდაქტიკური მასალა. ამ რაიონის ჭანდრის საშუალო სკოლის II კლასში (მასწ. ქ. მანიჯაშვილი) და ზესტაფონის რაიონის ზედა საქარას რვაწლიანი სკოლის I კლასში (მასწ. ვ. ლაშხი) არითმეტიკა ყოველგვარი თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე ისწავლება.

არადამაკმაყოფილებლად დაყენებული ისტორიის სწავლება თბილისის 71-ე და 23-ე საშუალო სკოლების IV კლასებში (მასწავლებლები ლ. ოსაძე, თ. ლვინიანიძე). მასწ. ლ. ოსაძემ გაკვეთილი დაბალ დონეზე ჩაატარა, ბავშვები ვერ დააინტერესა საკითხებით. ის არ იძლეოდა უცნობი სიტყვების განმარტებას, ან თუ იძლეოდა მეტად ბუნდოვანად და არასწორად. მაგალითად, მასალის

გადაცემის დროს მან ახსნა „იუნკრები“, ეს სიტყვა არ განმარტავს, მაგრამ მოსწავლის შეკითხვაზე: „ვინ იყვნენ, მასწავლებლო, იუნკრები“ უპასუხა: „ისინი იყვნენ ცნობილი ხალხი, მცოდნენი“. თ. ლვინიანიძემ არ იცის გაკვეთილის ორგანიზაციის ელემენტარული წესები, მოსწავლეს არ აცლის გაკვეთილის თხრობას, ერევა საუბარში და თვითონ მოსწავლეზე მეტს ლაპარაკობს.

დაბალ დონეზე ატარებენ ბუნებისმცოდნეობის გაკვეთილებს თბილისის 68-ე და 65-ე საშუალო სკოლების მასწავლებლები (ფირალიშვილი და თ. რეხვიაშვილი), ზესტაფონის რაიონის ზემო საქარის რვაწლიანი სკოლის IV კლასში (მასწ. ტ. სამხარაძე) და შუაკვალითის მცირეკომპლექტიანი დ/სკოლის IV კლასში (მასწ. ა. ლურსმანიშვილი). ისინი ნაკლებად აწარმოებენ პრაქტიკულ სამუშაოებს, ცდები. მოსწავლეებს არასაკმარისად ავარჯიშებენ რუკაზე, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ გავლილი მასალის გამეორებას.

არადამაკმაყოფილებლად დაყენებული ფიზიკური აღზრდა თბილისის 36-ე საშუალო სკოლის I კლასში (მასწ. ე. იმერლიშვილი), 75-ე საშუალო სკოლის II კლასში (მასწ. დ. ხელაშვილი). ეს მასწავლებლები არ იცნობენ პროგრამას, არასწორად ასწავლიან სიარულს, უხარისხოდ ატარებენ მოძრავ თამაშობებს, არ წერენ გაკვეთილის გეგმას. საკლასო ჟურნალებში ვხვდებით შეუსაბამო ჩანაწერებს.

შესწავლილი სკოლები გარკვეულ მუშაობას ეწევიან საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის შესასრულებლად. იშვიათია უმიზეზოდ სკოლიდან მოსწავლეთა გასვლის შემთხვევები; განსაკუთრებით დაწყებითი კლასებში. არის ნაკლოვანებებიც, მაგალითად, ჩუმლაყის საშუალო სკოლის II კლასიდან 1965—66 სასწავლო წლის მეორე ნახევარში გასულია ერთი მოსწავლე. ოჯახის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზით, მაგრამ სკოლამ არ იცის სად იმყოფება და სწავლობს თუ არა იგი.

სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია დაწყებითი კლასების მასწავლებელთა შესაფერისი კადრებით, მაგრამ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ზოგჯერ არღვევენ მასწავლებელთა შერჩევის დადგენილ წესს. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის 68-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების 11 მასწავლებლიდან მხოლოდ ოთხია პედსასწავლებლის კურსდამთავრებული, ანალოგიური მდგომარეობა არის 36-ე და 31-ე სკოლებში. გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლის მასწავლებელს უ. მესხიშვილს ზოგადი

საშუალო განათლება აქვს. იგი მეხუთე წელია დაწყებით კლასებს, ასწავლის.



დასახელებული რაიონების სკოლების უმრავლესობის დაწყებითი კლასები მეცადინეობენ შესაფერის ბინებში და შექმნილი აქვთ მუშაობისათვის სათანადო პირობები. მაგალითად, გურჯაანის რაიონის ნანიანის დაწყებითი სკოლა მოთავსებულია ექვსოთახიან საკუთარ შენობაში; სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო ინვენტარით და თვალსაჩინოებისათვის საჭირო მასალებით, აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი და კეთილმოწყობილი კარმიდამო. ასევე ნორმალური მუშაობისათვის სათანადო პირობები აქვს შექმნილი ზესტაფონის რაიონის შუა კვალითის დაწყებით სკოლას.

შედარებით ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა იმ საშუალო და რვაწლიანი სკოლების დაწყებით კლასებს, რომლებიც ორ ცვლაში მუშაობენ. ამ პირობებში I—IV კლასების მოსწავლეები მეცადინეობენ მათი ასაკისათვის შეუფერებელ უფროსი კლასების მოსწავლეთა მერხებზე. შემოწმებული სკოლების უმრავლესობას არ გააჩნია საჭირო დახაზულობის დაფები.

სკოლებს აქვთ ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნადი ფონდი ზოგან 10.000-ს აღწევს, მაგრამ მათ იშვიათად მოეპოვებათ საბავშვო და პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურა, განსაკუთრებით დაწყებითი კლასებისათვის. წიგნები არითმეტიკისა და ქართული ენის სწავლების მეთოდებიდან დაწყებითი კლასებისათვის არცერთ სკოლას არა აქვს.

სკოლებში ჩამოყალიბებულია დაწყებითი კლასების მეთოდ-გაერთიანებანი, რომლებიც გარკვეულ მუშაობას ეწევიან. გამო ნაკლის წარმოადგენს ქ. თბილისის 68-ე და გურჯაანის რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლები. მათ არასწორად აქვთ გაგებული მითითებანი სკოლაში მეთოდური მუშაობის შესახებ. 68-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლები გაერთიანებულნი არიან საგნობრივ მეთოდგაერთიანებაში, ხოლო ბაკურციხის საშუალო სკოლას მეთოდური მუშაობის დაგეგმვის დროს სრულიად არ გაუთვალისწინებია დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის საკითხები.

დაწყებითი კლასების მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელები წაკითხულ თემებზე მასწავლებლებს არ სთხოვენ ლიტერატურის დასახელებას, სხდომათა ოქმებში არ ჩანს მასწავლებელთა წინადადებანი და მოსაზრებები განხილული თემის ირგვლივ.

ზოგიერთი 8-წლიანი და საშუალო სკოლის დირექტორები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ დაწყებით კლასებს სკოლის წლიურ და პედაგოგიურ საბჭოს სამუშაო გეგმებში არ ითვალისწინებენ დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან მუშაობის ძირითად საკითხებს (ქ. თბილისის 68-ე, 75-ე საშუალო, გურჯაანის რაიონის ქანდრის რვაწლიანი, ორჯონიკიძის რაიონის დაბა ორჯონიკიძის საშუალო და ზესტაფონის რაიონის ზემოსაქარის რვაწლიანი სკოლები). ზოგიერთი სკოლის სამუშაო გეგმაში შეტანილია ზოგადი ხასიათის საკითხები, რომლებიც არაფრის მთქმელია.

გაკვეთილების ცხრილს დაწყებითი კლასებისათვის სკოლების დიდი უმრავლესობა კარგად ადგენს. არის ნაკლოვანებანიც, მაგალითად, ქ. თბილისის 75-ე საშუალო სკოლის II და III კლასების ცხრილი შაბათობით მეტად დატვირთულია, არის ხუთ-ხუთი გაკვეთილი. მსგავსი მდგომარეობაა თბილისის 23-ე, 36-ე და 65-ე საშუალო სკოლებში. გურჯაანის რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლის IV<sup>2</sup> კლასის მოსწავლეებს ორშაბათს მე-3 გაკვეთილად ხატვა, ხოლო მე-5 გაკვეთილად რუსული აქვთ. ორჯონიკიძის რაიონის სალანძილის რვაწლიან სკოლას სამშაბათს მე-3 გაკვეთილად ფიზკულტურა, ხოლო მე-4 გაკვეთილად ქართული ენა აქვს. ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის რვაწლიანი სკოლის I კლასში ქართული ენა შაბათს დაწყვილებულადაა შეტანილი მე-2 და მე-3 გაკვეთილებზე.

ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა 1965—1966 სასწავლო წლის I და II მეოთხედები გურჯაანის რაიონის მეღანიის საშუალო სკოლამ, სადაც I კლასის 32 მოსწავლიდან I და II მეოთხედში ვერ ასწრებდა 3 მოსწავლე. ორჯონიკიძის რაიონის სალანძილის რვაწლიანი სკოლის I—IV კლასების 85 მოსწავლიდან II მეოთხედში ვერ ასწრებდა 16 მოსწავლე, მათ შორის ვერ ასწრებს I კლასის 4 მოსწავლე. ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის რვაწლიანი სკოლის I—IV კლასების 134 მოსწავლიდან I მეოთხედში ვერ ასწრებდა 15, II მეოთხედში 2 მოსწავლე, აქედან 2 მოსწავლე მეორეწლიანია. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. თბილისის 65-ე და 75-ე საშუალო სკოლებში. მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჩამორჩება მშობლიურ ენასა და არითმეტიკაში.

რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები არადაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწე-



ვენ მათზე მიმაგრებულ დაწყებით სკოლებს, არ ხდიან პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგნად ამ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცალკეულ საკითხებს და ნაკლებად ზრუნავენ მათში სწავლა-აღზრდის დონის ამაღლებისათვის.

დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა სუსტად მუშაობენ თავის თავზე, მიუხედავად არა ერთგზის გაფრთხილებისა, ბევრი მათგანი არ იცნობს ისეთ მნიშვნელოვან სახელმძღვანელო დოკუმენტებსაც კი, როგორცაა 1961 წლის ბრძანებათა და ინსტრუქციათა № 7 კრებულში მოთავსებული მითითებები დაწყებით სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების შესახებ და განათლების მინისტრის ბრძანება № 488 დაწყებით სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. თავის მხრივ განათლების განყოფილებანი და სკოლების ხელმძღვანელი მუშაკები ამას ურიგდებიან და ქმედით ზომებს არ ღებულობენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა გადაჭრით გააუმჯობესონ ცალკეული საგნების სწავლება, სისტემატურად იმუშაონ თავის თავზე და საფუძვლიანად გაიციონ დ/სკოლის მასწავლებელთათვის განკუთვნილი მეთოდური ლიტერატურა.

მშობლიური ენის სწავლებისას გრამატიკული მასალის შეგნებულად ათვისების მიზნით გამოიყენონ საკითხავი ტექსტები, დაიცვან წერის ნორმები, გულდასმით გაასწორონ მოსწავლეთა ნამუშევრები და წერთი ხელის ჩამოყალიბება აწარმოონ „წერის დედანის“ მიხედვით.

რუსული ენის სწავლებისას აღმოფხვრან მოსწავლეთა მიერ ტექსტის უაზრო, მექანიკურად ზეპირობა და მეტი ყურადღება მიაქციონ ლექსიკურ მუშაობას, სიტყვების მარაგს გამდიდრებას და სასაზბრო ენის განვითარებას; გაკვეთილები ჩაატარონ ცოცხლად, საინტერესოდ, გამოიყენონ თვალსაჩინოება, იბრძოლონ ლამაზი, კალიგრაფიული წერისათვის;

მათემატიკის სწავლებისას ფართოდ დანერგონ მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობისა და ზეპირი ანგარიშის ჩვევები; ამოცანებზე მუშაობისას ყურადღება მიაქციონ მისი სხვადასხვა

ხერხით ამოხსნას და ამოხსნის ეფექტური ხერხების ძიებას—მოსწავლეები ავარჯიშონ ისეთ ამოცანებზე, რომლებიც სიძნელეთა დაძლევის და შემოქმედებითი გზების ძიებას მოითხოვს; მათემატიკური ცნებების და წესების განმარტებისა და არითმეტიკულ მოქმედებათა ახსნის დროს ფართოდ გამოიყენონ დიდაქტიკური საშუალებანი.

გეომეტრიული მასალის შესწავლის დროს გამოიყენონ ლაბორატორიული მეთოდი; მოსწავლეები ავარჯიშონ გეომეტრიულ წარმოდგენათა ჩამოყალიბებაზე, გაზომვაზე, აწონაზე, მოდელირებაზე, ავარჯიშონ თვალზომის განვითარებაზე; დიდაქტიკური მასალა გამოიყენონ მიზანშეწონილად, ყველა წესის დაცვით.

გულდასმით გაასწორონ და შეათვასონ მოსწავლეთა სამუშაო რვეულები; მოსწავლეები ხშირად ავარჯიშონ და ყველა საჭირო შემთხვევაში მისცენ ციფრთა დამწერლობის ნიმუშები.

## 2. საშუალო და რვაწლიანი სკოლების ხელმძღვანელებმა:

უზრუნველყონ მათზე მიმავრებული დ/სკოლების მასწავლებლების სისტემატურად დასწრება პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე; გააძლიერონ დახმარება და კონტროლი დ/კლასების მასწავლებლის მუშაობაზე; გაკვეთილის მოსმენისას ყურადღება მიაქციონ, თუ რამდენად მოხერხებულად და მართებულად იყენებენ მასწავლებლები მოწინავეთა გამოცდილებას და სიახლეებს ცალკეული საგნების სწავლების საქმეში, მასწავლებლებს მისცენ კონკრეტული და საქმიანი მითითებანი, შეამოწმონ მითითებათა შესრულება;

უზრუნველყონ სკოლების მომარაგება იმ დიდაქტიკური მასალით, რომლის სია მოცემულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში (1965 წ. № 4);

უზრუნველყონ სკოლა სათანადო დახაზულობის საკლასო დაფებით;

შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკა საბავშვო და მეთოდიური ლიტერატურით;

მიიღონ ზომები, რათა დ/კლასების მოსწავლეები მოთავსებული იქნან ასაკის შესაფერის მერხებზე

3. ქ. თბილისის, გურჯაანის, საგარეჯოს, ორჯონიკიძის სახელობის, კასპის და ზესტაფონის რაიონების განათლების განყოფილებებმა (თ. ევაძე, მ. თოდაშვილი, ი. ბელიაშვილი, შ ჩხიკვაძე, ა. ბეჟანიშვილი, მ. ჩიქოვანი);



გააძლიერონ მეთოდური დახმარება და კონტროლი დაწესებულებითი სკოლების მუშაობაზე; მიაღწიონ იმას, რომ ამ სკოლების მასწავლებლები სისტემატურად ეცნობოდნენ და იყენებდნენ მუშაობაში მეთოდურ ლიტერატურას, საინსტრუქციო ლოკუმენტებს და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულებს.

გააპიროვნონ თითო სასკოლო ინსპექტორი დ/ სკოლებისა და კლასების ხაზით;

გაატარონ ორგანიზაციული ზომები ბრძანებაში დასახელებული სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მიმართ;

ფართოდ განაზოგადონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება;

განიხილონ ეს ბრძანება სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი აქ აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი) გააძლიეროს მეთვალყურეობა დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კურსებისა და სემინარების მუშაობაზე. მიიღოს ყველა ზომა, რათა დ/ სკოლის მასწავლებლებისადმი დახმარება იყოს ქმედითი და კვალიფიციური.

5. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებამ“ (გრ. საჯაია) და გაზეთ „სახალხო განათლებამ“ (ნ. შველიძე) სისტემატურად გააშუქონ დაწყებითი სკოლების მუშაობა—მათი მიღწევები და ნაკლი და ფართოდ განაზოგადონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე უშ. ოზოლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ.  
18 აპრილის ბრძანება № 431

გავეცანი რა მოხსენებით ბარათს განათლების ადგილობრივ ორგანოებში სტატისტიკური ანგარიშგების მდგომარეობის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

სტატისტიკური განყოფილების მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი რესპუბლიკის განათლების ადგილობრივ ორგანოებში სტატისტიკური ანგარიშგების მდგომარეობის შესახებ გაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს განსახილველად და საჭირო ზომების მისაღებად.

დაევალოს მათ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ ანგარიში წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს მ/წლის 30 ივნისამდე.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს

ამხ. თ. ლაშქარაშვილს

## მოსხენებითი ბაკათი

რესპუბლიკის განათლების ადგილობრივ ორგანოებში სტატისტიკური ანგარიშების მდგომარეობის შესახებ

უკანასკნელ წლებში განათლების ადგილობრივ ორგანოებში მკვეთრად გაუმჯობესდა სტატისტიკური ანგარიშების დისციპლინა.

რესპუბლიკის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა აბსოლუტური უმრავლესობა პასუხისმგებლობით ეკიდება სტატისტიკური-ანგარიშების შედგენის საქმეს და სწორად შედგენილ ანგარიშებს უდგენს განათლების ადგილობრივ ორგანოებს, რის შედეგადაც განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს ნაკრები ანგარიშების ხარისხი და ისინი თავის დროზე ადგენენ ანგარიშებს ს. მინისტროში.

სტატისტიკური ანგარიშების სწორად შედგენისა და თავის დროზე წარმოდგენის საქმეში განსაკუთრებით გამოირჩევიან აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, ქალაქების თბილისისა და ფოთის, ბოლნისის, მახარაძის, გურჯაანის, ყვარლის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, წითელწყაროს, ცაგერის, ოპის, გარდაბნის, დუშეთის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებები, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალი, თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატი, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციები და სხვ.

მიუხედავად ამისა, სტატისტიკური ანგარიშების შედგენისა და თავის დროზე წარმოდგენის საქმეს ჯერ კიდევ მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება რიგი რაიონული და საქალაქო განათლების განყოფილება და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულება. წარმოდგენილი ანგარიშების შემოწმებისას ირკვევა, რომ განათლების განყოფილებათა გამგეებისა და სამინისტროს

დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებათა ხელმძღვანელების ერთი ნაწილი ყოველგვარი გაკონტროლების გარეშე შექანიკურად აწერს ხელს სტატისტიკოსის, ბუხჰალტრის თუ სხვა პირის მიერ შედგენილ ანგარიშს.

სტატისტიკურ ანგარიშებს სისტემატურად აგვიანებენ ან უხარისხოდ ადგენენ ქ. ტყიბულის, ლენტეხის, ბოგდანოვკის, ქარელის, მაიაკოვსკის, ყაზბეგის, ახალქალაქის რაიონების განათლების განყოფილებები, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ცხინვალისა და სოხუმის ფილიალები, წალენჯიხის სანატორიული სკოლა-ინტერნატი, ზედაგრანის, თბილისის № 2 (მათემატიკის გაძლიერებული სწავლებით) სკოლა-ინტერნატი და სხვ.

სტატანგარიშების დაგვიანებით წარმოდგენა, გარდა იმისა, რომ იწვევს გაუთვალისწინებელ უამრავ ზედმეტი ხანების ხარჯვას (შეხსენების გაგზავნა, დებეშების დაგზავნა, ტელეფონით დალაპარაკება და სხვა) უარყოფით გავლენას ახდენს რესპუბლიკური ნაკრები ანგარიშების ხარისხზე, ვინაიდან ნაკრები ანგარიშის დამუშავება ხდება შემჭიდროებულ ვადებში.

რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა ერთი ნაწილი არასაკმაო ყურადღებას უთმობს სტატისტიკური ანგარიშების სისწორის შემოწმებას სკოლების ინსპექტირების დროს, იშვიათად იხილავს ამ საკითხებს განათლების საბჭოს სხდომებზე.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, გთხოვთ თქვენს განკარგულებას, რათა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებმა:

1965—1966 სასწავლო წლის დამთავრებამდე შეამოწმონ სკოლებში სტატისტიკური ანგარიშების მდგომარეობა, საკითხი განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

სათანადო წესრიგი დაამყარონ ამ საქმეში; სამინისტროს კოლეგიისა და განათლების საბჭოს სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში სტატისტიკური ანგარიშების პერიოდულად შემოწმება;



სკოლების მიერ 1965—1966 სასწავლო წლის ბოლოს ანგარიშების წარმოდგენამდე ჩატარონ იმ პირთა საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარი, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ პირველადი სტატისტიკური ანგარიშების შედგენაზე.

საქართველოს სსრ განათლების  
 სამინისტროს სტატისტიკური განყოფილების  
 უფროსი **ჯ. სვანიძე**

## ПРИКАЗ ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР № 475 ОТ 30 АПРЕЛЯ 1966 ГОДА

### Об утверждении отчета по республиканскому бюджету за 1965 год

Общая сумма кассового расхода по республиканскому бюджету в 1965 году определилась в 12140.5 тыс. рублей при плане в 12888.4 тыс. рублей.

В результате неудовлетворительной работы руководителей некоторых учреждений и непринятия мер к своевременному освоению средств для выполнения всех намеченных планом мероприятий, в 1965 году не было освоено ассигнованных средств—292.0 тыс. рублей.

Неосвоение средств имело место в части капремонта 39.3 тыс. руб., учебных расходов—31.7 тыс. руб., приобретения мягкого инвентаря—61.0 тыс. руб., приобретения твердого инвентаря—26.5 тыс. рублей, прочих расходов—26.7 тыс. рублей, по ассигнованиям на питание детей—26.2 тыс. рублей.

Наибольшее неосвоение средств по капитальному ремонту зданий допустили Кобулетская лесная школа (директор Квачадзе Г.)—4800 руб., Тбилисская № 2 школа-интернат (директор Меладзе) 4600 руб., Глданская № 2 школа-интернат—2800 руб. и т. д. Наряду с этим по ряду учреждений имели место перерасходы средства по хозяйственным расходам, так по Цаленджихской школе-интернату (директор Цулая К.)—4500 руб., по Тбилисской школе-интернату глухонемых детей (директор Хетерели И.)—1.100 руб. и т. д.

Все еще не ликвидирована дебиторская задолженность, достигающая 16.000 руб., при этом за содержание детей в интернатах 4300 руб., наибольшая задолженность имеется по Глданс-

кой № 2 школе-интернату—1000 руб., Бетанийской школе-интернату—1200 руб. и Ташикарской школе-интернату—1300 руб.

В целях изжития указанных выше нарушений

Приказываю:

1. Обязать руководство учреждений:

а) принять решительные меры к недопущению каких-либо бюджетно-финансовых нарушений и в кратчайший срок ликвидировать всю дебиторскую задолженность;

б) обеспечить полное освоение средств и выполнение всех мероприятий, предусмотренных бюджетом;

2. Директорам специальных школ-интернатов:

а) обеспечить набор детей в спецшколы в полном соответствии с утвержденным планом;

б) обеспечить детей нормой питания, согласно утвержденному количеству и ассортименту;

в) принять меры к сохранности жесткого и мягкого инвентаря, не допуская преждевременной его амортизации.

3. Планово-финансовому Управлению (тов. Квачадзе А. Ф.):

а) при ассигновании средств на 2-ой квартал текущего года зачесть подведомственным организациям всю сумму дебиторской задолженности и сверхнормативные остатки материалов;

б) выделение сумм по капитальному ремонту зданий по отдельным учреждениям производить лишь после утверждения соответствующей проектно-сметной документации.

4. Центральной бухгалтерии (тов. Карашвили Д.) проверить пригодность подлежащего списанию инвентаря и выявить причины досрочной амортизации его.

5. Предупредить директоров и бухгалтеров всех учреждений, что за допущение в дальнейшем нарушений финансовой дисциплины и за безхозяйственное отношение к оборудованию и инвентарю будут привлечены к строгой ответственности.

Отчет за 1965 год по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР утвердить.

**Основание:** постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 29 апреля 1966 года.

Министр просвещения

Грузинской ССР Т. Лашкарашвили

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ.  
30 აპრილის ბრძანება № 477

ქარელის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელო-  
ბითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღნიშნავ, რომ ქარელის რაიონის სკოლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

სკოლები ძირითადად უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებითაა დაკომპლექტებული. საგრძნობი მუშაობა არის გაწეული სკოლების ნივთიერი ბაზის გაძლიერებისათვის ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი მდგომარეობაა ქარელის I, II და რუისის საშუალო სკოლებში; ამ სკოლებში ფიზიკის კაბინეტებისათვის გამოყოფილია ორ-ორი ოთახი, ხელსაწყო-იარაღების რაოდენობა ძირითადად აკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნილებას, ლაბორატორიულ და სადემონსტრაციო მაგიდეებზე მიყვანილია მუდმივი და ცვლადი ლენი, დამონტაჟებულია კინო, საპროექციო აპარატები და სხვ.

ქარელის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ამხ. ნ. გოგიჩაიშვილი) გარკვეული მუშაობა აქვს გაწეული სკოლებისადმი დახმარების, კონტროლისა და ხელმძღვანელობის საქმეში. ინსპექტორების მიერ აქტივის დახმარებით სკოლებში სისტემატურად მოწმდება ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა. განათლების განყოფილებასთან არსებული განათლების საბჭო მუშაობს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით; იგი რეგულარულად იხილავს თავის სხდომებზე საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებას, დაწყებითი სკოლების მუშაობას, სკოლების სანიტრულ ჰიგიენურ მდგომარეობასა და სხვა აქტუალურ საკითხებს.

შემოწმების მასალები და განათლების საბჭოს დადგენილებები ფორმდება ბრძანებით და ეგზავნება სკოლებს სახელმძღვანელოდ;

რიგი საკითხების განხილვა ხდება რაისაბჭოს აღმასკომის სხდო-  
მებზე.

მიუხედავად ამისა, ქარელის რაიონის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებას და მოსწავლეებს არ აძლევს საფუძვლიან ცოდნას.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება ქარელის მე-2 საშუალო სკოლის VI კლასში (მასწ. თ. აბაშივილი); მოსწავლეებმა სუსტად იციან რაციონალური რიცხვების განმარტება და მათზე მოქმედებანი, როგორ რიცხვებს ეწოდება მოპირდაპირე რიცხვები და სხვ. განვლილი მასალის არაღამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს აბისის საშუალო სკოლის X კლასის (მასწ. ე. კაპანაძე) მოსწავლეებმა. მათ არ იციან დაყვანისა და ორმაგი კუთხეების ტრიგონომეტრიული ფუნქციები, დამოკიდებულება ერთი და იმავე კუთხის ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა შორის; მოსწავლეებმა ვერ შეძლეს დამოუკიდებლად მარტივი იგივეობების დამტკიცებაც კი.

დაბალ დონეზე დგას ამ საგნის სწავლება რუისის საშუალო სკოლის X კლასში (მასწ. ბ. გობოზოვი). მოსწავლეები უცოდინარობას ამჟღავნებენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ტრიგონომეტრიული განტოლება და სხვ, არ იციან მაჩვენებლიანი და ლოგარითმული ფუნქციები, მათი თვისებები და გრაფიკების აგება, ორწევრა განტოლების ამოხსნა; ზერელე წარმოდგენა აქვთ კომპლექსურ რიცხვებზე. ამავე სკოლის VIII კლასის (მასწ. ნ. ნასკიდაშვილი) მოსწავლეებს გეომეტრიაში უძნელდებათ იმის გარკვევა, თუ რა დამოკიდებულებაა მართკუთხა სამკუთხედის ელემენტებს შორის, არ იციან რაზეა დამოკიდებული ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა მნიშვნელობა; საერთოდ კლასმა სუსტად იცის თეორიული მასალა, მოსწავლეებს არა აქვთ პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულების ჩვევები.

შესწავლილ სკოლებში და განსაკუთრებით რუისის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას. უბარისხოდ სრულდება საკლასო და საშინაო დავალებები, დაბალია ჩატარებული წერების ხარისხი, არ წარმოებს ნამუშევრების გულდასმით გასწორება, შეფასების დროს ადგილი აქვს ლიბერალიზმს.



რუისის საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწ. ნ. ნასყიდაშვილი) ალგებრასა და გეომეტრიაში ჩატარებული საკონტროლო წერიები უხარისხოა. მიუხედავად იმისა, რომ ამოცანები და მაგალითები საშუალო სიძნელისაა, შედეგები მაინც ცუდია. გეომეტრიაში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად 24 მოსწავლიდან არაღამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 12-მა მოსწავლემ. ანალოგიური მდგომარეობაა ალგებრაში ამავე სკოლის XI კლასში (მასწ. ბ. გობოზოვი). ამ საგანში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად 25 მოსწავლის ნამუშევრიდან 15 მოსწავლე შეფასებულ იქნა არაღამაკმაყოფილებელ ნიშანზე.

ქარელის I-ლი საშუალო სკოლის VII კლასში (მასწ. გ. ორჯონიკიძე) ალგებრასა და გეომეტრიაში მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასებაში ადგილი აქვს ლიბერალიზმს. VII კლასის მოსწავლეს ვ. კ-ძეს ყველა მაგალითი არასწორად აქვს ამოხსნილი და შეფასებულია ნიშან „3“-ზე, ასეთივე მდგომარეობაა მოსწავლე ა. გ.—ძის ნამუშევარშიც.

შემოწმების დროს მათემატიკაში ჩატარებული საკონტროლო წერების შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მიცემული იყო საშუალო სიძნელის ამოცანები და მაგალითები, მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონე გამოიქვლიდა. მაგალითად, ქარელის მეორე საშუალო სკოლის XI კლასში (მასწ თ. ბაბლიძე) 24 მოსწავლიდან მხოლოდ 3 მოსწავლემ მიიღო დამაკმაყოფილებელი ნიშანი; აბისის საშუალო სკოლის XI კლასში (მასწ. გ. ბერუაშვილი) 22 მოსწავლიდან „4“ მიიღო ერთმა მოსწავლემ, „3“—რვათ, ხოლო 13 მოსწავლითა ნამუშევარი შეფასებულ იქნა არაღამაკმაყოფილებლად. რუისის საშუალო სკოლის XI კლასში (მასწ. ბ. გობოზოვი) 24 მოსწავლიდან ნიშანი „3“ მიიღო 7-მა, „2“—17 მოსწავლემ.

ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ზოგიერთ სკოლაში ფიზიკის სწავლება, ასე, მაგალითად, რუისის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწ. ნ. გოგინაშვილი) მოსწავლეებმა არ იციან მსოფლიო მიზიდულობის კანონი, საბჭოთა მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები კოსმოსური სივრცის ათვისების საქმეში, ვერ ერკვევიან გაზებისა და ორთქლების თვისებებში; IX—X კლასების მოსწავლეებმა სუსტად იციან განვლილი მასალა.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში სათანადო ყურადღება არ ექცევა ფიზიკის კაბინეტების მოწყობასა და სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებას, რუისის საშუალო სკოლაში (მასწ.



ნ. გ. (გინაშვილი) დაუმონტაჟებელია კინო და საპროექციო აპარატები, ელექტრული ველის გამანაწილებელი ფარი; სადემონსტრაციო და ლაბორატორიულ მაგიდებთან დენი არ არის მიყვანილი; მუდმივი დენის წყაროები—აკუმულატორები დაუმუხტავია; არ ტარდება პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები.

აბისის საშუალო სკოლაში (მასწ. რ. ხაჩიძე) ფიზიკის კაბინეტი მცირე ფართობის ოთახშია მოთავსებული, ხელსაწყო-იარაღები არ არის აღრიცხული და განყოფილებების მიხედვით დალაგებული.

შემოწმებული სკოლების ფიზიკის კაბინეტებში დიდი რაოდენობითაა ერთიდაიგივე დასახელების სადემონსტრაციო ხელსაწყოები.

მეთოდგაერთიანებათა ერთი ნაწილი არ მუშაობს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წ. 20 ივლისის № 429 ბრძანების მიხედვით. ისინი სხდომებზე ნაკლებად იხილავენ პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ მეთოდური ხასიათის წერილებს და არ აქცევენ ყურადღებას უკანასკნელ წლებში განათლების სამინისტროს მიერ დაშვებულ ბრძანებათა შესრულებას სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

აბისის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებაში არ წარმოებს მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთ განზოგადება. ანალოგიური მდგომარეობაა ქარელის I-ლ და მე-2 საშუალო სკოლებში.

ნაკლოვანებები გააჩნია პედაგოგიური საბჭოს მუშაობას. ოქმები ზოგჯერ უწიგნურადაა გაფორმებული. რუისისა და აბისის საშუალო სკოლების პედსაბჭოს სხდომაზე მოსმენილი მოხსენებები მეოთხედების შედეგების შესახებ ზოგადია, მათში არ არის მოცემული ღრმა ანალიზი ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შესახებ.

შეწავლილ სკოლებში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. რუისის საშუალო სკოლაში 497 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 80, აქედან სამ და მეტ საგანში—36. დაბალი წარმატების მქონე მოსწავლეებიდან უმრავლესობა მოდის უფროს კლასებზე. დაბა ქარელის I-ლი საშუალო სკოლის 614 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 109, აქედან სამ და მეტ საგანში—69 მოსწავლე.



არ არის წესრიგი მოსწავლეთა გამოკითხვისა და შეფასების საქმეში. რუისის საშუალო სკოლის XI კლასში მოსწავლეების ნაწილი არ არის გამოკითხული რუსულსა და უცხო ენებში, ხოლო მეოთხედის ბოლოს ისინი შეფასებულია. XI კლასის მოსწავლე გ. გ-ლს ქართულ ენასა და ლიტერატურაში ორჯერ აქვს მიღებული „4“ და მეოთხედის ბოლოს შეფასებულია „5“-ზე, X კლასის მოსწავლეს ე. ვ-ლს გეოგრაფიაში ორჯერ მიუღია ნიშანი „2“ და მეოთხედის ბოლოს აქვს — „3“. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ქარელის მე-2 და აბისის საშუალო სკოლებში.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში დიდია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი ვაკვეთილების რაოდენობა; აბისის საშუალო სკოლაში II მეოთხედში არასაბატიო მიზეზით გაცდენილია 804 აკადემიური საათი, რუისის საშუალო სკოლაში — 2214.

კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები არაა კონკრეტული, მოსწავლეთა შორის არ ტარდება სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა. სკოლასა და მშობლებს შორის კავშირი სუსტია, არ ისახება ერთობლივი ღონისძიებანი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. რუისის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის ხშირ შემთხვევას აქვს ადგილი. VII კლასის მოსწავლე რ. მ-ლმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მასწავლებელს, რისთვისაც იგი სკოლიდან გაირიცხა. ამავე სკოლაში მოსწავლეებს შორის ადგილი აქვს არაჯანსაღ დამოკიდებულებას. მოსწავლე გ. მ-ლმა თვითნაკეთი დანით მსუბუქი ჭრილობა მიაყენა თანაკლასელ გოგონას ნ. ნ-ძეს. აბისის საშუალო სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლე გოგონების გათხოვების შემთხვევებს.

სკოლების ერთ ნაწილში სუსტად არის დაყენებული დირექტორებისა და მათი მოადგილეების მიერ კონტროლი და ხელმძღვანელობა. მასწავლებელთა მუშაობაზე, ხოლო მოსმენილი ვაკვეთილების ანალიზი უმეტეს შემთხვევაში ზერელეა.

განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებით არ ეკიდება მიცემულ მითითებათა შესრულების შემოწმებას, რის გამო ნაკლოვანებები სკოლებში კვლავ გამოუსწორებელი რჩება.

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

ქარელის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. ნ. გოგიჩაიშვილი):

ა) განიხილოს ეს ბრძანება სახალხო განათლების საბჭოს <sup>განათლების</sup> ფართოებულ სხდომაზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) მიიღოს ორგანიზაციული ხასიათის ზომები ბრძანებაში დასახელებულ სუსტად მომუშავე მასწავლებლების მიმართ და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობოს განათლების სამინისტროს 1966 წლის 15 მაისამდე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 8 აპრილის დადგენილება..

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე უშ. თბოლაძე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 6 მაისის ბრძანება № 497

1965 წლის II ნახევარში და 1966 წლის I კვარტალში განათლების სამინისტროში შემოსულ მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში 1965 წელს წინა წელთან შედარებით 2643 წერილით ნაკლებია შემოსული, ე. ი. ამ წელს მშრომელთა წერილების რაოდენობა თითქმის 1/4-ით შემცირდა.

ასევე, მიმდინარე წლის I კვარტალში გასული წლის ამავე კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა მშრომელთა განცხადება-საჩივრების რაოდენობა (11,85 %-ით). ეს იმის შედეგია, რომ ადგილებზე განათლების ადგილობრივი ორგანოების მხრივ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მუშაკთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეს.

განათლების სამინისტროში შემოსულ მშრომელთა განცხადება-საჩივრების აღრიცხვის საქმე დამაკმაყოფილებლად დაყენებული. მშრომელთა წერილების მოძრაობის აღრიცხვა წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ რეკომენდებული და სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

ამასთან, გასული წლის I აგვისტოდან შემოღებულია მინისტრისა და მოადგილეების მიერ მშრომელთა მიღების დროს შემოსული განცხადება-საჩივრების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალებში.

სამინისტრომ და პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში დაუგზავნეს ადგილებს სახელმძღვანელოდ მშრომელთა განცხადება-საჩივრების აღრიცხვისა და განხილვის წესის შესახებ ერთიანი ინსტრუქცია.

სამინისტროს მიერ გატარებულ და აგრეთვე მიღებულ სხვა

ლონისძიებების შედეგად, გაძლიერდა სამმართველო-განყოფილებებისა და მათი უფროსების ყურადღება მშრომელთა წერილებისადმი, ამალღდა პასუხისმგებლობა მშრომელთა განცხადება-საჩივრების დროულად და ამომწურავად განხილვის საქმისადმი.

მიუხედავად ამისა, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ზოგიერთ ორგანოში ადგილი აქვს მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში რიგ ნაკლოვანებებს.

არის შემთხვევები, როდესაც ირღვევა მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვისათვის დაწესებული ვადები. ასე მაგალითად, მოქ. ე. იუდინის საჩივარი ბინის მშენებლობის გაჭიანურების შესახებ, გასული წლის სექტემბერს, შესამოწმებლად და ზომების მისაღებად, კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ გადაუგზავნა სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილებას და მოსთხოვა ახსნა-განმარტება, პასუხი დღემდე ზილებული არ არის, ხოლო კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას შეხსენება არ გაუგზავნია ოლქის განათლების განყოფილებისათვის.

წერილებზე დაგვიანებით პასუხის გაცემის შემთხვევებს ადგილი აქვს სკოლების სამმართველოში, ფიზიკური აღზრდის მეთოდ-კაბინეტში და ზოგიერთ სხვა სამმართველო-განყოფილებაში.

არის შემთხვევები, როდესაც მშრომელთა განცხადებები ეგზავნებათ განსახილველად სხვა ორგანიზაციებს კუთვნილებისამებრ, მაგრამ ამის შესახებ ზოგჯერ სამმართველო-განყოფილებები არ აცნობებენ განმცხადებელს. მაგალითად, გაგრის რაიონის სოფ. ხაშუპეს მცხ. ა. ზებელიანის განცხადება სკოლის მშენებლობის დაჩქარების შესახებ ზომების მისაღებად აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს გადაეგზავნა, მაგრამ კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას თვით განმცხადებლისათვის არაფერი უცნობებია.

ასეთ შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი აგრეთვე სკოლამდელი აღზრდის, კადრებისა და ზოგიერთ სხვა განყოფილებაში.

ყველა სამმართველო-განყოფილებაში სრულად არ იცემა მშრომელთა წერილების აღრიცხვის ჟურნალში მოცემული გრაფები, რის გამო ძნელია საჩივრების მოძრაობის დადგენა და მიღებული ზომების გაცემა.

სამმართველო-განყოფილებებში არ არის შემოღებული თანამშრომელთა ოპერატიული თათბირები მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ.



სამინისტროს ხელმძღვანელობასთან მიღებაზე მოსულ მოქალაქეთა აღრიცხვის ჟურნალებში ყოველთვის არ წარმოებს ჩანაწერების გაკეთება იმაზე, თუ რა საკითხზე იყო მოქალაქე მოსული, როგორი რეზოლუციით გადაეცა შემსრულებლებს მათი განცხადება, ან რა ზომები იქნა მიღებული.

არის შემთხვევები, როდესაც განათლების ადგილობრივი ორგანოები აგვიანებენ მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვასა და საჭირო ზომების მიღებას, ამასთან დაკავშირებით გვიან უგზავნიან პასუხებს თვით სამინისტროსაც, რის გამოც უკანასკნელი მოკლებულია საშუალებას თავის მხრივ დროულად აცნობოს პასუხი გახმცხადებელს. მაგალითად, თიანეთის რაიონის განათლების განყოფილებას ა/წ 15 თებერვალს გაეგზავნა თიანეთის საშუალო სკოლის მშობელთა განცხადება ინგლისური ენის შემოღების შესახებ განყოფილებამ პასუხი 2 თვით დააგვიანა. ასეთ დაგვიანების შემთხვევებს ადგილი აქვს თბილისის, ხაშურის, მარნეულის, ბოლნისის და ზოგიერთ სხვა რაიონის განათლების განყოფილებაში.

აღსანიშნავია, რომ მშრომელთა საჩივრები ხშირად გამოწვეულია იმით, რომ ადგილებზე განათლების ორგანოები და სკოლის ხელმძღვანელები სუსტად ერკვევიან შრომის კანონმდებლობის საკითხებში და ალოვევენ სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დანიშვნის წესებს, საკმაოდ ბევრია შემთხვევები, როდესაც მუშაკებს ითხოვენ სამუშაოდან ადგილობრივ პროფორგანიზაციასთან შეუთანხმებლად.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. სამმართველო განყოფილებათა უფროსებმა:

ა) დაუყოვნებლივ განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და დაამყარონ სრული წესრიგი ამ საქმეში;

ბ) აღკვეთონ მშრომელთა წერილების განხილვისათვის დაწესებული ვადების დარღვევის შემთხვევები;

გ) პერიოდულად, პირადად შეისწავლონ სამმართველო-განყოფილებაში მშრომელთა საჩივრების განხილვის უდგომარეობა, განიხილონ ეს საკითხები მომუშავეთა ოპერატიულ თათბირებზე და მშრომელთა საჩივრებისადმი ყოველი უყურადღებო და უსულგულო დამოკიდებულების შემთხვევა გახადონ მთელი კოლექტივის ფართომსჯელობის საგნად;

დ) სისტემატურად შეისწავლონ ადგილებზე მშრომელთა საჩივრების გამომწვევი მიზეზები, განაზოგადონ ისინი და დასახონ ღონისძიებანი ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განმეორებითი საჩივრების გამომწვევ მიზეზებს;

ე) იმ შემთხვევაში, როდესაც მშრომელთა განცხადება ან საჩივარი განსახილველად სხვა ორგანიზაციას ეგზავნება, ამის შესახებ ასლით ეცნობოს განცხადებისა და საჩივრის ავტორებს.

არ დაუშვან საჩივრის იმ პირთათვის გადაგზავნა, ვიზედაც საჩივარია აღძრული;

2. ავტონომიური რესპუბლიკების განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა წესრიგი დაამყარონ მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში, გულისხმიერად მოექიდონ მშრომელთა მოთხოვნებს და არ დაუშვან საჩივრების განხილვისათვის დაწესებული ვადების დარღვევის შემთხვევები.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ თ. ზახაშვილი) განათლების განყოფილებათა გამგების, ინსპექტორების, სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო გეგმებში გაითვალისწინოს შრომის კანონმდებლობის საკითხები.

4. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებამ:

ა) თვალყური ადევნოს სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ მშრომელთა მიღების სარეგისტრაციო ჟურნალების სწორად და სრულად წარმოებას;

ბ) მიიღოს ზომები სამინისტროში შემოსულ მშრომელთა წერილების დროულად და სრულად აღრიცხვასა და მათ მოძრაობაზე კონტროლის დაწესებისათვის.

5. კანცელარიის გამგემ სისტემატურად ადევნოს თვალყური კონტროლზე აღებული საჩივრების დროულად შესრულების საქმეს.

6. მინისტრის თანაშემწემ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ.  
7 მაისის ბრძანება № 509**

**ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ საშუალო სკოლაში, სკოლა-ინტერ-  
ნატსა და ბავშვთა სპორტულ სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური  
აღზრდის მდგომარეობისა და სპორტული მუშაობის შემოწმების  
შედეგების შესახებ**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართვე-  
ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 ნოემბრის № 670  
დადგენილების და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
1965 წლის 30 დეკემბრის № 1396 ბრძანების შესასრულებლად  
ზუგდიდის რაიონის სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მიერ  
მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გასა-  
უმჯობესებლად გარკვეული მუშაობაა ჩატარებული. რიგ სკოლებსა  
და სკოლა-ინტერნატებში (I, V, VI საშუალო სკოლა და ინგირის  
სკოლა-ინტერნატი) საგრძნობლად გაუმჯობესდა ფიზიკური კულ-  
ტურის გაკვეთილების ხარისხი და კლასგარეშე სპორტული მუშაო-  
ბა. სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის შესაბამისად  
რეგულარულად ტარდება სასკოლო და რაიონული შეჯიბრება-სპარ-  
ტაკიადები. შარშან სპორტის 11 სახეში ჩატარებულ ღონისძიებებ-  
ში მონაწილეობა მიიღო რაიონის სკოლების 9869 მოსწავლემ.

განათლების განყოფილებამ (გამგე. მ. ნარმანია) მნიშვნელოვ-  
ნად გააუმჯობესა ხელმძღვანელობა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრ-  
დასა და სპორტულ მუშაობაზე. უკანასკნელ წლებში სკოლებთან  
აშენდა 8 სპორტული დარბაზი და 9 შეგუებული ოთახი. დამაკმა-  
ყოფილებლად მუშაობს ბავშვთა სპორტული სკოლა (დირექტორი  
გ. ლოგუა). აღნიშნულმა სკოლამ გარკვეული მუშაობა ჩატარა  
ნორჩ სპორტსმენ-თანრიგოსანთა მოსამზადებლად, ამ სკოლაში აღ-  
ზრდილი ტანმოვარჯიშე ა. ჩხატუა და მძლეოსანი ი. ცანავა წარ-  
მატებით იცავდნენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას 1965 წელს



გამართულ მოსწავლეთა საკავშირო სპორტაკიადაზე. სპორტული სკოლა თავის მუშაობის წარმართავს ტანვარჯიშისა და მძლეოსნობის პროფილით. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ველოსპორტის, ფეხბურთის, ხელბურთის და ჭადრაკის ჯგუფები.

მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის დარგში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. სპორტულ სკოლას, რომელიც ამზადებს მაღალი თანრიგის ტანმოვარჯიშეებს არა აქვს ნორმალური ზომის სატანვარჯიშო დარბაზი, ხოლო შეგუებული ოთახის იატაკი, სადაც მეცადინეობა ტარდება დაზიანებულია, ეზო კი — მოუწყობელი. ასევე არ გააჩნიათ სათანადო ტანვარჯიშული იარაღები. სპორტული სკოლის მწვრთნელებს არა აქვთ ქართულ ენაზე შედგენილი პროგრამები და სათანადო მეთოდური ლიტერატურა. რაიონის რიგი სკოლები არადამაკმაყოფილებლადა დაკომპლექტებული ფიზიკური კულტურის კვალიფიციური მასწავლებლებით. ამჟამად რაიონის რვაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზიკურ კულტურას ასწავლის 44 უცენზო მასწავლებელი, ამათგან დაუსწრებელ სწავლებაში მხოლოდ 3 კაცია ჩაბმული. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ განათლების განყოფილება ნაკლებ ყურადღებას აქცევს ფიზიკური კულტურის სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლებით რაიონის სკოლების დაკომპლექტების საკითხს. ლარიბია ფიზიკური კულტურის სწავლების ნივთიერი ბაზა. რაიონის 48 რვაწლიან და საშუალო სკოლას ზამთრისა და უამინდობის დროს არ გააჩნია ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობის ჩასატარებელი ადგილი. ტანვარჯიშული იარაღებიდან მხოლოდ 4 სკოლას აქვს ტაიჭი, 16 სკოლას ორძელი, 6 სკოლას ხარიხა. სკოლების უმრავლესობა უზრუნველყოფილი არაა სპორტული ინვენტარითა და სათანადო მოწყობილობის მინიმუმით. ყურადღება არ ექცევა საკუთარი ძალებით მარტივი ტიპის სასკოლო სპორტული ბაზების შექმნასა და თვითნაკეთი სპორტული ინვენტარის დამზადებას.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა. დაწყებითი კლასების მასწავლებლები გაკვეთილის მასალას პროგრამის მიხედვით არ ასწავლიან, რის შედეგადაც გაკვეთილები თავისი შინაარსით უფერული და არასაინტერესოა. რუხის რვაწლიანი სკოლის III კლ. მასწავლებელი მერი ქარდავა, მე-5 საშუალო სკოლის IV კლ. მასწავლებელი ნ. ჭკადუა ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ნაცვლად არით-

მეტიკის გაკვეთილებს ატარებენ, ხოლო მე-5 საშუალო სკოლის კლ. მასწავლებელი ლ. თურქია ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს იშვიათად თუ ატარებს.

რუხის რვაწლიანი სკოლის II კლ. მასწავლებელმა ლ. ლაგვილაგამ მოძრავი თამაში „ცხვირსახოცი ვისია“ უსიცოცხლოდ, დუნედ, ყოველგვარი ემოციის გარეშე ჩაატარა. ანალოგიურად ტარდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები ზუგდიდის I, ცაიშის, ჭითაწყარის საშუალო სკოლებისა და ინგირისა და ზუგდიდის I სკოლა-ინტერნატების დაწყებით კლასებში. დაწყებითი კლასების მასწავლებლები ვერ ფლობენ საპროგრამო მასალას. მათ მიერ ჩატარებული ფიზკულტურის გაკვეთილები არ შეესაბამება საპროგრამო მოთხოვნებს.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა და სპორტული მუშაობა ჭითაწყარის საშუალო სკოლაში (დირექტორი აპ. როგავა). აღნიშნულ სკოლაში არავითარი პირობები არ არის შექმნილი იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც შესრულდეს ფიზიკური კულტურის პროგრამით გათვალისწინებული მასალა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში კლასგარეშე სპორტული მუშაობა არ ტარდება, ფიზკულტურის მასწავლებლებს მაინც უნაზღაურებენ კლასგარეშე სპორტული მუშაობისათვის დაწესებულ გასამრჯელოს. მიმდინარე სასწავლო წელს აღნიშნული სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს ვ. ხაბეიშვილს გაცდენილი აქვს 37 დღე. მოუწყობელია სკოლის ეზო, სრულიად უწყსრიგო მდგომარეობაშია სპორტული მოედანი. ასეთივე მდგომარეობაშია რუხის რვაწლიანი სკოლის ეზოც. დასახელებულ სკოლებს საერთოდ არა აქვთ სპორტული ინვენტარი, ხოლო სკოლების ხელმძღვანელები შეგუებული არიან ამ მდგომარეობას.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა რუხი-აბასთუმნის საშუალო სკოლაში (დირექტორი ლ. ქადარია). ოდესღაც მოწყობილი სარბენი ბილიკი, დღეს უფარგის მდგომარეობაშია, სპორტული მოედნის მოწყობაზე აქ არავინ ზრუნავს. ფიზკულტურის მასწავლებელს ა. ქადარიას არავითარი დოკუმენტი არ გააჩნია კლასგარეშე მუშაობის შესახებ. მოსწავლეები სამედიცინო ჯგუფებად დაყოფილი არ არიან, სკოლას არა აქვს დარბაზი და მთელი სპორტული ინვენტარი ორი ხელგრანატისა და ერთი ბირთვისაგან შედგება. სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას ცაიშის სა-



შუალო სკოლაში (დირექტორი კ. ქარჩავა), სკოლას არ გააჩნია დარბაზი. ოდესღაც არსებული სპორტული მოედანი უვარგის მდგომარეობაშია. სუსტადაა დაყენებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა და სპორტული მომზადება ზუგდიდის მე-2 სკოლა ინტერნატში, აქ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა შორის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას, სპორტული შეჯიბრებები ტარდება საექიმო შემოწმების გარეშე, ფიზიკური კულტურის კოლექტივი მხოლოდ ქალაქში არსებობს. ძალზე სუსტად მიმდინარეობს მაღალი სპორტული თანრიგის სპორტსმენების მომზადება ზუგდიდის I, II და ინგირის სკოლა-ინტერნატებში. მე-2 სკოლა ინტერნატის არც ერთი მოსწავლე არ შედის რაიონის ნაკრებ გუნდში. რაიონის სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ფიზიკური კულტურის პროგრამას მთელი მოცულობით არ გადიან. ფიზკულტურის გაკვეთილებიდან ტანვარჯიში თითქმის გამორიცხულია. უმეტეს სკოლებში სასკოლო ფიზკულტურის კოლექტივები მცირერიცხოვანია, სპორტული სექციები განსაკუთრებით ტანვარჯიშში, მძლეოსნობასა და ცურვაში ან არ მუშაობენ და თუ მუშაობენ ებიზოდურად და სუსტად. კლასგარეშე სექციური და ფაკულტატური მეცადინეობა სპორტში ტარდება ყოველგვარი პროგრამისა და მეთოდური მითითებების გარეშე.

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) განახორციელონ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც საგსებით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღეშაობის ძირფესვიან გაუმჯობესებას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ჰიგიენური და ფიზიკური აღზრდის სწავლების ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას, რისთვისაც ბრძანებით დაავალონ სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლებს სისტენატური მეთოდური დახმარება გაუწიონ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს;

ბ) გააუზოზონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩააბან მოსწავლეები სასკოლო ფიზკულტურის კოლექტივების სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში; მიაღწიონ იმას, რომ ყოველ საშუალო სკოლადამთავრებულს ჩაბარებული ჰქონდეს ნორმატივი მშთ, ხოლო რვაკლასდამთავრებულს იმშთ ნიშანზე. სათადალო ყურად-



ღება მიაქციონ სპორტსმენ თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების (მსაჯების, ფიზორგების, ინსტრუქტორების) მომზადებას;

ვ) შეიძინონ საჭირო რაოდენობით სპორტული იარაღები, ხოლო სკოლის სადურგლო და სახეინკლო სახელოსნოებში მოსწავლეთა ძალებით და შეფი ორგანიზაციების დახმარებით დაამზადონ სპორტული ინვენტარი (სატანვარჯიშო სკამები, კედელი, კიბე, ჯოხები, დვირი, ლატანი ცოცვისათვის, სახტომი დგარი, ბოგი, კალათბურთის ფარები და სხვ.);

ე) ა/წლის 25 მაისამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო სპორტული მოედნები. მოაწყონ კალათბურთის, ფრენბურთის, მოძრავ თამაშობათა და მძლეოსნური სექტორები (სივრძეზე და სიმაღლეზე სახტომი ორმოები, ადგილი ტყორცნისათვის, სარბენი ბილიკი და სხვ.);

ვ) კლასგარეშე სპორტული მუშაობისათვის დაწესებული გასამრჯელო გაცენ მხოლოდ ისეთ მასწავლებლებზე, რომლებიც ასრულებენ სასკოლო ფიზკულტურის კოლექტივის დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აქვთ სექციური მუშაობის ცხრილი და ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა, სისტემატურად ატარებენ მეცადინეობამდე ტანვარჯიშს, რეგულარულად მონაწილეობენ რაიონის სპორტულ-მასობრივ და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, გეგმაზომიერად ამზადებენ ნიშნოსნებსა და სპორტსმენ თანრიგოსნებს, სისტემატურად ეხმარებიან დაწყებითი კლასების მასწავლებლებს და სკოლის ექიმიან ერთად ატარებენ სპეციალურ ვარჯიშებს (სამკურნალო ფიზკულტურას) ფიზიკურად სუსტ მოსწავლეებთან;

გ) სათანადო ყურადღება მიაქციონ ფიზიკური კულტურის გაკვეთილებისა და კლასგარეშე სპორტულ მეცადინეობათა ჩასატარებლად ადგილის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა მიერ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნათა დაცვას.

2. ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ნ. ნარმანია):

ა) ქმედითი დახმარება გაუწიოს სკოლებს და სკოლა-ინტერნატებს სპორტული ბაზების მოწყობისა და მათი სასწავლო ინვენტარითა და სპორტული იარაღებით აღჭურვაში;

ბ) ა/წლის 25 მაისამდე შეამოწმოს ფიზიკური კულტურის



არასპეციალისტ მასწავლებელთა მუშაობა, შეუფერებელი მასწავლებლები, არსებული წესის დაცვით, გაათავისუფლონ, ხოლო დამაკმაყოფილებლად მომუშავე არასპეციალისტი მასწავლებლები ჩააბან დაუსწრებელ სწავლებაში;

გ) სათანადო ღონისძიებანი გაატაროს სპორტის ჩამორჩენილ სახეობათა დანერგვისა და განვითარებისათვის, რისთვისაც ფიზიკური კულტურის პროგრამის ~~შე~~თხოვნათა შესაბამისად დაუწესოს სკოლებს სპორტში გაღრმავებულ მეცადინეობათა პროფილი;

დ) დააყენოს საკითხი ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინაშე, რათა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 730 დადგენილების შესაბამისად გაითვალისწინონ 1967 წლისათვის ზუგდიდის ბავშვთა სპორტული სკოლის შენობაზე სპორტული დარბაზის მიშენება ჭარბი შემოსავლის სახსრებიდან;

ე) აღნიშნული ბრძანება განიხილოს სკოლების, სკოლა-ინტერნატების დირექტორებისა და ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა თათბირზე და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ მოხსენებითი ბარათი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ა/წლის 1 ივლისამდე.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შესწავლისას სისტემატურად შეამოწმოს მოსწავლეთა ფიზიკური, ჰიგიენური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობა.

4. ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. გ. მერკვილაძე) 1966 წლის 1 სექტემბრისათვის უზრუნველყოს ბავშვთა სპორტული სკოლები და სასკოლო ფიზკულტურის კოლექტივები ქართულ ენაზე შედგენილი პროგრამით.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ხახაშვილი) 1967 წლის გადამზადების გეგმაში გაითვალისწინოს ქ. ზუგდიდში დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის 10 დღიანი კურს-სემინარის მოწყობა ორი სასწავლო ჯგუფის რაოდენობით.

6. ფიზიკური კულტურის სწავლებისა და კლასგარეშე სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის არადამაკმაყოფილებელ დონეზე დაყენებისათვის მიეთითოთ: სოფ. ჭითაწყარის, ცაიშის, რუხი-აბასთუმნის, პირველი და მეორე სკოლა-ინტერნატების ფიზ-



კულტურის მასწავლებლებს, რუხის რვაწლიანი და ზუგდიდის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ვ. ხაბეიშვილს, ხ. კუკავას, ა. ქადარიას, ო. ბედოშვილს, ა. ბაკურაძეს, მ. ქარდავას, ლ. ლაგვილავას, ნ. ჭკადუას, ლ. თურქიას.

7. გაფრთხილებულ იქნენ ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭითაწყარის, ცაიშის, რუხი-აბასთუმნის საშუალო სკოლების, რუხის რვაწლიანი სკოლისა და I—II სკოლა-ინტერნატების დირექტორები: ა. როგავა, კ. ქარჩავა, ლ. ქადარია, ნ. ჩხეტიანი, გ. გეთია და ვ. ჯინჯილავა, თუ ისინი უახლოეს დროში არ შექმნიან ნორმალურ პირობებს ფიზიკურ კულტურაში სამეცადინოდ, მნიშვნელოვნად არ აამაღლებენ მოსწავლეთა ფიზიკური კულტურის სწავლების დონეს, არ გააუმჯობესებენ კლასგარეშე მასობრივ-ფიზიკულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

8. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამბ. ი. ბაცელაშვილი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 29 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

## შინაარსი

1. ბრძანება № 321—საქართველოს სსრ სპარტაკიადის ჩატარებისა და 1967 წელს საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შესახებ . . . . .	3
2. მიმართვა № 10—84 . . . . .	7
3. მოხსენებითი ბარათი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 12 აგვისტოს № 873 ბრძანების—„რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“—შესრულების შედეგებზე . . . . .	8
4. მითითებანი საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან არსებული ესთეტიკური აღზრდის სექციის მუშაობის შესახებ	13
5. ბრძანება № 35' —სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საღამოს' (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების თაობაზე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 22 ნოემბრის № 1243 ბრძანების შესასრულებლად ოლქის განათლების განყოფილების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ . . . . .	15
6. Указания о проведении выпускных экзаменов и экзаменов на аттестат среднем образовании общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах в 1965—1966 учебном году . . . . .	17
7. ბრძანება № 392—განათლების ორგანოებისა და სკოლების ამოცანების შესახებ 1966 წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში მათი სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა განხორციელების საქმეში	19
8. ბრძანება № 404—კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მიერ 1965 წელში რბილი და მაგარი ინვენტარის შექმნის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . .	24
9. ბრძანება № 411—1965 წლის სასკოლო მშენებლობის გეგმების შესრულებისა და მიმდინარე წლის მშენებლობის გეგმის შესახებ . . . . .	27
10. ბრძანება № 417—რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—XI კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . .	31
11. ბრძანება № 421—გარდაბნის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების სკოლებში შრომითი და საწარმოო სწავლების პროცესში უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . .	39



54/5

66  
135

12. ბრძანება № 423—ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . .	44
13. მოხსენებითი ბარათი ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . .	47
14. ბრძანება № 426 რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის დაწყებით სკოლებსა და კლასებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . .	63
15. ბრძანება № 431—განათლების ადგილობრივ ორგანოებში სტატისტიკური ანგარიშგების მდგომარეობის შესახებ . . . . .	76
16. მოხსენებითი ბარათი განათლების ორგანოებში სტატისტიკური ანგარიშგების მდგომარეობის შესახებ . . . . .	77
17. Приказ № 475—Об утверждении отчета по республиканскому бюджету за 1965 год . . . . .	80
18. ბრძანება № 477—ქარელის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . .	82
19. ბრძანება № 497—1965 წლის II ნახევარში და 1966 წლის I კვარტალში განათლების სამინისტროში შემოსულ მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . .	88
20. ბრძანება № 509—ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ საშუალო სკოლაში, სკოლა-ინტერნატსა და ბავშვთა სპორტულ სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . .	92